ლიტერატურული საქართველო

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

5 ივლისი, 2013 წ. | №51 (3661) | გამოცემის 77-ე წელი | ფასი 1 ლარი



თამაზ წივწივაძე

გაიღვიძეთ, გრიშა ბიძია, დეპოში ვართ!

ციკლიდან: სალამი, მარქსისტებო!

ზემოთ მოგახსენეთ, ბატონი გრიგოლი ორთოდოქსი მარქსისტია-მეთქი. არც იმის აღნიშვნა დამვიწყებია, ამასთან იგი, დაახლოებით ნახევარი საუკუნეა, რაც სკკპ ისტორიის განხრით მუშაობს.

ამიტომ უფრო გულსატკენია, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, ბატონმა გრიგოლმა თავისი საგანი – საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია ჩემზე უკეთ რომ არ იცის!

ბატონ გრიგოლს თურმე დღესაც გულწრფელად სჯერა:

„ლენინური ერთა თვითგამორკვევის საფუძველზე 1918 წლის 26 მაისს საქართველომ პირველად მიიღო შესაძლებლობა აღედგინა თავისი ეროვნული სახელმწიფოებრიობა, რომელიც მან 117 წლის წინათ დაკარგა“.

ბატონო გრიგოლ, ჩემგან ნუ გეწყინებათ და ამ ერთ წინადადებაში თითქმის 117 ტყუილია ერთად ნათქვამი!

ეროვნული დამოუკიდებლობა ჩვენ ზუსტად მაშინ მივიღეთ, როცა ლენინს, საბედნიეროდ, საქართველოსთვის არ ეცალა!

თორემ პროლეტარიატის დიდ ბელადს ოქტომბრის რევოლუციის მესამე კვირისთავზე სტეფანე შაუმიანის სახელზე გაცემული ჰქონდა მანდატი, რომელიც იუწყებოდა:

„ამ მანდატის წარმომდგენელი... სტეფანე შაუმიანი დანიშნულია კომისრად კავკასიაში საბჭოების სამხარეო ხელისუფლების შექმნამდე...“

გრიშა ბიძია, მოდით ერთად ვიკითხოთ – თუ კავკასიაში საბჭოეთის სამხარეო ხელისუფლება დამყარდებოდა, საქართველო დამოუკიდებლად როგორღა იარსებებდა?!

როგორც გადმოგვცემენ, პატივცემულ სტეფანეს (ე. ი. შაუმიანს!) ლენინის დანაბარები, ანუ საკუთარი მისია ასე განუმარტავს:

„საბჭოთა ხელისუფლება კავკასიაში დაუყოვნებლივ უნდა იქნას დამყარებულიო!“

თუ რევოლუციის გენიის მაშინდელი მოთხოვნა არ შესრულდა, ეს მთლად ჩვენი ძვირფასი სტეფანეს ბრალიც არ იქნებოდა – საქართველოს ისე სწყუროდა თავისუფლება, მის ხელყოფას იმხანად იოლად არავის დაანებებდა!

ბატონი გრიგოლის მეცნიერული ანალიზით კი –

„ლენინური ერთა თვითგამორკვევის საფუძველზე 1918 წლის 26 მაისს საქართველომ პირველად მიიღო შესაძლებლობა აღედგინა თავისი ეროვნული სახელმწიფოებრიობა“!

ჩვენ ორს შორის – ამის თქმა კი შეიძლება, გრიშა ბიძია! – მტყუანის თავში უფრო სწორ აზრს თავის დღეში არ გაეჭაჭანებინოს!..

* * *

სამწუხაროდ, თუ რა აზრის იყო დიდი ლენინი საქართველოს დამოუკიდებლობაზე, ეს საკითხი მარტო ჩემს გრიშა ბიძიას არ ეშლება. ასე მგონია, ამ საკითხის გარკვევა არც ჩემი მკითხველის ახლობლებისთვის იქნება ზედმეტი!

ამიტომ აქვე ვიტყვი:

ვლადიმერ ილიას ძე ლენინს, სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელს, საქართველოს დამოუკიდებლობა არც თავში, არც შუაში და არც ბოლოში არ უნდოდა!

და ეს ბუნებრივიცაა!

პროლეტარიატის ბელადი, ცხადია, მთელ მსოფლიოში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებაზე იოცნებებდა!

დიდი ლენინი ამას არავის უმალავდა!

კომუნისტური ინტერნაციონალის I კონგრესის დახურვაზე ვ. ი. ლენინი სახალხოდ აცხადებს:

„პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება მთელ მსოფლიოში უზრუნველყოფილია – შეიქმნება საერთაშორისო საბჭოთა რესპუბლიკა (მქუხარე ტაში)“.

ცოტა კიდევ ვაცადოთ, გრიშა ბიძია, და ტაში ოდნავ მაინც რომ დაცხრება, მერე გავარკვიოთ:

თუ მთელ მსოფლიოში პროლეტარული რევოლუცია გაიმარჯვებდა – ლენინი კი ამაში ღრმად იყო დარწმუნებული („გამარჯვება უზრუნველყოფილიაო!“) და დედამიწის ზურგზე „საერთაშორისო საბჭოთა რესპუბლიკა“ შეიქმნებოდა, ერთი მითხარით, გრიშა ბიძია, საქართველოს რა ისეთი დამსახურება ჰქონდა მსოფლიო რევოლუციის წინაშე, ქილაში ჩადებული რომ შეენახათ?

ამიტომ ვთქვი: ლენინი საქართველოს დამოუკიდებლობას ვერასოდეს დაუჭერდა მხარს!

ჯერ იყო და, რევოლუციის მესამე კვირას „საბჭოთა ხელისუფლების კავკასიაში დასამყარებლად“ სტეფანე შაუმიანი გამოუშვა!

მერე კიდევ, საქართველოს მთავრობა აინუნში რომ არ იყო, – (1920 წლის 14 აგვისტოს!) – დიდი ლენინი თურქ დიპლომატებს „ამშვიდებდა“:

„უეჭველია ის ფაქტი, რომ უახლოეს დროში მოიძებნება მიზეზი სომხეთსა და საქართველოში შესვლისაო“.

ხედავთ, საბჭოთა რუსეთი შარზეა და მიზეზს ეძებს, საქართველოში რომ შემოვიდეს!

ბოლოს, ასეთი მომენტი რომ „დაიჭირა“, ლენინმა რამდენიმე დღითაც კი არ გადადო საქართველოს გასაბჭოება!

„ლენინი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში დაყოვნებას, ხუთი დღითაც კი, მიიჩნევდა შეუძლებლად (გრ. ჟვანია)“.

ასე რომ, გრიშა ბიძია, საქართველომ დამოუკიდებლობა ლენინური თვითგამორკვევის ნიადაგზე კი არ მიიღო, არამედ დაკარგა!

რაც, ალბათ, ერთი და იგივე სულაც არ არის!

მაგრამ ეს მაინც ჩემი აზრია!

ვიმოწმებ პროფესიონალ ისტორიკოსს:

„საბჭოთა მთავრობა... ზოგჯერ უგულებელყოფდა მის მიერვე ოფიციალურად გამოცხადებულ ცალკეულ საგარეო-პოლიტიკურ აქტებს, ზღუდავდა ერთა თვითგამორკვევის უფლებას... არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ თვით საბჭოთა მთავრობაც რუსეთის „დაქუცმაცების“ წინააღმდეგ გამოდიოდა“ (ლევან თოიძე).

სამწუხაროდ, საბჭოთა მთავრობის ეს ნაკლი, რომელიც მას დაბადებიდან დაჰყვა, სიცოცხლისუნარიანობას დღესაც ინარჩუნებს – ვერც ერთმა რესპუბლიკამ, მიუხედავად თავგანწირული მცდელობისა, საკუთარი თავი ცენტრს ჯერჯერობით ვერ წაღლიტა!..

* * *

იმავე სტატიაში დაახლოებით ასეთივე „სიზუსტით“ სხვა კარდინალური ეროვნული საკითხებიც აქვს გარკვეული ბატონ გრიგოლს.

კერძოდ, ასეთ კითხვას სვამს:

„როგორ გამოიყენეს მენშევიკებმა საქართველოს დამოუკიდებლობა?“

ბატონ გრიგოლს მიაჩნია, რაკი საქართველო რუსეთს ჩამოშორდა, იზოლაციაში მოექცა.

„აქედან გამომდინარე მას მოაკლდა რუსეთის პური, ბაქოს ნავთობი, სხვა აუცილებელი საარსებო საშუალებანი და კატასტროფის წინაშე დადგა“.

ესეც პირიქით იყო, ბატონო გრიგოლ! – პური და ნავთობი თავად ლენინის რუსეთს აკლდა და ამიერკავკასიის გასაბჭოებაც ამიტომ ეჩქარებოდა ბატონ ვლადიმერს!

„ბაქო. ორჯონიკიძეს მოსკოვიდან...

უნდა იცოდეთ, რომ ტრანსპორტი არ გვყავს, ჯარის თქვენთან გადმოყვანა არ შეგვიძლია, უნდა გადმოვზიდოთ პური კავკასიიდან, თორემ აქ პური არ გვყოფნის“.

ეს სტალინის დეპეშაა! საკუთარ აგენტს (ტროცკის გამოთქმაა!) რომ ეგზავნება ბაქოში!

და აქ, ბატონო გრიგოლ, კავკასიიდან პურის გატანაზეა საუბარი და არა შემოტანაზე!

რასაკვირველია, გრიშა ბიძია, პური საქართველოსაც აკლდებოდა, მაგრამ მაშინაც ასე ყოფილა – ჯერ ცენტრი უნდა გამოგვეძღო!..

* * *

ძალიან გამიხარდა, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება ბატონ გრ. ბრეგაძის მახვილ თვალსაც რომ შეუნიშნავს!

ისიც აღიარებს, ასეთი შეთანხმება მართლაც დაიდოო!

გაგრძელება დასაწყისი №49

დასასრული მე-2 გვ.

დასაწყისი პირველი გვერდიდან

მაგრამ:

მენშევიკები არ ასრულებდნენ საბჭოთა რუსეთთან დადებულ სამშვიდობო ხელშეკრულებასო!

ამიტომ:

„საბჭოთა რუსეთს არ შეეძლო... არ განეგრძო სამოქალაქო ომი და XI წითელი არმიის ნაწილებით რევოლუციური დახმარება არ გაეწია საქართველოს მშრომელებისთვის...“

ბატონო გრიგოლ, ჩემო გრიშა ბიძია, ნუთუ უხერხულობას არ გრძნობდით, ამ სტრიქონებს რომ წერდით?!

ფილიპე მახარაძემ როგორ უნდა გაჯობოს ამხელა კაცს!

აი, რას წერს იგი!

„როცა წითელი ჯარების შეტევა დაიწყო, ამ შეტევის მიზნებსა და განზრახვაზე საქართველოში არც ერთმა უჯრედმა კი არა, პარტიის არც ერთმა წევრმაც სრულიად არაფერი იცოდა...“

აქ სად ჩანს, ბატონო გრიგოლ, რუსი ჯარი დასახმარებლად საქართველოს მშრომელებმა რომ მოიწვიეს?!

საბჭოთა რუსეთის ამ საქციელის თვით ბატონ ფილიპესაც კი რცხვენია!

„საქართველოს საზღვრებში წითელი ჯარების შემოსვლამ და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამ გარედან დაპყრობის ხასიათი მიიღო, რადგან ამ ქვეყანაში ამ დროს აჯანყების დაწყება არც უფიქრია ვინმეს“.

ასეთი რამ გაგიგონიათ, ბატონო გრიგოლ? – წითელი ჯარი ისე იპყრობს დამოუკიდებელ ქვეყანას, რომ მის „მიზნებსა და განზრახვაზე“ საქართველოში მოღვაწე არც ერთმა კომუნისტმა არაფერი იცის!

არადა, მთელი თქვენი ცხოვრება ამტკიცებდით, რომ საქართველოს მშრომელებმა თხოვეს რუსეთის ბოლშევიკურ ხელისუფლებას წითელი ჯარის საქართველოში შემოყვანაო!

სირცხვილია, გრიშა ბიძია! –

თქვენი წყალობით რამდენმა ალალმართალმა სტუდენტმა დაინაგვიანა თავი ამ სისულელით?

ამას ხომ ჯობდა, ამიერკავკასიის უმაღლესი კომუნისტური სასოფლო-სამეურნეო სკოლა რომ დაამთავრეთ, ამავე განხრით გემუშავათ და ხანდახან ვაზი შეგეწამლათ ამდენი ახალგაზრდის გონების მოწამვლას?!

ან ეს რამ დაგაწერინათ, გრიშა ბიძია!

„ამასთან ისიც ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ წითელი არმია არის რევოლუციური, მუშურ-გლეხური არმია და მას არ შეიძლება ახასიათებდეს ანექსია-დაპყრობები“.

და ამას ბატონი გრიგოლი წერს თბილისში დატრიალებული 9 აპრილის ტრაგედიიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ!..

აფსუს, დროის და სივრცის რა გრძნობაა!

* * *

სხვათა შორის, სიტუაციის ხსენებამ ერთი ამბავი კიდევ გამახსენა!

ბატონ გრ. ბრეგაძის საკანდიდატო დისერტაციის თემა გახლავთ:

„რევოლუციური სიტუაცია ოქტომბრის რევოლუციის მომზადების პერიოდში“.

ხომ წარმოგიდგენიათ, ძვირფასო მკითხველო, იმ დროს, როცა პეტროგრადში ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა, რა „სიზუსტით“ აღწერდა რევოლუციურ სიტუაციას ჩემი გრიშა ბიძია!

* * *

განვაგრძოთ საუბარი.

ჩვენ იქ გავჩერდით, ბატონი გრიგოლი მახვილგონივრულად რომ შენიშნავდა: წითელ არმიას არ შეიძლება ახასიათებდეს ანექსია, დაპყრობები.

რაკი დავრწმუნდი, გრიშა ბიძიას ჩემი არ ეყურება, სხვათა აზრი უნდა მოვიშველიო:

ბატონო გრიგოლ, ბუხარინი, თქვენი არ იყოს, პარტიული საკითხების თეორიულ ნაწილს ამუშავებდა და წითელი ინტერვენციის საკითხში ასეთ დასკვნამდე მისულა:

„ჩვენს პროგრამაში უნდა დავამკვიდროთ, რომ თითოეულ პროლეტარულ სახელმწიფოს აქვს წითელი ინტერვენციის უფლება... პროლეტარიატმა უნდა დაიპყროს მთელი მსოფლიო, მაგრამ ამას თითის დაქნევით ხომ ვერ გააკეთებ. აქ საჭიროა ხიშტები და შაშხანები“.

ხედავთ, ბატონო გრიგოლ, რას წერს ბუხარინი!

წითელმა ინტერვენციამ მთელი მსოფლიო ხიშტებითა და შაშხანებით უნდა დაიპყროსო!

სამწუხაროდ, დამოუკიდებელი საქართველოც წითელი ინტერვენციის მსხვერპლი გახდა – ისიც ხიშტებითა და შაშხანებით დაიპყრეს!

„ბაქო. ამხ. ორჯონიკიძეს...

ცეკამ მიიღო გადაწყვეტილება... რომ შესაძლოა საჭირო შეიქმნეს სამხედრო ჩარევა და საქართველოს ოკუპაცია. სტალინი“.

დიდი ლენინი, როგორც ყოველ დიდ საქმეში, საქართველოს ოკუპაციაშიც იჩენს სიფრთხილეს!

„შევეკითხოთ კავკასიის ფრონტს რამდენად მომზადებულნი არიან ჩვენი არსებული სამხედრო ძალები საქართველოსთან დაუყოვნებელი ან მოსალოდნელი ომისთვის“.

ლევ ტროცკი – სამხედრო მინისტრი! – საქართველოს ძალად გასაბჭოებასთან დაკავშირებით მხოლოდ ზუსტი ინფორმაციის მიწოდებით კმაყოფილდება!

„სამხედრო ინტერვენციამ სავსებით წარმატებულად ჩაიარა...“

ბატონო გრიგოლ, მთელმა ამ მასალამ, რომელიც ზღვაში წვეთია არსებულთან, თქვენს თვალწინ ისე როგორ ჩაიარა, რომ „თვალიც ვერ მოატანეთ?!“

თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიას იკვლევთ და გარდა საქართველოს მშვიდობიანი გზით გასაბჭოებისა – ძალადობის კვალს ვერსად გადააწყდით?!

ეჰ, გრიშა ბიძია, გრიშა ბიძია!..

მაგრამ ახლა წუწუნის დრო არ არის! თითო ჩვენი პროფესიის კაცი (თქვენ – მეცნიერი, მე კიდევ – მწერალი) დავიმოწმოთ და ამ თემაზეც მორჩება ჩვენი ლაპარაკი!

„პატივცემულო მკითხველო! დროა შეფასება მივცეთ წითელი არმიის მიერ საქართველოში 1921 წელს განხორციელებულ აქციას. რა იყო მაინც ეს?“ (ლევან თოიძე, ისტორიკოსი“.

ბატონო ლევან, თუ არ შეწუხდებით, ბატონ გრ. ბრეგაძესაც უთხარით, მართლა რა იყო ეს?

„იყო ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, რასაც შემდეგ ფაქტობრივად ანექსია მოჰყვა“.

ამდენი მეც არ ვიცოდი, ეს მართლა რა უბედურება ყოფილა!

ახლა მწერალს მოვუსმინოთ, ბატონო გრიგოლ!

„არც ერთი ჭკუათმყოფელი ქართველისთვის საეჭვო არ არის, რომ 1921 წლის 25 თებერვლიდან საქართველო არის რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ დაპყრობილი ქვეყანა“ (ნოდარ გრიგალაშვილი, მწერალი).

გრიშა ბიძია, თქვენი უნებლიე გალანძღვისათვის „არც ერთ ჭკუათმყოფელსო...“ ჩემს მეგობარ მწერალს კაი საყვედურს ვეტყვი, მაგრამ ისე მართალს კი ამბობს ის კაცი! –

საქართველო რომ რუსეთის მიერ ანექსირებული ქვეყანაა, ეს ჭეშმარიტება უზენაესი საბჭოს სესიამაც აღიარა!..

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ გასაგებია, – როგორ დაიპყრო რუსეთმა დამოუკიდებელი საქართველო!

ეს რომ არ იცოდეს, დღეს ჩვენში ბავშვიც არ მეგულება!

თქვენ რა მოგდით, გრიშა ბიძია, ამქვეყნის რომ აღარაფერი გეყურებათ?!

მტკნარი სიცრუის წერა ასე ურცხვად შეიძლება?!

„ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ გასაგებია, რომ XI წითელი არმიის ნაწილების ძმური, ინტერნაციონალური დახმარებით დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში და შეიქმნა დამოუკიდებელი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა...“

გრიშა ბიძია, ვინც გიყვართ, იმას გაფიცებთ, დღეს რომ მთელი ქართველი ხალხი ქუჩაში ვართ გადებული და საქართველოს დამოუკიდებლობას მოვითხოვთ, ამის შესახებაც არაფერი გაგიგიათ?!

* * *

ძვირფასო მეგობრებო, ეს ამდენი შეცდომა, შპროტის ქილაში მიჯრით მიწყობილ თევზებს რომ გვაგონებს რაოდენობრივად, ბატონ გრ. ბრეგაძის იმ სამგვერდიან სტატიაში გვხვდება, პარტიის ეროვნული პლატფორმის პროექტს რომ ეძღვნება!

კაცმა რომ თქვას, სტატიის აქამდე განხილული ნაწილი წერილისთვის სავალდებულო არ იყო! ავტორმა იგი, როგორც კომპარტიის ისტორიის სპეციალისტმა, ისტორიულ ექსკურსად წარუმძღვარა თავის ნაშრომს!

ნეტა თქვენი თვალით განახათ, რა შეცდომებია დაშვებული სტატიის ძირითად ნაწილში! – მისი თანმიმდევრულად აღნუსხვა ჩემს დონესაც კი აღემატება!

თუმცა ერთ გარემოებას მაინც მინდა გავუსვა ხაზი:

ბატონი გრიგოლი კმაყოფილებით იმოწმებს პლატფორმის ამონაწერს:

„სსრ კავშირში შესვლით, რესპუბლიკებმა ცენტრალური ორგანოების განმგებლობაში გადასცეს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ამოცანების განხორციელება“.

და იქვე შენიშნავს:

„მხოლოდ საგარეო? საშინაო პოლიტიკის საკითხებშიც აუცილებელია ამ მხრივ მეტი გარკვეულობა“.

მინდა, დავამშვიდო გრიშა ბიძია, რომ პარტიის ეროვნულ პლატფორმაში არც ეს მხარეა „გამორჩეული“.

მოკავშირე რესპუბლიკას, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, ყველაფრის უფლება აქვს და, თუკი მოეგუნება, საბჭოთა კავშირიდანაც თავისუფლად შეუძლია გასვლა!

მაგრამ ეს, რასაკვირველია, თეორიულად!

რეალურად კი – ხმელა მჭადს რომ ყველი მივატანოთ, თუ რესპუბლიკაში ყველის ჩაბარების გეგმა არ შესრულებულა, ამის უფლებაც არ გვაქვს!

* * *

ერთი განმარტებაც!..

როცა „ლიტერატურულ საქართველოში“ ჩემი პუბლიკაციები გამოქვეყნდა, რედაქციაში ქართველი მარქსისტების უამრავი საპასუხო წერილი შემოვიდა.

მე ბატონ რედაქტორს ვთხოვე, რაკი იმის ტექნიკური საშუალება არ არის, ყველას რომ ვუპასუხო, მიქენით სიკეთე და ჩემი ოპონენტებიდან ყველაზე ტიტულოვანი მარქსისტი შემირჩიეთ-მეთქი!

ჩემი თხოვნა დაკმაყოფილდა!

და აჰა, ისიც! – ბატონი გრიგოლ ბრეგაძე! – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებელი მოღვაწე, პარტიის, ომის, შრომის ვეტერანი! ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი!

და თუ ამას მისსავე განცხადებას დავუმატებთ –

„არასოდეს გადამიხვევია კომუნისტური პარტიის გენერალური ხაზიდან“ –

მაშინ ქვეყანაზე ჩემზე საცოდავი კაცის წარმოდგენაც კი ძნელი იქნება! – ამ გოლიათს რომ ვერკინები მარქსიზმის საკითხებში!

არადა, არავის ბრალი არ არის, ეს არჩევანი მე თვითონ გავაკეთე!

ამიტომ ახლა წუწუნს უნდა მოვეშვა და, როგორც წერილის დასაწყისში მკითხველს აღვუთქვი, უთანასწორო ბრძოლაში შთავბრიალდე!..

* * *

ვიდრე ჩემი ოპონენტის ბანაკში საბრძოლო ყიჟინას დავცემდე, ერთი ეჭვი მინდა გაგიზიაროთ!

ბატონი გრიგოლი რომ ბრძანებს:

„არასოდეს არ გადამიხვევია კომუნისტური პარტიის გენერალური ხაზიდანო!“

მე მისი გულწრფელობის კი მჯერა, მაგრამ თავად ეს საქმე რომ პრაქტიკულად შეუძლებელია?!

რადგან:

თვითონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დამაარსებელმა ლენინმა გადაუხვია (ნეპის შემოღებით) პარტიის გენერალური ხაზიდან!

სტალინი რომ სტალინია, თვითონ ხომ გადაუხვია და გადაუხვია პარტიის გენერალური ხაზიდან, როგორც ამბობენ, მთელი კომუნისტური პარტიაც საკუთარ კვალზე მიიყოლა!

ყოფილა შემთხვევა – თავად კომუნისტურ პარტიასაც გადაუხვევია თავისი გენერალური ხაზიდან!..

ასე რომ, ბატონი გრიგოლი რომის პაპზე უფრო კათოლიკე გამოდის!

რაც, რასაკვირველია, სწორი ვერ იქნება!

უფრო სწორი, ალბათ, ის იქნება, რომ ვთქვათ: გრიშა ბიძია კომუნისტურ პარტიასთან ერთად იხრებოდა პარტიის გენერალური ხაზიდან!

ორი საგნის სინქრონული მოძრაობა კი, მოგეხსენებათ, ერთობლიობის ილუზიას ქმნის!...

* * *

ბატონი გრიგოლი თავის წერილს „ზოგიერთი მოსაზრება თამაზ წივწივაძის შენიშვნებზე“, რომელსაც ახლა მე უნდა ვუპასუხო, ასე იწყება:

„თანამედროვე რევოლუციურ გარდაქმნას მთელი ძალით შეუდგნენ სოციალისტური ქვეყნები თავიანთი მმართველი პარტიების მეთაურობით...“

თუ გახსოვთ, შესავალი ნაწილი გრიშა ბიძიას არც ახლახან განხილულ სტატიას უვარგოდა!

ცხადია, არც ეს შესავალი ვარგა, თუნდაც იმიტომ, რომ დღეს აღმოსავლეთ ევროპის არც ერთი ქვეყანაში კომუნისტური პარტია მმართველი პარტია აღარ არის! –

დიდიან-პატარიანად ყველამ უარი თქვა კომუნისტური პარტიის წარმმართველ როლზე!

ამ შეცდომას იმავე წინადადებაში სხვა შეცდომაც მოსდევს:

„აუცილებელია კვლავ გულმოდგინედ გავაანალიზოთ, ახლებურად წავიკითხოთ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებები...“

იცოცხლეთ, კარგი ეს იქნებოდა, მაგრამ ამ ქვეყნებში, ამ ახალ ვითარებაში, ეს უკვე შეუძლებელია! –

მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სწავლება არა მარტო მთლიანად ამოიღეს სასწავლო პროგრამებიდან, არამედ იდეოლოგიის სფეროდანაც დაითხოვეს!

ჩვენთანაც, პირველ სოციალისტურ ქვეყანაში, კომპარტიის ხელმძღვანელ როლზე ერთი ვაიუშველებელი და დაკადაკა ატყდა სახალხო დეპუტატთა ახლანდელ ყრილობაზე!

ამ ძაძგურში „აგრესიულად მორჩილმა უმრავლესობამ“ თითქმის ძალით წაგლიჯა ჩვენი ნაქები კომპარტია იმ დეპუტატებს, ვისაც ამ სფეროში ჭკუა სხვაზე მეტად ეკითხებოდათ!..

„ეროვნული ლექსები“ კრებულიდან

ლაშა ნადარეიშვილი

ერო ჩემო, მცხეთის კართან გამოდი!!!

მაგ სუფრიდან
არაფერი აიღო!
მაგ სუფრასთან
წუხელ გასცეს უფალი!
ქრისტეს მცნება
ვინაც ყურად არ იღო,
არ ასცდება
იუდას ნასუფრალი!

ზოგი მამლის
ყივილამდე გიგანებს!
ზოგი ისევ
ამჯობინებს ავაზაკს!
მე კი მხიბლავს
შენი ზვრების სიგანე,
სიცოცხლე რომ
ასე გამილამაზა!

გაიცინე,
როცა გიმზერს ჯალათი!
გაიცინე,
როცა უმზერ არქიფოს!

არაფერი
დაიჯერო ამათი!
ოცდაათი ვერცხლიც
ამათ ათქვლიფონ!

როგორ ახლოს
მოფრენილან სვავები!
ეს კანკელიც
შინაურმა დალეწა!
რატომ იტანს
ფილაქანი სამების
ღვთის ტაძარში
შემოპარულ გარეწარს?

ბუღა-თურქიც
უნდა მკერდით გათელო,
თუ ცრემლები
საქართველოს გამო გდის!
ეს მსტოვრებიც
მოინელე, ქართველო!
ერო ჩემო,
მცხეთის კართან გამოდი!!!

ფრთხილად, კირიონის მკვლელი ცოცხალია!

მზეს
ღრუბელს მიუტანს
ადრე თუ გვიან
ქარბორია...
ფრთხილად! —
ეს იუდას
ძველისძველი
ამბორია!!!

ტაძრისკენ სავალი
მრევლს ნუთუ
გზებიც
არევია?!
ფრთხილად! —
აქ მრავალი
შაჰის და ყაენის
ჰარემია!!!

მარტყოფის ველი
წითლად
ანთებული
მოცხარია...
ფრთხილად! —
კირიონის
მკვლელი
ცოცხალია!!!

ვარ ქართველი, ესე იგი...

მზე არავის
არ ემხრობა,
ყველა
მეფე
დაემხობა!!!
დაემხობა
კართაგენი!!!
ოსმალეთიც
დაემხობა!!!

დარუბანდის
კართან გელი,
არც —
სამშობლო...
არც —
მხედრობა...

ვარ ქართველი,
ესე იგი,
შემრჩა
ბრძოლის
თავხედობა!!!

მარადიული ვარ დამნაშავე!

ჩვენ გადავივლით
უამრავ ტრამალს
მივიწყებული
მთვარით, იებით...
თავდება
ჩემი ცხოვრების დრამა —
სავსე
ერთგული არითმიებით.

ვერ ამოვხსენი:
საიდან — საით?!
ვერ დავადგინე:
რატომ ან სანამ?!
ვარ ჩაკირული
აიდასავით,
არ გამიმეტა
თქვენმა სამსალამ.

ზეცა ფიფქებმა
გადააშავეს,
არ მეუბნება
არრას ფერია...
მარადიული
ვარ დამნაშავე
და ჩემი ბრალი
არაფერია!

...მაგრამ შადიმანს რა ეშველება?!

არავითარი
„მაშასადამე...“
თუ ქართველი ხარ,
მორჩა! გათავდა!
მხოლოდ მითხარი,
ერო, სადამდე
უნდა მოუშვა
ურდო თათართა?!

სცენაზე ახლა
ქვეყნის მტერია,
სამგროშიანი
მიდის ოპერა...
ეს კაცი
შენი ფეხის მტვერია,
აქ ჯოჯოხეთის
ქარმა მობერა!

მოიპარება
მთვარე ლეკივით,
ყვარლის მთებიდან
ზვრებში ეშვება...
მე შევაკვდები
ალგეთს ლეკვივით,
მაგრამ შადიმანს
რა ეშველება?!

ჩვენ უსათუოდ გავალთ ფსოუმდე!

რატომ მარგუნა
უფალმა ბედი,
რომ ეს მახვილი
ძილშიაც ვლესო?
დამადგი მკერდზე
კავკასის ქედი,
უწმინდესო და
უპირველესო!

მითხარი,
საით მიდის ენგური
ან რატომ მიყვარს
ასე ძალიან
ჩემი სვანური,
ჩემი მეგრული —
სისხლით ქართული
იავ-ნანინა?

რატომ მაგიჟებს
ველი ალაზნის,
რად ვიბადები
ისევ იორთან,
ანდა ფაზისი —
ასე ლამაზი —
პონტოს ნაპირთან
როდის მიგორდა?

რატომ იხრჩობა
მტკვარში არაგვი,
ან ვის ეძახის
ახლა ყვირილა?
თუ საქართველოს
მტერი გადაგვის,
მზეც დააყრუოს
ჩემმა ყვირილმა!

როცა კოდორშიც
მეცვა ფარაჯა,
ეპოქამ — ეშმას
გამონაცვალმა —
ჭოროხთან თურქი
დამიდარაჯა,
ტაო-კლარჯეთი
ამომაცალა!

როდესაც თერგის
წყალი დავლიე,
შევკარი ფიცი
უფლის მონათგან,
ამოდ გავხედე
დღეებს ცარიელს,
ჰაოსის ჯარი
ლორეს მოადგა!

მტერს ჩვენი სისხლი
ვეღარ მოუნდეს,
საქართველოსთვის
ღმერთმა ილოცა...
ჩვენ უსათუოდ
გავალთ ფსოუმდე,
ჩვენი იქნება
საინგილოცა!!!

და როცა ცეცხლში იმპერიების...

სად მელოდება
მეფისტოფელი,
წუხელ მიკრეფდა
იას მარია...
სხვამ განადიდოს
მეფის ფიტული,
ჩემი სამშობლო
იანვარია!

... და როცა ცეცხლში
იმპერიების
მიხაკისფერი
ვარდი ამოვა, —
გახსოვდეთ სახე
იმ ბერიების,
ვისთვისაც სისხლი
კვლავ საამოა!

ეი, ბიჭო, სამშობლოსთან არაფერი შეგეშალოს!

ღმერთმა ჭირი
გვაშოროს და
შოთას ფრესკა
არვინ შალოს...
ეი, ბიჭო, სამშობლოსთან
არაფერი შეგეშალოს!

სხვამ არ თოხნოს
ჩემი ყანა,
არც ჩონგური
ჩემი თალოს...
მე ისეთი მგლები მყვანან,
ალგეთს მტერმა ვერ დათვალოს!

ალავერდში
ვანთებ სანთელს,
იმ გმირების
წასვლას ვნანობ, —
არტანუჯთან ვხვდები ხანძთელს,
რომ ფეხები ცრემლით ვბანო!

ბერი —
თათრის ანაკუწი —
გვარიდებდა
სისხლის კალოს...
ყველა დუშმანს, როგორც უწინ,
გზა თევდორემ გაუკვალოს!

ვინ აგაკრას
აწი ზეცას,
გორგასლანის
დიდო ფარო?
აქ აბჯარი მთასაც ეცვა,
აქ თამარი დედოფალობს!

ღმერთმა ჭირი
გვაშოროს და
შოთას ფრესკა
არვინ შალოს...
ეი, ბიჭო, სამშობლოსთან
არაფერი შეგეშალოს!!!

ქართველ ერს, საქართველოს ხელისუფლებას

დაუყოვნებლივ უნდა აიკრძალოს ჩვენი მიწა-წყლის უცხოელებზე გასხვისება, როგორც ეს მთელს მსოფლიოში, მათ შორის ევროპაში და მუსლიმანურ სამყაროშია. ამერიკაშიც კი, უდიდესი ეკონომიკური რესურსებისა და უზარმაზარი სახელმწიფოებრივი ძლიერების ქვეყანაში, მინიმუმ 5 წლის ცხოვრების სტაჟია საჭირო, რომ უცხოელმა იქ მოქალაქეობა მიიღოს და რაიმე მნიშვნელოვანი შეიძინოს.

ამ საკითხთან დაკავშირებით ბიბლიაში ვკითხულობთ:

„მიწა სამუდამოდ არ უნდა გაიყიდოს, რადგან ჩემია მიწა“, – გვეუბნება უფალი, – „რადგან თქვენ მდგმურები და ხიზნები ხართ ჩემთან. თუ შენი მოძმე გაღარიბდება და თავის სამკვიდრებელს გაყიდის, მივიდეს მისი ახლო ნათესავი და გამოისყიდოს თავისი მოძმის გაყიდული“. ამ ამონარიდებიდან ნათლად ჩანს, რომ მიწის გაყიდვის გარდაუვალობის შემთხვევაშიც კი, მიწა თვისტომმა უნდა შეიძინოს და არა უცხოელმა (ბიბლია, ძველი აღთქმა, 1985, თბ., გვ. 120).

2005 წელს პრეზიდენტ მ. სააკაშვილის ხელმოწერით გამოქვეყნდა „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“, რომელიც შეეხო თბილისის შემოგარენში არსებულ 22 სოფელს, მათ შორის სოფ. დიღმის მოსახლეობას, სადაც 14 ათასი ადამიანი ცხოვრობს, რომელთაც აეკრძალათ როგორც მსხვილფეხა რქოსანი, ისე წვრილფეხა საქონლის ყოლა. მოსახლეობა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩავარდა. თუ ადრე თბილისის ბაზრები გაჯერებული იყო დიდძალი პროდუქციით, ყოველივე ეს ერთბაშად შეწყდა, აი, ასე ზრუნავდა ე. წ. პრეზიდენტი საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური და ეროვნული უსაფრთხოების პრობლემებზე.

ახალმა ხელისუფლებამ კონტროლი უნდა დააწესოს ორმაგ მოქალაქეობაზე, შეისწავლოს უცხოელებზე გასხვისებულ სტრატეგიულ და ჩვეულებრივ ობიექტებზე კონტაქტები, აგრეთვე ნასყიდობის ხელშეკრულებები ჰიდროელექტროსადგურებისა და დიდძალ მიწა-წყალზე. საგანგაშოა, მაგალითად, რომ სამეგრელოში რუსეთის მოქალაქეებმა 20 ათასი ჰექტარი სავარგული შეიძინეს. ამასთან, ზოგიერთმა ჩალის ფასად ხელში ჩაიგდო ათეულათასობით ჰექტარი სავარგული, საიდანაც არც ერთი თეთრი არ შედის ბიუჯეტში. ამ განუკითხაობას ბოლო უნდა მოეღოს, მიწა უნდა დაუბრუნდეს ჭეშმარიტ მწარმოებელს – ქართველ გლეხს. სავალალო მდგომარეობაა მრეწველობაშიც. ფაბრიკა-ქარხნები მთლიანად განადგურებულია ან ჯართად არის გატანილი უცხოეთში. არაფერი კეთდება წარმოების ასაღორძინებლად, მასიურად იჩეხება ძვირფასი მერქნის ხე-ტყე და იგზავნება საზღვარგარეთ. ეს ტენდენცია საქართველოს ეკოლოგიურ კატასტროფას უქადის და ეკონომიკის სრულ განადგურებას იწვევს, რაც ქართველ ერს ასპროცენტიანი გაქრობის საშიშროების წინაშე აყენებს.

საქართველოს წინანდელი ხელისუფლება ქვეყნის გაძლიერების მაგივრად ხელს უშლიდა მას და უცხო ძალების დაქვემდებარებისკენ მიაქანებდა. გამოუცდელი მმართველობის მეშვეობით უგულებელყოფილია კანონები, სამართალი, ღვთისადმი რწმენა, მორალი, კეთილშობილება, მოქალაქეთა უფლებები. ხელისუფალი და მისი გუნდი, ანგარებით, პირადი მიზნებისა და გრძნობების შესაბამისად იყენებდა ძარცვავდა და ითვისებდა ბიუჯეტის თანხებს, უცხოელებზე ყიდდა სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებს, შენობა-ნაგებობებს, ბუნებრივ სიმდიდრეებს: მიწას, წყალს, ხეობებს, ტყეს. დიქტატურის შესანარჩუნებლად ყველაფერს კადრულობდა და ბედავდა. ხელისუფლებამ წესად გაიხადა მოტყუება, მოსყიდვა, ღალატი, სიყალბე, ანგარება; განადგურდა ეკონომიკა, გაიძარცვა მილიარდობით დოლარის ღირებულების ფაბრიკა-ქარხნები, მიწასთან გასწორდა სოფლის მეურნეობა. მილიონზე მეტი ადამიანი ლუკმაპურის საშოვნელად საზღვარგარეთ გადაიხვეწა. ქვეყანაში ბატონობს მასობრივი უმუშევრობა, უამრავი ადამიანი შიმშილობს, რომლებიც მომავალს უიმედოდ უყურებს, ბატონობს უსამართლობა, ძალადობა.

ეკონომიკურად თითქმის დაკარგული გვაქვს სუვერენიტეტი. კაპიტალისტური ქვეყნების გასაღების ბაზრად და მომხმარებელ ქვეყნად გადავიქეცით. ამიტომ განსაკუთრებული ზომებია მისაღები. საქართველოს გლეხობას უნდა გამოეყოს სუბსიდიები, იაფი კრედიტი; უნდა აღდგეს მანქანა-ტრაქტორთა სადგურები.

ყოფილი ხელისუფლება, საქართველოს ეკონომიკის მხარდაჭერის ნაცვლად, ხელს უშლიდა მას და ქვეყანას უცხო ძალების სატელიტად გადაქცევისკენ მიაქანებდა, როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად საქართველოს მეწარმეებს და ფერმერებს თავისუფალი საქმიანობის საშუალება და წარმატების პერსპექტივა დაკარგული აქვთ. სამაგიეროდ, ქვეყნის სტრატეგიული დარგები, მწარმოებლური სიმძლავრეები და სავაჭრო სექტორი უცხოელების ხელშია. ასეთი მდგომარეობა არა მარტო ეკონომიკურ სიდუხჭირეს, არამედ მიუღებელი ღირებულებების დამკვიდრებას იწვევს.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მიუმხრობელი და ბალანსირებული სახელმწიფო პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, თუ ბინძური მოჩვენებითი და სავალალო მდგომარეობა ჭეშმარიტი და არა მოჩვენებითი სტაბილურობით, მდგრადი პოლიტიკურ-ეკონომიკური კეთილდღეობით შეიცვლება, ჩვენი ქვეყანა ღირსეულ ადგილს დაიკავებს როგორც რეგიონში, ისე მთელ მსოფლიოში.

შავ ზღვაზე გასასვლელისთვის საუკუნეების მანძილზე ოცნებობდა სომეხი ერი. ამიტომ იყო, რომ თავის დროზე სომხეთის მღვდელთმთავარი ვაზგენი სომეხ ერს მოუწოდებდა, მესხეთ-ჯავახეთში დამკვიდრებას და ამ ტერიტორიების ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ, რისი მოწმე და მონაწილე ბატონი ნიკო ბერძენიშვილი და მეც, თენგის ჩხეიძე გახლავართ. მოხდა სასწაული და ჩვენმა პრეზიდენტმა ლანგრით მიართვა მათ დღემდე ოცნებად ქცეული ეს საჩუქარი – შავ ზღვაზე გასასვლელი, რისთვისაც სამჯერ ფარულად შეხვდა თბილისში სტუმრად მოწვეულ სომხეთის პრეზიდენტს, ბატონ სარქისიანს.

ჩვენ არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო მეზობელ ერთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დასამყარებლად, მაგრამ, გვაქვს რა მწარე გამოცდილება, ჩვენი ქვეყნისთვის დამღუპველად მიგვაჩნია ქართველი ერის ზურგს უკან სეპარატისტული ხელშეკრულების გაფორმება და ქვეყნის სუვერენიტეტის ეჭვქვეშ დაყენება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასელექციო საქმიანობას. აკადემიკოსებმა: სელექციონერმა უშანგი ჯიბგაშვილმა და აგრარიკოსმა თენგიზ ჩხეიძემ, გამოვიყვანეთ ხორბლის ახალი, უნიკალური ჯიში „ალაზნის ველი“, რომლის ერთი მარცვალი იძლევა 200 თავთავს, ანუ 11500 მარცვალს, ამრიგად, ჰექტარზე ვიღებთ 6-დან და 8 ტონამდე ხორბალს (ამასთან, ერთი ჰექტარის დასათესად საკმარისია 100 კგ. თესლი). აღნიშნული ჯიში წელიწადში სამ მოსავალს იძლევა: საშემოდგომოს, საგაზაფხულოს და ნაწვერალზე. ეს არის XXI საუკუნის საკაცობრიო მნიშვნელობის მიღწევა. ამ მიღწევისთვის უშანგი ჯიბგაშვილი და თენგის ჩხეიძე რამდენჯერმე მიგვიწვიეს უკრაინაში, ქ. ალუშტაში, ნობელის პრემიაზე წარსადგენად, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ უარი თქვა ჩვენს დაფინანსებაზე; სულ საჭირო იყო 2000 ლარი.

აღმაშფოთებელია ისიც, რომ მაშინდელმა ე. წ. სოფლის მეურნეობის მინისტრმა პეტრე ცისკარიშვილმა დაიწყო რქაწითელის ჯიშის ვაზის ამოძირკვა და ამ „სიამოვნებაში“ კახელ გლეხობას 2000 ლარს სთავაზობდა. მისივე ბრძანებით იტალიელ ბიზნესმენებს რამდენიმე ტონა „ბადაგონი“ დაუღვარეს, როგორც უვარგისი, რომელმაც შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში ოქროს მედალი დაიმსახურა.

პ. ცისკარიშვილი – სოფლის მეურნეობის მინისტრი? ეს არის მიხეილ სააკაშვილის და ცისკარიშვილის მიერ შეთხზული ცინიზმი. მათ წარმოდგენა არა აქვთ აგრარულ პრობლემებზე; პ. ცისკარიშვილი საერთოდ არ ყოფილა აღნიშნულ სამინისტროში, იქ იგი არავის უნახავს.

გერმანელებმა დაამტკიცეს, რომ მიწაზე კერძო საკუთრება, განსხვავებით სხვა ქონებისგან, უფრო საყოველთაო ინტერესებს, სოციალურ და სამართლებრივ მოთხოვნებს უნდა დაექვემდებაროს, ვიდრე ბაზრის სტიქიას და ცალკეულ პირთა შეხედულებებს. მიწაზე საკუთრების უფლება საზოგადოებრივ და ქვეყნის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. მიწის მიმართ მესაკუთრეთა უფლება აბსოლუტური არ არის, განსხვავებით სხვა უძრავი ქონებისგან, მიწის ყიდვა-გაყიდვას, ჩუქებას, ანდერძს არსებითი შეზღუდვები გააჩნია. მათი მიზანია მიწების განიავებისგან, სპეკულაციისგან თავის დაზღვევა, განსაკუთრებით უცხოელების მიერ მისი ხელში ჩაგდების გამორიცხვა. სწორედ ამიტომ, გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ მიწა მიწის კოდექსში არ შეიტანა, რადგან იგი ადამიანის მიერ შრომით შექმნილი საქონელი – ნივთი – არ არის.

საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე საშუალოდ 0,16 ჰა. სახნავი მიწა მოდის. ე. წ. მიწის პრივატიზაციის შედეგად, გლეხი ფაქტობრივად უმიწოდ დარჩა. ზოგიერთ სოფელში კომლზე, რომელიც 5-6 და მეტი წევრისგან შედგება, გაცემულია 0,5-0,6 ჰა. სახნავი, ხოლო მიწით „უზრუნველყოფილ“ სოფლებში – 1 ჰა, ზოგან უფრო მეტი, ზოგან – ნაკლები. აქ ზედმეტია ლაპარაკი ფერმერულ მეურნეობაზე. ასევე ჩიხშია მოქცეული ახალშექმნილი ოჯახები, რომელთაც მოუწევთ ქალაქში გაქცევა და უმუშევრად დარჩენა.

მოტანილი მონაცემები ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ როგორ ზრუნავდა თავისუფლების ინსტიტუტი, „მიწის მესაკუთრეთა ინტერესების დაცვის ასოციაცია“ ჩვენს ღარიბ მოსახლეობაზე და საერთოდ ქვეყანაზე. გნებავთ აქვე მოტყუებული და გაძარცული დიღმის მოსახლეობა გავიხსენოთ, რომელთაც ერთ მილიონამდე ლარი შეუჭამეს და საკარმიდამოებით დღემდე არ დაუკმაყოფილებიათ.

აქვე უნდა გაცნოთ კარს მომდგარ კიდევ ერთ უბედურებაზე: გაიხსნა ბანკები, სადაც ნებისმიერს შეუძლია დააგირაოს თავისი ადგილ-მამული, მეორდება ის, რასაც ადგილი ჰქონდა დიდი ილიას დროს. მადლობა ღმერთს, მაშინ რევოლუციამ გადაგვარჩინა. დღეს ვინღა გვიშველის? ჰოლანდიაში ფერმერის მიწის ფართობი 5-დან 8 ჰექტარამდეა; ევროკავშირში ამ ზომის მიწის მფლობელია მეურნეთა 56%, იტალიაში – 78%.

გახარებული იყო ეკონომიკის ექსპერტი ალექსანდრე თვალჭრელიძე, იმით რომ სახელმწიფო მიწების პრივატიზაციით მოხდა მიწის კაპიტალიზაცია, მეურნეობა ეკონომიკურად მომგებიანი გახდებაო. მაგრამ გლეხს საჭირო ტექნიკა არ გააჩნია, მოშლილია საირიგაციო სისტემა. მიწები გამოფიტული და მწირია. მოსავალიც მცირეა, მაგრამ მაინც გახარებულია.

სამაგიეროდ, უკმაყოფილოა იმით, რომ „კანონპროექტი ნაკლებად თამამია, ვიდრე შეიძლებოდა ყოფილიყო. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესყიდვის უფლება ჰქონდა მხოლოდ საქართველოს მცხოვრებს ან აქ მოღვაწე იურიდიულ პირს. ცუდია, რომ იგივე უცხოელ ინვესტორს ამის უფლება არ ჰქონდა. ტრაგედია არის ის, თუ უცხოელი იმ ფართობებს შეისყიდის, რომლებიც დღეს სახელმწიფოს საკუთრებაშია და, ფაქტიურად, პატრონი არ ჰყავს. ხომ ვერ აიკიდებს უცხოელი მიწას და გაიტანს საზღვარგარეთ? პირიქით: უცხოელი არ იცხოვრებს იმავე პირობებში, რაც დღეს ჩვენს სოფელშია და შექმნის ინფრასტრუქტურას – მოაწესრიგებს გზებს, გაიყვანს გაზს, წყალს, შექმნის სამუშაო ადგილებს“.

ამ სისულელის ავტორია ბატონი რომან გოცირიძე; შემდეგ იგივე გაიმეორეს ბატონებმა: გ. ხევიაშვილმა და ა. თვალჭრელიძემ.

ბატონებო! მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოგიყვანთ:

კახეთის საუფლისწულო მამულები ეკუთვნოდა რომანოვების საიმპერატორო კარს. მთელი შემოსავალი მიედინებოდა იქ, არც ერთი თეთრი არ ხმარდებოდა ქვეყნის საწარმო ძალთა განვითარებას.

XIX ს. მეორე ნახევარში ქვემო ქართლში „მოღვაწეობდა“ ორასამდე უცხოელი კაპიტალისტი. შემოსული კაპიტალიდან ჩვენს ქვეყანას არც ერთი თეთრი არ ხმარდებოდა. მაგალითად, კუჩენმახი, რომელსაც მეცხოველეობისა და სოფლის მეურნეობის დიდი ფერმები ჰქონდა, ისე იყო ჩაკეტილი რომ „ჩიტი ვერ შეფრინდებოდა“ შიგ და ჩვენს გლეხობას იქიდან არაფერი უსწავლია. თვითონ კუჩენბახი კი ფართოდ სარგებლობდა ჩვენი მიღწევით და გამოცდილებით.

ანანოვი, რომელიც ფლობდა ავჯამეთს, ეწეოდა მუხის შპალების ექსპორტს, გამართული ჰქონდა მეღვინეობის მაღვალკვალიფიციური მეურნეობა; აწარმოებდა შესანიშნავ ღვინოებს, კონიაკს და სხვა პროდუქციას. მთელი მისი შემოსავალი ირიცხებოდა ინგლისის ერთ-ერთ ბანკში. საქართველოსთვის მას მნიშვნელოვანი არაფერი გაუკეთებია.

იმისთვის, რომ უარყოფითი შედეგები არ განვითარდეს საქართველოში, საჭიროა, ხელისუფლება აქტიურად ჩაერთოს ეკონომიკის მართვაში და იგი სწორი გზით წაიყვანოს. ამის კარგი მაგალითია, ამერიკის, საფრანგეთის, გერმანიის, იაპონიის მთავრობები, რომლ;ებიც თვითონ მართავენ თავიანთი ქვეყნის ეკონომიკას. ნობელის პრემიის ლაურეატი სტიგლინცი ასაბუთებს, რომ ქვეყნის ხელისუფლებას განსაკუთრებით უკეთ შეუძლია ქვეყნის მართვა, ვიდრე კერძო სექტორის მესაკუთრეს. ამიტომ მსხვილი საწარმოები, რომლებიც მოითხოვენ დიდ კაპიტალდაბანდებას და მაღალ ტექნოლოგიებს, აუცილებლად სახელმწიფოს ხელში უნდა დარჩეს.

როგორ მოხდა, რომ პარლამენტმა არ გაითვალისწინა 2003 წელს თავისივე მიღებული კანონი „ნიადაგის კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა – გაუმჯობესების შესახებ“? კენჭისყრა ძალიან ადვილია, განსაკუთრებით მაშინ, როცა მასში მონაწილეობენ კორუმპირებული მაღალჩინოსნები, რომელთაც გრძელვადიანი იჯარით შესყიდვის უპირატესი უფლებით აღებული აქვთ ასობით, ათასობით და ათიათასობით სავარგულები, ისინი ადვილად ახერხებენ, პარლამენტს მიაღებინონ თავისთვის სასარგებლო კანონები, შეიტანონ მასში საკუთარი ცვლილებები. „იჯარის კანონში“ მათ შეიტანეს ქვეიჯარა, ე. ი. იჯარის იჯარა, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია. რატომ ჩაიდინეს ეს? იმიტომ, რომ ადვილად დაეფარათ ძირითადი საიჯარო გადასახადი.

სამი წლის წინ კახელმა გლეხებმა მიიღეს ხორბლის ზღვა მოსავალი, მიმდინარე წელს კი – ყურძნის დიდი მოსავალი, მაგრამ, ბაზრის უქონლობის გამო, ხორბალი ეზარალათ. კახურ „მახობელას“ თურქული „ფათოღლი“ კონკურენციას ვერ გაუწევდა, ჩვენს მთავრობას ამ საქმისთვის რომ მიეხედა.

აშშ-ში ფრანკლინ რუზველტმა გაატარა მთელი რიგი რეფორმები ეკონომიკაში, რაც „ახალი კურსის“ სახელითაა ცნობილი. ამით მან გადაარჩინა ფერმერები და ამერიკა.

პირველი მოწვევის პარლამენტში ჩვენ ვმუშაობდით პარლამენტის აგრარული კანონშემოქმედებით ჯგუფში. ჩვენთან თანამშრომლობდა (ერთი თვის მანძილზე) ბუშის (უფროსის) მრჩეველი აგრარულ საკითხებში კუპერ ევანსი, რომელიც მოხიბლული იყო ჩვენი ტრადიციებით, ადათ-წესებით. წასვლის წინ გამოგვიცხადა: „თქვენ ისეთი ტრადიციების, ადათების და კულტურის ხალხი ყოფილხართ, რომ ჩემთვის ეს იყო აღმოჩენა. თქვენ არავისგან არაფრის გადმოღება არ გჭირდებათ“. განსაკუთრებით მოსწონებია მკვიდრის ინსტიტუტი, რამაც ქართველი ერი საუკუნეების განმავლობაში გადაარჩინა სეპარატიზმისა და მისი დამღუპველი შედეგებისგან, სწორედ მან გვირჩია ამ ინსტიტუტის აღდგენა.

აკადემიკოსი ***თენგიზ ჩხაიძე***

ნომენკლატურული დაბუაშვილი

ბებერი ჭაკის ანალოგია

გიორგი ოზაანელი

გამიკვირდა: საიდან სად?!
სიზმარია? თუ არაკი?
სად ჟენევა? სად საჩხერე?
ვინ ლიზა და ვინ აკაკი?!

აკაკი წერეთელი

გონებაში იმავე წამს სწორედ აკაკის ეს სტროფი წამოუტივტივდა გახეტებულ ჯემალ მეხრიშვილს, 2010 წელს გამოცემულ „თანამედროვე ქართული პროზის ანთოლოგიაში“ მოულოდნელად საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, პოეტი მაყვალა გონაშვილიც რომ შემოეფეთა: სიზმარია თუ ცხადი?! პროზის ანთოლოგია მიჭირავს თუ პოეზიის?!. სად პოეტი მაყვალა გონაშვილი, სად პროზა?! როდის იყო, იგი პროზის ჟანრშიც იღვწოდაო?!.

გაბუცებას ახლა სირცხვილის განცდაც დაეწონა: ეტყობა, პოეტი ქალი ადრიდანვე პროზის სფეროშიც მუშაობდა, მე კი თურმე კამეჩის რქაში ვმჯდარვარ და ახლაღა შევიტყვეო!

პროფესიულმა ცნობისმოყვარეობამ და კოლეგიურმა პატივისცემამ მაინც თავისი გაიტანა: ჯ. მეხრიშვილმა ჯარისკაცური დისციპლინით მოთოკა მღელვარება და მაყვალა გონაშვილის ტექსტი „ბეღურა საღორეში“ უკიდურესი გულისყურიანობით წაიკითხა. მაგრამ ნეტავი არ წაეკითხა!

მთელი ეს თერთმეტგვერდიანი ე. წ. მოთხრობა თითქოს განზრახ, მკითხველის გამოსათაყვანებლად ნაბლარდნი ჩიქორთულ-გრაფომანული ართილულუ-ჩართილულუ გამოდგა!

ეტყობა, ამ ჟანრში უმეცარსა და თანაც პოეზიის ანთოლოგიის გარდა ბარემ პროზის ანთოლოგიითაც „გაუკვდავების“ მაცდური სურვილით აცუნდრუკებულ ავტორს მიახლოებითი წარმოდგენაც კი არ აბადია რკინისკუჭიანი პროზის გველეშაპის მადასა და ბუნებაზე! ამიტომ მოთხრობის შეხანხვლაც ისეთივე ადვილი ჰგონებია, როგორც რაღაც მესტვირული კუპლეტებისთვის მოსახდენი რაგინდარა რითმების ხელგაწაფული ბეჭვა!!!

თავშესაწყენ ტექსტს, უმეტესწილად ავტორისეული მონოლოგით რომ იჩხლართება, არ გააჩნია რამედ ღირებული თხრობის სტილი, კულტურა და ტექნიკა. ამიტომ, ცხადია, ვერც თემის, იდეისა და მთლიანი მასალის მხატვრული დამორჩილება ხერხდება!

მ. გონაშვილი თავის ამ ტექსტში – როგორც ეს საერთოდ, ათადანბაბადან მხატვრულ ლიტერატურაშია მიღებული! – მოვლენათა თანამიმდევრობას და მოქმედ პირთა ურთიერთობას აგებს და ავითარებს არა იქ შექმნილი კონკრეტული სიტუაციის, პერსონაჟთა ფსიქოლოგიური თავისებურებებისა და იმწუთიერი გუნება-განწყობილების მკაცრი გათვალისწინებით, არამედ თავისი უსუსური მხატვრული შესაძლებლობისა და წინდაწინვე აკვიატებული, თანაც სქემატურ-პრიმიტიულად წარმოდგენილი „ჰუმანისტური“ სურვილების დამღუპველი კარნახით!!!

სწორედ ეს არის მიზეზი, რომ როგორც ახალბედა ნორჩ მომიტინგეს დროშაკი, მასაც ისეთივე, მომაბეზრებელი თვითმიზნურობით მოუმარჯვებია ლუკას სახარებიდან შეცდომით ამოწერილი ფრაზა „გიყვარდეს მტერი შენი“ (უნდა იყოს „გიყვარდეთ თქვენი მტრები“) და მთელი ტექსტის მანძილზე ჯამბაზური სისხარტით იქნევს აქეთ-იქით, რა არის მკითხველი როგორმე დააჯეროს, რომ ჰუმანურია ნაწარმოები, ვიღაც გოგუცანას მიერ ქმარწართმეული მანდილოსანი და, რაღა თქმა უნდა, თვითონ ავტორიც!!! მაგრამ ვერც ავტორი და ვერც შვიდკაციანი სარედაქციო კოლეგია ვერ ხვდება, რომ ეს არის არა მართლა მხატვრული დამაჯერებლობით ხორცშესხმული, არამედ ჯერ გამოუწვრთნელი, თანაც აჩქარებული გრაფომანის მიერ ყურით მოთრეული კარიკატურული ჰუმანიზმი!

ავტორი პროზაული ნაწარმოების, ამ შემთხვევაში კი მოთხრობის აგების არქიტექტონიკური საიდუმლოების უმარტივეს ელემენტებსაც რომ ვერ არის განდობილი (ანდა, ასე უეცრად, ცამოწმენდილზე რანაირად უნდა განდობოდა, თუკი მთელი სიცოცხლე ამ ჟანრში არ იღვწის?!), მოწაფური გულმოდგინებით ძალმომრეობს, რათა როგორმე მიაწებ-მოაწებოს სრულიად ზედმეტი, უსარგებლო და ერთმანეთისათვის უცხო, თანაც ერთმანეთთან მხატვრულ-სიუჟეტურად დაუკავშირებელი ეტიუდური ნაგლეჯები! მაგრამ ზედმეტ, თანაც მხატვრულ წებოწაუსმელ ფრაგმენტებს ერთმანეთთან რა შეანივთებს?!

აქ ავტორს არ ესმის ანდა არ სურს შეიგნოს ჭეშმარიტი მწერლის ქრესტომათიული საცოდნელი: ეს ქაღალდი იტევს და ითმენს ყველაფერს და არა გამოცდილი მკითხველის გემოვნება და სინდისი!!!

ტექსტის სიუჟეტი თავიდან ბოლომდე ისეთი გაცვეთილი, ადამჟამინდელი სქემატიზმითაა დაღდაკრული, რომ თავიდანვე ადვილად იგრძნობა, დილეტანტი ავტორი მოვლენებს როგორ განავითარებს და ბოლო რანაირად დასრულდება!

ყოველივე ამან კი ჯ. მეხრიშვილს ერთი ძველებური ამბავი გაახსენა.

ერთ ქიზიყელ გლეხკაცს ჭაკი გაუჯაგლაგდა და აღარაფერში ვარგოდა. ასეთ შემთხვევაში რაკი ჩამობერებულ ცხოველს თოფდასაცემად ვერ იმეტებენ, ტყე-ველად გაუშვებენ ხოლმე, რათა წუთისოფელს სადმე თავისით გამოესალმოს ანდა მგლის არჩივი გახდეს. მაგრამ ეს გლეხკაცი ცოტა ქვახარშია იყო და იფიქრა: ბრმა საქონელს ბრმა მუშტარი არ დაელევა – მოდი, გავიყვან ბაზარზე და ორიოდე გროშიც რომ შემომაძლიონ, გავატანო. ასეც მოიქცა! ბოდბისხევის ბაზარზე ყოველკვირა დაჰყავდა, მაგრა ამაოდ: ვინც მივა, აუწევს ჩიჩვირს და – ბებერიაო!

ეს კემუხტი, უკანდაუხეველი გლეხი იხტიბარს მაინც არ იტეხდა და ბაზრობას არ აცდენდა! ბოლოს საცოდავი ჭაკი ისე გამოიწვრთნა, მუშტრის მიერ თავის აწევა და ჩიჩვირზე ხელის შეხებაც აღარ სჭირდებოდა: ვინც მიუახლოვდებოდა, ბებრულ თავს ზანტად აიღებდა, გადალიბრულ თვალებს მილულავდა და უკბილო, ჩამპალ ღრძილებს თავისით უკრეჭდა!!!

„მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს ეს ტექსტი ნუთუ მართლა მოთხრობა ჰგონია?! ჰმ!.. ამ ქალს რაკი ელექტროწრედში უთოს ჩართვა-გამორთვა, პომადით ტუჩების პოხვა, თმის საღებავის თითხნა და მანიკიურ-პედიკიურისას ფრჩხილების გაწითლებაც ეცოდინება, შეიძლება თავი ახლა ფიზიკოს-ქიმიკოსადაც გამოაცხადოს!.. ეეეჰ!..“ – თავშეკავებით ამოიოხრა ჯ. მეხრიშვილმა და უნებურად წამოაგონდა ხალხური ლექსის ნაწყვეტი.

დაბუაშვილი გელაო,
ეგრე რამ გაგამგელაო?!

დასაწყისი. გაგრძელება შემდეგ ნომერში

შაგაბუგა მოქარითული

ახმეტელი ქალი ვიყავ, ახნეტავი მეო,
ოცდახუთი წელიწადი ოსტატს
ვებარეო,
ნემსს ყუნწი საითა ჰქონდა,
ის ვერ ვისწავლეო!

ხალხური

მაყვალა გონაშვილის ყოველგვარ მხატვრულობას მოკლებული ტექსტის „ბეღურა საღორეში“ უიმედო გრაფომანობაზე უფრო მეტად მკითხველს ავტორის (და თავისთავად ცხადია, ამასთანავე სარედაქციო კოლეგიის) მიერ გამომჟღავნებული ქართული ენის ელემენტარული წესებისა და ბუნების უმეცრობა აოგნებს.

ტექსტის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი უკიდურესად აღელვებული ქართველი თანამედროვე მანდილოსანია. იგი თხრობის დასაწყისიდანვე გაავებით მიისწრაფვის თბილისის რომელიღაც უბანში მდებარე ერთი ძველნაშენი სახლის სხვენზე მიკუნჭული ხუხულისკენ, სადაც უნდა მიუსწროს და მზად არის თუგინდ შუაზე გაგლიჯოს ვიღაც გოგონა, რომელსაც ოთხიოდე წლის უკან ამისთვის თურმე კანონიერი ქმარი აურთმევია თუ წაურთმევია.

მკითხველიც დაყაბულდება, წინ უკიდურესაც დრამატული სცენა გველოდება, რომელიც ავტორისგან პროზაიკოსის უზადო თუ ვერა, რამედ ღირებულ ოსტატობას, ენის ზედმიწევნით ცოდნას და დახვეწილ მხატვრულ აზროვნებას მოითხოვს. ახლა თვით მ. გონაშვილს მოუსმინეთ:

„რამდენჯერ უფიქრია იმ ქალთან შეხვედრაზე, რამდენჯერ წარმოუდგენია ფიქრი, როგორ გაუყრიდა თვალს თვალში იმ უნამუსოს“.

სინტაქსიო?! ჰმ, აქ სინტაქსისთვის ვიღას სცხელა!.. აბა, როგორია მხატვრულად და აზრობრივად ეს „უნიკალური“ ფრაზა – „რამდენჯერ წარმოუდგენია ფიქრი?!“

მკითხველო, საინტერესოა, თქვენ თვითონ როგორ წარმოგიდგენიათ საკუთარი „ფიქრის წარმოდგენა?“ ეს არის მხატვრული პროზა?!

მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ავტორისეულ თხრობაში აზრმიუტანებლად წამდაუწუმ გაიძახის:

„კიბეები სულმოუთქმელად აათავა“. „როგორ ამოუვლიდა მისი ქმარი ამ კიბეებს“. „სულმოუთქმელად დაეშვა კიბეებზე“...

კი მაგრამ, ერთი ძველებური სახლის სადარბაზოს მაინც რამდენი „კიბეები“ შეიძლება ჰქონოდა?! ან თუგინდ ახალი, თანამედროვე საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოებში ვინმეს უნახავს ან შეუძლია წარმოიდგინოს რამდენიმე კიბე? რად უნდა, რა საჭიროა ამდენი „კიბეები“ – ნუთუ ერთი არ იკმარებს?! მაგრამ აქ იმდენად ეს არ არის მთავარი! კეთილი, დავუშვათ და იმ ძველისძველი სახლის სადარბაზოს და მის უბადრუკ ჭერს მართლაც რამდენიმე კიბე ჰქონოდა, აბა, დაუფიქრდით – ერთი ადამიანი ერთდროულად მაინც რამდენ „კიბეებზე“ ავლა-ჩავლას თუ არბენ-ჩამორბენას შეძლებს?!

მაშ, რა ხდება? რა და აქ ავტორს ერთმანეთში ერევა კიბე და კიბის საფეხურები!!!

ანდა, რანაირი აზრია გატარებული ამ საკვირველ ფრაზაში: „როგორ ამოუვლიდა მისი ქმარი ამ კიბეებს“. „მისი ქმარი ამ კიბეებს“, უფრო სწორედ, ამ კიბეს სხვა რომელიმე სავალით, ხერხითა თუ საშუალებით გვერდზე კი არ „ამოუვლიდა“, არამედ თვით ამ კიბეს ამოივლიდა!!!

ავტორი კვლავ თავისებურად მიტოპავს და არ ესმის, სად მხოლობითი უნდა იხმაროს, სად – მრავლობითი.

„მისი ქმარი.. როგორ შედიოდა ამ პატარა, ფიცრულ კარებში“.

ახალბედა პროზაიკოსმა ამ ქალის ქმარი წელან ხომ სულ „კიბეებზე“ ზევით-ქვევით არბენინა, ახლა კიდევ ჯადოქარივით ერთდროულად რამდენიმე კარში გაატარ-გამოატარებს ხოლმე! რატომ? იმიტომ რომ არ იცის მეხუთე კლასელისთვის განკუთვნილი გრამატიკა: არა აქვს მნიშვნელობა, კარი უზარმაზარია თუ პაწია, „ფიცრული“ (?!) თუ რკინის, ცალსაგდულიანი თუ ორსაგდულიანი – მაინც კარი ჰქვია! ხოლო თუ მრავლობითით ვიხმარებთ „კარები“, მაშინ უკვე სრულიად სხვადასხვა რამდენიმე კარი იგულისხმება! ხოლო რაც შეეხება სიტყვას „კარებები“, ეს დამახინჯებული ფორმა კატეგორიულად უარყოფილია (იხ. „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“, 1998 წ. გვ. 313, მესამე სვეტი)! საკმარისი იყო, შეეჭვებულ ავტორს ხსენებული ლექსიკონი აეშრიალებინა და ყველაფერი თავის ადგილას დადგებოდა! მაგრამ, როგორც ჩანს, უნაღვლელ კალმოსანს მშობლიური ენა და მისი გრამატიკული ნორმები ზუსტად ისეთი ჰგონია, როგორც თვითონ ესმის და წარმოუდგენია!!! ამიტომ რაღა საჭიროა ამ სიმძიმე ლექსიკონებთან ჯაჯგური, მათი შარიშური და უკუფურცვლა!!!

* * *

ეს შურისმაძიებელი ქალბატონი კარდაურაზავ ხუხულაში მედგრად შეალაჯებს. ლოგინში კნუტივით მოხრუსტულ გოგონას სძინავს. ქმარმაძიებელი ქალბატონი ამ მძინარე რაყიფს თავის სიცოცხლეში პირველად რომ ხედავს, ზიზღით დააჩერდება. და აი, აქ ავტორი გუნებაში რას ათქმევინებს:

„რა ულამაზოა. როგორ გამხდარა. ამაში გამცვალა?“

ჭყანურად, ჭანსულო, ჭყანურად!



გოგი ხარაბაძე

ოსვოგოჟდენიე

ახლა რომ არის გაჩათლახებული პარიზში, რომში, ბერლინში ჩასვლა, ასე კი არ იყო ჩემს ჯეელობაში. დღეს, ოღონდ ფული გქონდეს, საცა გინდა იქ წახვალ. ჩვენს თაობას არც ფული ჰქონდა, არც არავინ არსად უშვებდა.

მეხის გავარდნას ჰგავდა, 67 წელს მოსკოვიდან, „მოსფილმიდან“ რომ დამირეკეს: „ზეგ ბერლინში უნდა იყოთ, „ოსვობოჟდენიეს'' გადაღებებზე, მელიტონ ქანთარია უნდა ითამაშოთო.“

ახლა მიეჩვივნენ ასეთ გამოძახებებს, თუმცა, მაინც ცოტა მეგულება ისეთი მსახიობი, ბერლინსა და პარიზში რომ იწვევდნენ. რის ვაივაგლახით გამიკეთეს „ხარაკტერისტიკა“, რომ მორალურად მდგრადი, ფიზიკურად ძლიერი, მართალია უპარტიო, მაგრამ მაინც ჭეშმარიტი საბჭოთა მოქალაქე ვარ და მეორე დილით გავფრინდი.

რა თქმა უნდა, „ჩერეზ“ მოსკოვი. ღამე იქ გავათიე და მეორე დღეს საბჭოთა ლაინერი ბერლინის მიწას შეეწება.

აეროდრომიდან პირდაპირ გადასაღებ მოედანზე აღმოვჩნდი.

ქალაქის შუაგულში ომის შემდეგ ხელუხლებელი, აღუდგენელი შენობა იდგა, რომელიც რეიხსტაგის ორეული აღმოჩნდა. სწორედ ამ შენობის შესასვლელ კიბეებზე იყო განლაგებული ჩვენი გადამღები ჯგუფი.

მიმიყვანეს დამდგმელ რეჟისორთან. ეს კაცი აღმოჩნდა ოზეროვი, ნიკოლაი. თუ ნიკოლაი მის ძმას — ფეხბურთის ცნობილ კომენტატორს, მსახიობსა და, მგონი, ჩოგბურთელს — ერქვა.

ერთი სიტყვით, ოზეროვი ნამდვილად იყო და ნამდვილად უკმაყოფილო დარჩა ჩემი დანახვით, „ქანთარია სხვანაირი წარმომედგინაო“; „როგორი სხვანაირი“ — არ უთქვამს, მაგრამ იმ წამშივე გაიშიფრა მისი უკმაყოფილების მიზეზი, როგორც კი ეგოროვის როლის შემსრულებელი გამაცნეს: ეს კაცი ასე წელამდე „მსტობოდა“.

პატარა თათბირის შემდეგ, რომელმაც, რა თქმა უნდა, უჩემოდ ჩაიარა, მომიახლოვდა ოზეროვი, იური, ოჰ, არ გამახსენდა, იური ერქვა და გვითხრა:

„ესე იგი ასე, დროშას ეგოროვი დაიჭერს“ (მჩაგრავს ქართველს ეს პიდარასტი), „სამაგიეროდ, ქანთარიას ნამდვილ, გერმანულ ავტომატს დავაჭერინებთო.“ (მაბამს ეს გოიმი).

ჩამაცვეს, გამგრიმეს.

მომცეს „ნემეცკი ავტომატი“... მაგრამ... მაგრამ, ირგვლივ რა ხდება, არ იკითხავთ?

დაახლოებით ხუთი ათასი ჯარისკაცია მობილიზებული, ნამდვილი საბჭოთა ჯარისკაცი, გდრში რომ მსახურობენ, კბილებამდე შეიარაღებულები. ჩვენ, მე და ეგოროვს მიგვითითეს გზა, რომელიც ხოხვით, სროლით და „ურას“ ძახილით უნდა გაგვერბინა და შემდეგ რეიხსტაგის შენობაში შევსულიყავით.

კი ბატონო, კი ბატონო, რა უნდა მაგის არტისტობას! მე ჯერ ოცდახუთი წლისაც არა ვარ, მაგრამ „გიორგობისთვეში“ და „ჩემ მეგობარ ნოდარში“ მთავარი როლები მაქვს ნათამაშები, ამხანაგო ოზეროვ!

„მოვემზადე-ე-ეთ“ ისმის ბრძანება!

„ქვეითები მზად არიან? “ კითხულობს რაციაში ოზეროვი.

პასუხი ჩვენ არ გვესმის.

„ტანკისტები?“

პასუხი ისევ არ გვესმის.

„ავიაცია?“

აუჰ...

არც ამის პასუხი გვესმის!

„ვნიმანიე! მოტოოორ!“

„მოტორო“ და იხუვლა ხუთი ათასმა ჯარისკაცმა! დაიძრა დაახლოებით ოცი ტანკი, რომელიც იქვე იდგა და მანამდე რეკვიზიტი მეგონა, ამდენივე თვითმფრინავი დაგვგუგუნებს თავზე და ეს შობელ-ძაღლი ეგოროვი ჩემს წინ რომ იდგა, თავის დროშიანად არ დაიძრა რეიხსტაგის კიბეებისაკენ!

... ვავა, ჯიმა ქანთარია!!! ვავა, ჯიმა მელიტონ!!!



ქანთარია კი არა, ვაი, შენ გოგიას, ამ რუსთაველზე გაზრდილ და ვაკეში დავაჟკაცებულ ბიჭს!

ომი მარტო კინოში მქონდა ნანახი და თანაც „გიორგი სააკაძე“.

„კარავში შედი, რუსუდან“... — ჩამესმა ბუმბერაზი ხორავას ხმა...

ზურგსუკან მართლა სამშობლოა, მე აქ საქართველოს ვერ შევარცხვენ, ჯუღაშვილის საქართველოს — ბერლინში!

არასოდეს!

...ევერ!

გავყევი ეგოროვს თუ დროშას, არ ვიცი, მაგრამ ვაი ამ გაყოლას. მარჯვნივ და მარცხნივ სულ, თბილისურად რომ ვთქვათ, ბომბები სკდება. ეს რუსი პიროტექნიკოსების ნახელავია! (ასე ჰქვიათ კინოსტუდიებში აფეთქებების, კვამლების, ხანძრებისა და სხვა უხერხულობათა მომწყობ სპეციალისტებს).

შევედით, როგორც იქნა, რეიხსტაგში. გაისმა „სტოპ!“

მრცხვენია, სხეულის რა ადგილებში ვიყავი სველი, ვერ ვიტყვი.

ეს დღე კი დამთავრდა, მაგრამ ხვალ?... ხვალ რა მეშველება, თუ იგივე გამეორდა? არადა, ამ საქმეზე ვარ ჩამოსული...

ყველაფერს შევეგუები — უდროშობას, ავიაციას, „პეხოტას“, ტანკებსაც, მაგრამ, ეს ნაღმები და აფეთქებები რომ მახსენდება, არა! ამის გაძლება მე არ შემიძლია!

ნეტა, ვინ არიან ეს პიროტექნიკოსები?

ჩავედი სასტუმროს ჰოლში. მშვენიერი სასტუმროა „ოტელ ეროლინა“, რესპექტაბელური ტიპები მიდი-მოდიან. ვხედავ კუთხეში მიყუჟულა სამი კაცი, იმ წუთში მიხვდები, რომ რაღაცას ხიმანდრობენ. დიდი ინტუიცია არ ჭირდებოდა, სამი რუსი „პიროტექნიკოსი“, ჩაცუცქული, ბერლინის აფთიაქში ერთ მარკად შეძენილ სპირტს უქანავებს.

აგიშენდათ ოჯახი!

გავვარდი ნომერში, ორი ბოთლი „ენისელი“ ამოვიიღლიავე, ბიჭებს შევუერთდი და მაგრა მოვილხინეთ.

ამ მოლხენას ის მოჰყვა, რომ მეორე დღეს, გადაღების წინ მოვიდა ვანიჩკა, მთავარი პიროტექნიკოსი და ჩამჩურჩულა: „მე მიყურე, განიშნებ სადაც არის „ვზრივჩატკები'' ჩალაგებული, დანარჩენი თვითონ იციო...“

დაიწყო გადაღება და ეგოროვმა, რომელსაც არც ქართული კონიაკი დაულევია გუშინ და არც გერმანული ერთმარკიანი სპირტი, პირდაპირ თავის დროშიანად ნაღმებზე გადაითხლიშინა, ქანთარია კი — უვნებელი, სხვა გზით მივიდა რეიხსტაგამდე!

პიროტექნიკოსები მოსკოვში დააბრუნეს სამხედრო საიდუმლოს გაბაზრებისათვის, მე კი უკანასკნელი გაფრთხილება მომარჭეს პირად საქმეში შეტანით.

ერთ პატარა ეპიზოდსაც მოგიყვებით და გაგიშვებთ.

ბოლო სცენის გადაღებაა. რეიხსტაგზე წითელი დროშა ფრიალებს. ბატალიონი, ნაბრძოლი, დაღლილი, ზოგი დაჭრილი, ზოგი დაკოჭლებული, ჩამოდის ისევ „ურა“-ს ძახილით იმავე კიბეებზე.

დაგვამწკრივეს ჩინის მიხედვით, ჯერ მეთაურები, შემდეგ პოლკოვნიკები, ოფიცრები და ა.შ. და ბოლოს, მართალია, მომავალი საბჭოთა კავშირის გმირები, მაგრამ მაშინ რიგითი ჯარისკაცები — ქანთარია და ეგოროვი.

დაიწყო გადაღება. დაიძრა ჩვენი კოლონა. მე მიზანსცენით, როგორც გითხარით, სადღაც ბოლოში უნდა მოვდიოდე.

მე, ქართველი, სტალინის თანამემამულე, რეიხსტაგზე დროშის აღმმართველი, ამათ უკან რატომ უნდა მივჩანჩალებდე? მთელი თაიგული ქართველობისა ყელში მომებჯინა და დავიწყე მოძრაობა წინ, მხოლოდ წინ... ამაყად ავუარე გვერდი ყველას და, როდესაც კიბეებზე ქვემოთ სვლა დავიწყეთ, პირველი მოვდივარ მე და ჩემ უკან მთელი გენერალიტეტი...

„სტოპ!“ გაისმა რეპროდუქტორებში ოზეროვის ღრიალი...

„კანტარია, ილი კაკ ტებია ტამ, ხარაბადზე, იობ ტვაიუ მატ, კუდა ტი პრიოშ, კაკ გენერალისიმუს!..

სამწუხაროდ, ეს კადრი ბუნებაში აღარ არსებობს!“

...წავიდა და დარჩა მის სხეულში ჩემი ხმა

„გიორგობისთვე“ ეკრანებზე 1966 წელს გამოვიდა და იმთავითვე დიდი წარმატება ხვდა წილად. კანის ფესტივალზე კრიტიკის პრიზი მიიღო, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ჟორჟ სადულის პრემიად წოდებული.

ერთმა ფრანგმა ქართველმა, თუ ქართველმა ფრანგმა მითხრა, „საფრანგეთში შენი და რამაზ გიორგობიანის უზარმაზარი პლაკატი იყო გამოფენილი, ძალიან მესიამოვნა, რომ ვნახეო“.

იმას ესიამოვნა და მე მკითხეთ, რა მომივიდა... მაშინ ოცდასამი წლის გახლდით...

რუსეთში ვინმე თუ გაიგებდა, რომ „ლისტოპადში“ არათუ მთავარ როლს, არამედ საერთოდ თამაშობდი, საყოველთაო აღტაცება გარანტირებული გქონდა.

საქართველოში კი ამ ფილმის წარმატებას ხელი იმდროინდელმა რეჟიმმაც შეუწყო. ფილმი მთლად ვერ აკრძალეს, მაგრამ ერთადერთ კინოთეატრში, „სპარტაკში“ გაუშვეს მხოლოდ.

არ დაიჯერებთ და, რიგი რუსთაველის გამზირიდან ჯორჯიაშვილის, ახლანდელი ჭანტურიას, ქუჩის კუთხემდე იდგა...

მინდა ახლავე გითხრათ, რომ სწორედ მაშინ დაიწყო ჩემი და ოთარ იოსელიანის მეგობრობა, რომელიც, აგერ უკვე ლამის ორმოცდაათი წელია, გრძელდება.

მომდევნო ფილმის გადაღება ოთარმა რამდენიმე წლის შემდეგ დაიწყო. როგორც მოგახსენეთ, ახალგაზრდა გახლდით, გამოუცდელი და ამ თავბრუდამხვევი წარმატების შემდეგ სრულიად ლოგიკურად და სამართლიანადაც მიმაჩნდა (და თუ ბოლომდე გულწრფელი ვიქნები, ახალგაზრდა აღარ ვარ, მაგრამ ახლაც ასე მიმაჩნია), რომ იმ ფილმში მეც უნდა გადავეღე.

მაგრამ, შენც არ მომიკვდე. გადაღებები დაიწყო და მე არავინ დამიძახა. ამ ლოდინსა და წვალებაში გაიარა რამდენიმე თვემ, ვინ აღარ გადაიღო ოთარმა (მართალია, ყველა უნიჭიერესი ხალხია) მათემატიკოსები, მხატვრები, რეჟისორები, ოპერატორები, მოცეკვავეები, დიასახლისები, მოცურავეები, რეკვიზიტორები, ლოთები, მწერლები, მაგრამ ჩემს დაძახებას არ დაადგა საშველი.

ამასობაში გადაღებებიც დასრულდა, მორჩა! დაუჯერებლად მიმაჩნდა ყოველივე, მაგრამ მწარე სინამდვილე ასეთი იყო.

და აი, ერთ მშვენიერ დღეს რეპეტიციიდან დაბრუნებულს ამბავი დამახვედრეს, ოთარი გეძებს, კინოსტუდიაში მოვიდეს სასწრაფოდო.

— აა, დაგჭირდით?! – გამკრა გულში. ალბათ, მასალა ნახა, მიხვდა თავის შეცდომას და თავიდან აპირებს გადაღებას, ჰო, რა თქმა უნდა, ასე იქნება. ნეტა, რატომ იწვალა ამდენ ხანს? პირდაპირ მე გადავეღე...



ნაწყენი კი ვარ, მაგრამ მეგობარს ხომ არ ვუღალატებ? თანაც ქართული კინოს გადასარჩენად გიხმობენ, ჰოდა, აბა, წაუსვლელობა როგორ იქნება?!

წავედი.

ოთარი ძველი კინოსტუდიის ეზოში დამხვდა.

„ვა, მოხვედი, როგორა ხარ?“ გადამკოცნა.

ხო, ხო, ხოო, რა მომბალია, გავიფიქრე. ხელი გადამხვია და ქვემოთ დიდი პავილიონისკენ წამიყვანა.

„ჯანო გადავიღე, კახიძე. მშვენივრად თამაშობს, უნდა გამიხმოვანო“...

„რა ღვთის წყრომაა – ჯანოს უნდა იღებდნენ და მე მახმოვანებინებდნენ? პირიქით რომ იყოს, კიდევ ჰო, შეიშალა ეს ხალხი“... გავიფიქრე ჩემთვის. კამათი არ ღირდა.

დავიკაპიწე ხელები და მუშაობა დავიწყე... მძიმე და უმადური საქმეა გახმოვანება. ჯორივით ფეხზე დგახარ ცხრა-ათი საათი. თვალი დაძაბულია, რომ არტიკულაცია არ გამოგრჩეს, სამეტყველო აპარატი მწყობრშია, რომ ყოველი ბგერა დანიშნულების ადგილზე მოხვდეს, შესაბამისად — სმენაც... აბა, მეტი რაღა დარჩა. მძიმეა, მაგრამ ჯანოს შემთხვევაში სასიამოვნო და, როგორც დრომ აჩვენა, ისტორიულიც.

ფანტასტიკური ფილმი გამოვიდა „იყო შაშვი მგალობელი“, ჰოდა, მეც ყველას ყველაფერი ვაპატიე...

მაგრამ არის ერთი დეტალი, რისთვისაც ყველაფერ ამას გიყვებით.

არის ფილმში ასეთი სცენა, აბანოში დგას ჯანო და ბანაობს, უსტვენს კადრში. გახმოვანება დავამთავრე და ეს ბოლო კადრი მივატოვე. სადაც ტექსტი იყო, ის სცენები გავაკეთე, სტვენით კი, ვერ დავუსტვინე...

— რა მოგივიდა? — მეკითხება ოთარი, — რა, სტვენა არ იცი?

— არა, სტვენა როგორ არ ვიცი, მთელი ცხოვრება ვუსტვენ, მაგრამ ჯანო, ალბათ, სხვანაირად უსტვენს, მისი სმენისა და ნიჭის პატრონი... არა, მე ჯანოს მაგივრად ვერ დავუსტვენ, რა მელოდია უნდა დავუსტვინო?! რამე რომ ისე არ გამომივიდეს? მოიყვანე, ძმაო, და თვითონ დაუსტვინოს, მე ამ კადრს ხელს არ მოვკიდებ! ვთქვი ხმამაღლა.

... მოიყვანეს ჯანო, მეორე დღეს, ბევრი იცინა; დაუსტვინა და წავიდა...

... წავიდა და დარჩა მის სხეულში ჩემი ხმა.

მოცლილი სამყარო

მონატრებულ წინაპრებზე ვფიქრობდი
(მეც ხვალ თუ ზეგ წინაპრებზე მისათვლელი);
ინიშნავენ, ვინ მიდის და ვინ მოდის–
ღია არის სათვალთვალო - ცის სარკმელი.

გვიცქერიან, ციდან მართლა გვიცქერიან,
ლაჟვარდებიც წამწამებად ხამხამობს,
ინარჩუნებს დედამიწა–მისტერიას
გასართობად ეს მოცლილი სამყარო.

შემოვლით მიძღვნილი

ერთხელაც, გადამდებ გალობაში,
მსგავსი ჟრუანტელის პოვნის მოწადინემ,
სხვა ლექსში, სხვა წინგში სხვა, რომანში
ჩემდაუნებურად სხეპა მოვადინე.

გარშემო არ ჩანდა არც გლოლა,
არც შოვი და ჩემ თავს ვედავე;
ტყეები – კი ბატონო, ანგორის
ქურქივით შვენოდა ხეობებს.

დუმილით საუბარი

ფუმფულა, მწვავე ქაოსზე–
ჩირგვები – ვერძის შუბლები:
თვალებს ყოველთვის აოცებს
მთა-მთა ღერღეტი ღრუბლების.

მბურნავი – ცათა ფერსოა,
დღისა და ღამის ჩრდილებით;
ის, რაც საუკეთესოა,
რა ძვირად გვემორჩილება.

არადა პირობითია
რამდენი რამე – ყოველთვის:
და მაიანც ვერ დაგვითმია –
რო გვინდოდა და რო ვერ ვთქვით.

ეს დღეც დუმილით გავხერხეთ
და ნაბიჯ-ნაბიჯ შებინდდა;
საუბარს მაინც ვახერხებთ
თვალების ღიობებიდან.

სიბერის რვეულიდან

თბილ ფერმიხდილობას იმშვენებს
დამთმობი ღიმილი ბაგეზე,
და ღაწვზე შემდგარი სისველე
დაკარგულ ბავშვობას დაეძებს.

ჩურჩულებ? – ვარჯიშობ ლოცვაში,
ლოცულობ? – ვარჯიშობ დუმილში;
„გული არ მიჩერდება როცა შინ,
ნუ მიშლით, ხეტიალს ნუ მიშლით!“

იღება კარი და ეს არის,
ქარ-წვიმას ნებდება სხეული
და თვალწინ ამგვარი შესავლით
იხსნება „სიბერის რვეული“.

შენ ახლა ოცნებით მძუნავობ
(დელგმაში არა ხარ გამსვლელი);
ან მეზღვაური ხარ უნავო
და უკვე ჩაძირვის წამს ელი.

თბილ ფერმიხდილობას იმშვენებს
დამთმობი ღიმილი ბაგეზე,
და თვალში ჩამდგარი სისველე
დაკარგულ ბავშვობას დაეძებს:

სად არის, სად არის, სად არის
ბილიკი იმედის მომცემი?!
ერთგული წიქარას ზღაპარი
და დედის საგზალი – ლოცვები.

გაიჯვარედინა გზამ თავი
და ფიქრობ: „რომელზე“, „რომლიდან?“...
პირველად მოწეულ თავთავის
სურნელი იმდენად მოგინდა,

რომ ცდილობ, ნამდვილად ამოხტე
ხანდახან ბებრული ტყავიდან
და ერთხელ ნახული სამოთხე
ხელახლა იხილო თავიდან.

შინაგანი დიალოგის ფონზე

მე ვინ ვარ, რა მრჯის და რა ჯავრი მატიალებს,
რომ ვადგენ მაჯის და გულების მატიანეს:

ჭიხვინმა გაიჟღერა – ცხენები ახსენით,
პირჯვარი გადიწერე და ღმერთი ახსენე.

– გამიძეხ, მოვსინჯოთ – რწმენაში სხვა ძალა დევს;
– ასეთ დროს ჩორთით სჯობს, თოხარიკს
ნაძალადევს.

ფეხის ხმას ცხენებისას (გუმანით ემოწმები):
უფრორე შეეთვისა ფიქრები მეოცნების.

მე ვინ ვარ, რა მრჯის და რა ჯავრი მატიალებს,
რომ ვადგენ მაჯის და გულების მატიანეს.

გაკვესა ნალმა და ჟინუღალი აიმძივა,
დაბერა ქარმა და სხეულმა აიმცივა.

შეჯამდა ჩქამი და ზარები დაარწია;
ასეთ დროს ამინდთან საყვედურს რა აზრი აქვს.

„ყოველთვის შიშიდან ეკლები არ იზრდება“
(თავს ძრახავ პირში და უკრძალავ ამის ნებას).

– ერთხელაც მოვსინჯოთ – რწმენაში სხვა
ძალა დევს;
– და მაინც ჩორთით სჯობს, თოხარიკს ნაძალადევს.

* * *

ზღაპარს ამოიხმობ გუდიდან
და ამეგზავრები შენ თავად:
ასეთ დროს – მართალი თუ გვინდა –
ხმალიც გვჭირდება და ბექთარიც.

„მხარმაცხნივ“ – ხიფათი სწერია,
„მხარმარჯვნივ“ – ხიფათი, ასევე;
შიში რო შეგემჩნეს გრცხვენია
და ცრემლი შიგნიდან გასველებს.

ლიტერატურული კროსვორდი ანუ წყარო ზეკარის ხეობაში

პეშვი ცახცახით შევახე
სითხის ლივლივა კოცონს:
ვსვამ, წყაროს სახელს ვერ ვამხელ,
არადა წყალი მომწონს.

გარშემო – ბნელი ხავსები,
შუაში – პირი ღია;
გულში ვჩურჩულებ: „სავსებით
იმას ჰგავს – რაც რო ჰქვია“.

ლეღვის ფოთოლი ეფარათ
იმ დროს ამნაირ დამღებს,
როცა ჩნდებოდა ქვეყანა –
ესაა თითქმის ვამხელ,

ხელიდან ხელზე გადვივლებ,
შუბლზეც მირონად ვიცხებ;
ვსვამ, წყაროს წყალი მაგრილებს,
სახელი მაძლევს სიცხეს.

* * *

ეს ხორციელი მოწყენა, ეს სულიერი შფოთი;
იმდენი რამის მომსწრე ხარ – მოსაგონებლად
გყოფნის:

მიჯრით – სურათი სურათზე და ლხინზე მეტი –
ჭირი;
ქადილი ასირულა მზემ – არც რო ეხსნება კბილი.

კურცხალში გადაიტეხა ხელში ნაზელი თიხა;
შენივე თავის ციხე ხარ – გაქვს მისჯილი და
ზიხარ.

პირჯვრის დაწერა

შუბლიდან, წესის დაცვით, დაცურებული
თანდათან,
ხელი მარჯვნიდან მარცხნივ თავისდათავად
გადავა.

სიზმარს ნახულობ ცხადში (სხვას კი არა და თავს
ვეტყვი):
წვიმა იყო და გაშრი, დარი იყო და დასველდი.

ხმელი ფოთლების ფრენა თუ ფრინველების
ფართქალი,
აი, ნამდვილი სცენაც და მისი ტყუილ-მართალი.

ხრმაში ღელის ხმა ისმის, გაღმა-გამოღმა –
იფნები,
ხოლო მათ შორის-ნისლი – ჰიგიენური საფენი.

და იხატება ენით სურათი – ვითომ ჩვეული,
არადა – ჭარბი ძღვენი – ეროტიკული სხეული.

თავჩაკიდებულ ბუჩქებს, ამ შებერებულ
ქალშავებს,
ზოგჯერ თუ ქარი უჩქმეტს – არც არაფერი
შავდება.

სხეულით დამაქვს ჟრჟოლა და ხორკლებს ხელით
მოვიძევ,
თუთას რო ვთარგმნი ბჟოლად და ჩემსკენ ნაზად
მოვიწევ.

ვალი დაიდო ღმერთმა – მოგვცა სიცოცხლის
უფლება,
ამიტომ, მაჯის ფეთქვას პირჯვრის დაწერაც
უხდება.

წერილი მურმან თავდიშვილს

მოგესალმებით!

მე გახლავართ ავტორი წერილისა – „ვის მიართვეს მერანისა?“

დიმიტრი ბახუტაშვილი

ასაკი – 22 წლის

მწვალებლური ჰობი – მელექსეობა

ჩემი სხეულის მასის ინდექსი კი შეეფერება ზომიერად გაქსუებული კაცისას, მაგრამ პრემიები და მსგავსი მაიმუნობები არასდროს ამიღია.

თუ ავიღებდი და, - ეგეც არაფერი, „дают бери, бьют беги“ პრინციპს ვაწვები.

გაცნობას მოვრჩეთ, ახლა საქმე:

მინდა გითხრათ, მე გაბრაზებული ვარ, ძალიან გაბრაზებული, ვინაიდან ჩემმა შეკითხვამ („ვის მიართვეს მერანისა?“) დღეს უეცრად აქტუალურობა დაკარგა, რადგან მავანი მეტრები შეკითხვის ზედაპირულობას არ დასჯერდნენ, და, ნებსით თუ უნებლიედ, სრულიად გულუბრყვილო რიტორიკაზე, იმაზე მეტი პასუხი გამცეს – ვიდრე მოვითხოვდი. მე როდის ვიკითხე, ბატონებო, ვის უჭირავს მერანისა-მეთქი? რაკი გამაგებინეთ, მაინც მადლობა, მაგრამ საიდუმლოდ შეგენახათ ჯობდა, ინტრიგას სძენდა საკითხს.

მოკლედ, გვაქვს შემდეგი მოცემულობა:

კონკურსის ჟიურიმ და ორგანიზატორებმა სისტემატიურ მიქარვათაგან ერთ-ერთი ჩაიდინეს და პრემია მისცეს სრულიად სასაცილო და არაადეკვატური ტექსტების ავტორს, თუმცა ტექსტები რა შუაშია, მოკლედ მისცეს... არა იმას კი არ გიყვებით, მოცემულობა მიცემულობად როგორ გადაიქცა, პირიქით, მაგას გვერდს ვუვლი. შემდეგ ვნახოთ, რა ქნეს... რა ქნეს და ერთ-ერთი მწვავე კრიტიკოსი ამ კონკურსისა (რომელიც, ამ შემთხვევაში, მონაწილეც იყო) გააკრიტიკეს. ეგ კი არა, - პრემიასაც მთხოვდაო, ბატონი მურმან თავდიშვილი (ერთ-ერთი „მჭერთაგანი“) წერს თავის კრიტიკულ წერილში. ჯერ ეს ერთი, ბატონო მურმან, უცნობი ადამიანი რომ რამეს „გთხოვდათ“ ცოტა არაადეკვატური ზმნების მიგნების ხელოვნებას ჰგავს, ვინაიდან მე და თქვენი კრიტიკის ადრესატმა თქვენი პიროვნების იდენტიფიცირება გუგლის დახმარებითაც ძლივს შევძელით, და მეორეც, ლექსო დორეულის ტექსტის სიკარგეზე, ან სიცუდეზე რატომ გადის მაგ კონკურსის პრესტიჟის, თქვენი სინდიისიერებისა და ნონკონფორმისტობის საზღვარი, ეგ მაინტერესებს ძალიან. ასევე გულწრფელად მაინტერესებს, რა აზრისა ხართ ზემოთ ირიბად ხსენებულ მამა პეტრეს პოეზიაზე, დიდი სიამოვნებით ვიხილავდი თქვენს კრიტიკას (კონკრეტულ ტექსტებზე მაინც), თუ კრიტიკა პასკვილების წერა და ლანძღვა-გინება არ გგონიათ, რა თქმა უნდა.

p.s. *უკეთესს არც არაფერს ველოდი, „მწერალთა კავშირია“ ბოლო-ბოლო, მწერლების კავშირი ხომ არაა. არიქა, გაიხარეთ ახლა, რომ „ბოლო-ბოლო“ ტირეთი დავწერე, არ ვყოფილვარ მართალი და ეგაა.*

თქვენი კეთილებისმყოფელი.

ამხანაგო თავდიშვილო, მაგრად მიჰქარავთ!

რაშიო? მკითხავს თქვენისთანა პედანტურად „წესიერი” ფილისტერი.

რაში და წერთ იმაზე, რაც არ გესმით და არ წერთ იმაზე, რაც გესმით.

მაინც რა ესმის და რა - არ ამხანაგ თავდიშვილს?

მაგალითად, თქვენ არ გესმით თანამედროვე ხელოვნება და, შესაბამისად, პოეზია.

როდის გამოჩნდაო? - ჩამეკითხებით.

როდის და როცა საბჭოთა ხვრელში ლეთარგიული ძილით თავჩარგულს თქვენმა ზემდგომმა ამხანაგმა მიშველაძემ მექელეხე გ. გოგიაშვილის დახმარებით ერთი კარგი შეჯანჯღარებით ძლივს გაგაღვიძათ და შეგიკვეთათ პასკვილის დაწერა; მაღალი ალბათობით კი, გასამრსჯელო გადაგიხადათ. თქვენ იქ ჩამოთვალეთ სამი სიტყვა, რომლებიდანაც პირველის მნიშვნელობა, უნდა ვაღიარო, კარგად გესმით, მეორისა – ისე რა! აი, მესამის კი, საერთოდ აზრზე არა ხართ, უბრალოდ, სადღაც ყური მოგიკრავთ!..

ეს სიტვებია: „რეალისტური, სიმბოლისტური და სიურეალისტური“.

ხომ შეამჩნიეთ, ძვირფასო მკითხველო, „სიურრეალისტურის“ დაწერისას მას „რ“ გამორჩა. შემომედავება მისებრ ლენინური განსჯის ადამიანი, მერე რა მოხდაო?! მოხდა, ამხანაგო თავდიშვილო, როგორ არ მოხდა?! თქვენ არ შემცდარხართ სიტყვა „რეალიზმის“ დაწერისას, უბრალოდ მასთან კომბინაციაში ერთი სიტყვა გამოგრჩათ ან გამოტოვეთ, რომელსაც ახლა მე დაგიწერთ და სავარაუდოდ გაგახარებთ; ეს სიტყვაა - სოციალისტური; თქვენ ხომ ახლაც აღვირახსნილი თავზეხელაღებულობით აგრძელებთ სოციალისტური რეალიზმის დიად ტრადიციას!

სამაგიეროდ, აზრზე არ ხართ თანამედროვე ლიტერატურის თეორიის, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მხოლოდ მშობლიური რუსული იცით (ისიც დაბალ დონეზე) და, აქედან გამომდინარე, არ წაგიკითხავთ ისეთი მნიშვნელოვანი ავტორები, როგორებიცაა: გადამერი, ბარტი, დერიდა... აღარ გავაგრძელებ, ვერ იტვირთავთ.

აბა, როგორღა დაწერდით „სიურრეალიზმს“ სწორად? სამაგიეროდ, შუა ღამესაც რომ წამოგაფხიზლონ „სოციალისტური რეალიზმის“ სწორად დაწერა, არასოდეს გაგიჭირდებათ; ამის ბოლომდე მჯერა, ამხანაგო!

... და მაინც, ასე რამ / ვინ დაქოქა ეს გადაღრძუებული კომუნისტი, რომ 21 წლის, თანამედროვეობის გამორჩეული მოაზროვნისა და ინტელექტუალისთვის, რომელსაც სწორედ სარეცენზიო ლექსებში აქვს მინიჭებული უამრავი პრესტიჟული პრემია (არცერთი მწერალთა კავშირის!), მიშასი არ იყოს, წინასწარ წაგებული ომი გამოეცხადებინა? რატომ გაყო თავი ფრთხილმა ექსფუნქციონერმა ასეთ გაუგებრობაში?

აქ იძულებული ვარ, ჩამოვთვალო, რა იცის თავდიშვილმა:

1. ფულის აღება!

მკითხველო, თუ მოინდომებ სტატიის განთავსებას, ისეთ საცოდავ გაზეთშიც კი, როგორიც „საქართველოს რესპუბლიკაა”, ჰონორარს ტყუილად არ ელოდო; ჰონორარს კი არა, მეორე ამხანაგი გოგიაშვილი (გაზეთის ფაქტობრივი რედაქტორი) ერთი გვერდის „დაქირავებაში” აუცილებლად მოგთხოვთ, არც მეტი არც ნაკლები, 600 ლარს (ასეთი „სტავკაა” დაწესებული). არ გჯერათ? შეგიძლიათ გადაამოწმოთ...

სამაგიეროდ ის ხელგაშლილი დახვდა ამხანაგ თავდიშვილს და შეკვეთილ ბინძურ სტატიაში გვარიანი გასამრჯელოც გადაუხადა (რა პრობლემაა, პატიოსანი ავტორებისგან მალე ამოიღებს ამ ფულს!).

2. მან იცის ბრწყინვალედ, როგორ დაიცვას პარტიული დემოკრატიზმის პრინციპი, უი, უი, მომიტევეთ! ეგ კი არა, მან იცის, როგორ დაიცვას სუბორდინაცია, ანუ, როგორ იყოს მონა უფროსებში და უფროსი მონებში! პასკვილი, რომელიც მან დაწერა ამის თვალსაჩინო დადასტურებაა.

რაც შეეხება ამ პასკვილის დამბეჭდავ ამხანაგ გოგიაშვილს, ჩვენი, ახალაგზრდების პოზიცია ასეთია:

1. მან საუკეთესოდ იცის ქელეხებში გაძღომა; თუ იცნობთ დამეთანხმებით, მეტსახელად „სანსლეს“ ეძახიან. ადამიანი რომ მოკვდება, ჩვენი სანსლე უზომოდ ბედნიერია. არ გაგიკვირდეთ, მისი მსოფლმხედველობა ხომ მატერიალიზმით არის დეტერმინირებული. მეორედ მოსვლის შემდეგ მკვდრები მართლა რომ აღდგნენ, რაღა ეშველება ამხანაგ სანსლეს? ამიტომ ურჩევნია, ერთიანად გაწყდეს მთელი პლანეტა; ესეც მატერიალისტური მსოფლმხედველობის გადმონაშთია!

2. და ბოლოს, ამხანაგ სანსლეს ისე აქვს ანგარებით დაბნელებული გონება, რომ იცის, ახალგაზრდა გენიოსს არ უნდა დაუპირისპირდე თითიდან გამოწოვილი „არგუმენტებით”, მაგრამ ნამუსზე ხელს იღებს და მაინც აკეთებს ამას.

მან მაყვალა გონაშვილისგან იცის, რომ ლექსო დორეული ჯავახიშვილის უნივერსიტეტის რეიტინგში №1 სტუდენტი, თსუ-ს 4 გზის წლის საუკეთესო პოეტი და ყველაზე პოპულარული ახალაგზრდული ლიტერატურული ჟურნალის „არტ ინფო საქართველოს“ მთავარი რედაქტორია; ფილოსოფიის ცოდნაში კი შეიძლება თამამად ითქვას, იქ მას ბადალი არა ჰყავს; აღარაფერს ვამბობ მის უმძლავრეს ინტელექტზე და აზროვნების სიღრმეზე... მან კარგად იცის, რომ თვითონ 21 წლის ასაკში თანამედროვე სააზროვნო სისტემებში ერკვეოდა კი არა, სათამაშოებით ერთობოდა.

ამიტომ, ამხანაგებო! უნივერსიტეტთან არც ისე შორსაა თქვენი რედაქცია და ფრთხილად იყავით! ამ სამარცხვინო პასკვილმა ისე აღგვაშფოთა ახალგაზრდა მწერლები, რომ!.. ვეღარ გიშველით ბერია!..

ახლა კვლავ იმას მინდა მივუბრუნდე, რა არ იცის ამხანაგმა თავდიშვილმა. სიმართლე გითხრათ, ეს სია ქელეხის სიაზე დიდია!

მან აშკარად არ იცის სიტყვა „პოსტმოდერნი“ და არ წაუკითხავს არცერთი ამ ესთეტიკაში შესრულებული ტექსტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, სტატიაში ერთხელ მაინც გაახსენდებოდა ეს ტერმინი ლექსო დორეულის პოეზიასთან მიმართებით და ამდენ სისულელეებს არ დაწერდა.

თურმე ლექსში ავტორმა მკაცრად უნდა დაიცვას გრამატიკული ნორმები (გაგახსენდათ საბჭოთა კრიტიკა?) და თან მაგალითად მოაქვს გალაკტიონი, რომელმაც ქართული ენის ფაქტობრივი დეკონსტრუქცია მოახდინა.

აქ იძულებული ვარ, მიმართვის ფორმა შევცვალო: უსინდისო თავდიშვილო, საერთოდ აზრზე ხარ გალაკტიონის პოეზიის? დადებითი პასუხი არ გამცე, თორემ საშინლად შერცხვები!

„მთავაზობდით დები ვარდთ“

გრამატიკის რომელ ნორმაში ჯდება? ათასობით ასეთი მაგალითის მოტანა შეიძლება, უბრალოდ საჭიროებას ვერ ვხედავ!

ასე რომ, ვთვლი, საკითხი, თუ რა იცით, ბოლომდე ამოვწურე, ხოლო იმაზე სისრულით საუბრის, თუ რა არ იცით, პრეტენზია ამ სტატიას ვერ ექნება.

ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს საკითხი ამოუწურავია და, მეორეც, ამისთვის „ლიტერატურული საქართველოს“ გვერდები ნამდვილად მენანება.

თქვენს პასკვილს ისედაც შესანიშნავად ეტყობა, რომ პროფესიული თვალსაზრისით დისკვალიფიცირებული ხართ! „გაიღვიძეთ, დეპოში ხართ“!

ამიტომ, ამხანაგებო – მურმან და გურამ, დროებით გემშვიდობებით და, გპირდებით, თუ ამგვარი მარაზმის ტირაჟირებას კვლავაც გააგრძელებთ, აუცილებლად დაგიბრუნდებით და გარწმუნებთ, არ მოიწყენთ!..

ძალიან გაბრაზებულ ახალგაზრდა მწერალთა გაერთიანების - „ლიტერატურული სალონი“ - სახელით,

ოთარ ჯიერკვალიშვილი

თამარ ზუბიაშვილი

ცხოვრების ცირკი

სულო, ამ კლდიდან
სხვა გადახტება,
მაშინ, როდესაც მკვდარი იქნები!
გვამი ნაგვემი გლახ აგათრევდა;
მჯიღის ჯირითით არმად ირჯები.

ცხოვრების ცირკში
გავსაცნაურდი,
ზნედ ამელანძა მწარე ფიქრები,
დავიცალყურებ რაობის
შიმშილს,
თუ გამოვძალე მუზას რითმები.

წასვლის დრო ახლა ჩემთან
მოვიდა,
მოელდა, თითქოს ტრფიალი
იღბლის.
მე გადახტომა კლდიდან
მომინდა;
იმქვეყნად ყველა სხვაგვარად
მიდის...

* * *

ვუძღვნი თამარ წოწკოლაურს

დღე იალაღზე გუთანს მიითრევს.
მთვარე მზეს ებრძვის,
სხივი უცვდება.
დაო, რა მძიმე ლოდი იტვირთე!
დაო, ქედიმც ნუ გაგიმრუდდება!

დამეღუპება ხელებში ჟამი.
კვლავაც დამამცრო ვიწრო
ნაჭუჭმა.
ბედით დამდუღრულ ნაღველს
ვხაპავდით
მე და ნასანთლი ჩემი თამუნა...

არ გამრუდდება აზრი ფხიზელი,
ბედის წარმართმა თუ ვერ
ჩაგვქუსლა.
მიწად ვიცლებით, ცაში ვივსებით,
თავად უფალიც უკან გაბრუნდა...

დღე იალაღზე გუთანს მიითრევს.
მთვარე მზეს ებრძვის,
სხივი უცვდება.
დაო, რა მძიმე ლოდი იტვირთე!
დაო, ქედიმც ნუ გაგიმრუდდება!

* * *

ვინ დააყუჩებს გოროზს,
სულის ჭიუხვში მყვირალს,
გველის პერანგში ობლობს,
ტვინში ნატყორცნი ტყვია.
ჟალტამს მოარყევს ველი,
გულს დრომოჭმულად
სთვლიმავს,
კბილით ცას ღრუბლებს
ვგლეჯდი;
მწვავდა მშობელი მიწა...
მწყურის გახვეწა ზეცით,
ვჟინობ განველტო მყინვარს.
როგორც პოეტი ბერწი,
უძარღვო ლექსის სისხლს ვსვამ.

ადამ მიცკევიჩი

ფარისი

(თავისუფალი თარგმანი)

როგორც ხომალდი ტალღებს აპობს
მღელვარე ზღვაში,
კლდიდან ეშვება უდაბნოში არაბის რაში.
ქვიშის მორევში მას ფლოქვები
ეფლობა როგორც
მხურვალე რკინა ოხშივარად ადენილ წყალში.

სულ უფრო მძლავრად, უფრო მძლავრად,
უფრო ძლიერად,
რომ ვერასოდეს ვერაფერმა
ვერ შეგაჩეროს.
აიჭერ ზეცად, აფრად შავად,
შავ იალქანად
და ზე ამაღლდი ქვიშის
ქაოს-ორომტრიალზე.

ღრუბელს მაგონებს, პირქუშ ღრუბელს
ჩემი მერანი.
შუბლზე უბრწყინავს განთიადად ვარსკვლავი
ცისკრის.
მის ფაფრის ქროლვას ვერ ედრება ვერსად
ვერავინ,
ფლოქვს მიწაზე ჰკრავს - ქუხილის და ელვის
ხმა ისმის.

თეთრონო რაშო, გამაქროლე, წინ გასწი მალე,
უღვთო მტარვალო, გზიდან დროზე ჩამომეცალე.

მოეშურება ნეტავ საითკენ?
დაბუგავს, დაწვავს მზის ელვარება.
ვერ მოუჩრდილავს თეთრი კარავი,
და ვეღარც პალმა, მწვანეფოთლება,

მიწის მფარავი იქ მხოლოდ ცაა,
ღამეს ეულად ათევენ კლდენი,
თუ რამ ხმა ისმის - ქვიშის ქშენაა,
იქ მხოლოდ ქარნი ქარი ქრის და დაქრიან ღრენით.
წვიმის წვეთი კი, მოსწვდებოდეს მიწას სანამდი,
მშიერი ქარი, გამომშრალი, შთანთქავს მანამდე.

ვერ შემაჩერებს საშინელი მუქარა თქვენი!
გშორდებით მტარვალთ ზეცისაკენ სხივად
აჭრილი.
უკან გავხედე, აღარ ჩანან ამაყი კლდენი –
შორით-შორეულ სივრცეებში ლანდად გაჭრილან.

რწმუნდება ძერა, რომ ბედუინს, მერანის მხედარს,
მხოლოდ უდაბნო მექცეოდა მუდმივ სამყოფად.
ყაშყაშით დამსდევს, თავს დამჩხავის შხუილით
ფრთათა,
რომ შემაშინოს, შემაძრწუნოს, რომ მითხრას რათა
ვინც აქ ოდესმე რამისათვის გამოფრენილა,
უღმერთოდ ყველა, სამუდამოდ, აქვე შთენილა.

თეთრონო რაშო, გამაქროლე, წინ გასწი მალე,
უღვთო მტარვალო, გზიდან დროზე ჩამომეცალე.

მყის გამოქროლდა ქარი ხორშაკი - მეფე საჰარის.
ამ ქვეყანაზე არავის რომ არ გაახარებს.
ამიტაცა და ქშენითა მწვავს, ქვიშაში მმარხავს
და მე კი ვებრძვი გაშმაგებით, მეტოქეს ეულს,
გამწარებული ვუფლეთ, ვუგლეჯ ქვიშიან სხეულს.

და დავამარცხე საზარელი, რუხი მხედარი.
ამოვისუნთქე, მოვიხადე დიადი ვალი.
მზერა ჩემი კი გარბის მბრწყინავ ვარს
კვლავებისკენ,
ვარსკვლავთა მეტი ამ ადგილას არც არვინ არის.
აქ თავისუფლად ამოსუნთქვა მეტად ტკბილია.
აქ მზერა ჩემი გაშლილი და განფენილია
და თვალთახედვა ღრმაა მეტად, საოცრად
ვრცელი
მთელ ამ სამყაროს ხელებს ვუწვდი და
დედამიწის ჩახუტებას ველი.

ფიქრი ჩემი კი ეტანება ლაჟვარდ სივრცეებს
და ცის კაბადონს, გუმბათის თაღს ეპოტინება.
აი, აღსრულდა, როგორც იქნა დიადი ნება -
მე ცის ლაჟვარდში ფიქრთან ერთად, სული
ჩავძირე.

იუზეფ ვიგიცკი

პოლონეთის სახელმწიფო ჰიმნი „დომბროვსკის მაზურკა“

ჯერ პოლონეთი არ დაცემულა!
ჯერ კიდევ ვცოცხლობთ, მედგრად გვიგულეთ!
და რაც მტრის ხელით მიტაცებულა
ჩვენ დავიბრუნებთ,
ხმლით დავიბრუნებთ!

მისამღერი :
წინ, წინ დომბროვსკი, დროშებს არ დავხრით!
შენ ძლევამოსილს მოგელის ხალხი.

მოვივლით ყოველს, ვისლას თუ ვარტას.
რაც პოლონელებს სულში გვებადა,
თავად გვასწავლა თვით ბონაპარტემ
ძალა და ხიბლი გამარჯვებათა.

წინ, წინ დომბროვსკი, დროშებს არ დავხრით!
შენ ძლევამოსილს მოგელის ხალხი.

როგორც პოზნანში ჩარნეცკი ოდეს
დაბრუნდა, აგვხსნა შვედთა ხუნდები,
სამშობლოვ, ჩემო, დაე გჯეროდეს –
შენს დასახსნელად ზღვით დავბრუნდებით.

წინ, წინ დომბროვსკი, დროშებს არ დავხრით!
შენ ძლევამოსილს მოგელის ხალხი.

იქ, სიხარულის ცრემლი სდის მამას,
ქალიშვილს უხმობს, მხნეობას ცდილობს:
– ეს ხომ ჩვენების დაფდაფთა ხმაა!
გესმის, მგონია გვეშველა შვილო!

წინ, წინ დომბროვსკი, დროშებს არ დავხრით!
შენ ძლევამოსილს მოგელის ხალხი!..

სტანისლავ რიშარდ დომბროვსკი

შესაძლოა

ჰო, შესაძლოა, სადღაც არის უფრო მეტი
მშვენიერება,
ვიდრე აქ, ჩვენთან;
არის უბადლო სიუხვე ფერთა
ვარსკვლავთციმციმი
დილის ნათება მზის სიცილით
ფოთოლ-ბალახი გადმოღვრილი
მწვანე ფერებად

ჰო, არის ალბათ უფრო მეტი მშვენიერება
ჩიტების სტვენით ტყე რომ სავსეაჰო, ეს ასეა,
მაგრამ ეს ჩემთვის ცოტას ნიშნავს
სულისთვის უფრო ძვირფასია
ჰანგი ვისლას და მაზოვშეს ქვიშა.

არის დაისზე ათინათი პირამიდების
და პოლარული ცის ციაგის
უცხო ნათება
არის პეპლებით მოქარგული ველ-მინდვრები
და ქალაქები, ბაღნარები, ღვთისგან რომ იშვა
ჰო, შესაძლოა რომ ეს ასეა,
მაგრამ სულისთვის ძვირფასია
ჰანგი ვისლას და მაზოვშეს ქვიშა.

ჰო, შესაძლოა, სხვაგან იქნებ ყველაფერი უკე-
თესია.
ჰავა, ჩიტები, სიმღერაც, ცაც ვარსკვლავურიცხვი
დაბერტყილია უხვად ღვთის კალთა
არის ხეები ნაყოფიერი, ვიდრე ტირიფი წყალთან
სევდის ნიშნად
ჰო, არის სადღაც ხალხიც სვიანი
გაჩენილი სიყვარულისთვის
მაგრამ სულისთვის სულ სხვას ნიშნავს
ჰანგი ვისლას და მაზოვშეს ქვიშა . . .

აგულ-ათაჰია

წარმავალნი

არ წავალთ განა თითოეული
წუთისოფლიდან,
ნეტავ რომელი შემორჩება სოფელს
ბოლომდე,
მწამს დასაბამი არის მხოლოდ დიად
უფლიდან,
დასასრულსაც ხომ ისევ მასთან უნდა
ველოდოთ...
საკვირველია მოდგმის ჩემის ურჩობა
ღმერთთან,
არშეცნობა და უარყოფა მისი რაობის,
როცა გვანიშნებს თვით უფალი - საქმე
გაქვთ ერთთან
სულის ჩამდგმელთან უძრაობის და
მოძრაობის....

ნეტავ

რა გვჭირს მე და შენ, ყათბუ,
ვერ გამიგია დღესაც...
მე უკვე ვეღარ მართობს
ცაზე ვარსკვლავთა მწყემსვა...
არ შეგვხვედროდი ნეტავ...
გოგოვ, მომიკალ გული
გოგოვ, დამიპყარ, ხედავ?
არ მეკარება რული...
უძილო ღამეები
ფიქრებით ისევ შენზე...
ეკალ-ბარდებში ვწევარ
ნაკვერჩხლის სარეცელზე.

ა.ს. პუშკინი

ტუსაღი

ნესტიან ჯურღმულს შევეკედლე ურჩი დროებით
არწივის მართვე, ტყვეობაში ნასაზრდოები
გულშემუსვრილი მოძმე ჩემი მსხვერპლით გართული
სისხლიან ნადავლს უნისკარტებს ფრთათა ფათქუნით.

კორტნის, ძიძგნის და სევდიანი გაჰყურებს სარკმელს,
თითქოსდა ჩემთან შეთქმულიყოს, მიმზადებს
სათქმელს
მიხმობს ყაშყაშით, შუბლშეკრული, ურიდი მზერით
სურს შემომყვიროს: მეგობარო, გავფრინდეთ, ჰერი!

ვერ შეგვაჩერებს ვერაფერი ჩვენ ლაღფრთებიანს!
მოდი გავფრინდეთ, ღრუბელთ მიღმა თეთრი მთებია,
იქითკენ, სადაც იელვარებს ლაჟვარდი ზღვათა,
სადაც დავქრივარ უსასრულოდ მე ნიავქართან.

თარგმნა
ოთარ კახიძემ

და საქართველო თუ გადარჩა
და გადარჩა ის როგორც ერი,
აქ პოეზია იყო მისი შემჭიდროება
გალაკტიონი

წინათქმა

ქართული მწერლობა და ჩვენი სარწმუნოება, ხელიხელჩაკიდებული, საუკუნეების განმავლობაში იცავდნენ ჩვენს ქართველობას, ჩვენს ეროვნულ თვითმყოფადობასა და მთავარ საუნჯეს – ენას, მამულს და მართლმადიდებლურ ქრისტიანობას.

ყველა არაეროვნული ძალა – გარეშე თუ შინაური მტერი ამ ჩვენ მთავარ განძეულობასა და მის დამცველებს ერჩოდა და ებრძოდა.

სწორედ ამაზე მოგვითხრობს ეს წიგნი, რომლის თავისებურება ისაა, რომ მასში უმთავრესად გადმოცემულია არა ადამიანების, არამედ ჩვენი ერთ-ერთი მთავარი განძის – მწერლობის (შესაბამისად – ქართული ენის) დიდი შენაკადის, ჩვენი უძველესი და საამაყო პოეზიის პოლიტიკური რეპრესირება XX საუკუნეში, საბჭოთა საქართველოში – პოეტური შემოქმედების ათვალწუნება და შერისხვა, შეკვეცა-დაჩეხვა, აკრძალვა, დაპატიმრება!

დიახ, ლექსების დაპატიმრება, თუმცა როცა პოეტს ლექსებს დაუპატიმრებ, ეს ავტორის რეპრესირებასაც ნიშნავს.

საბჭოური ცენზურა ისეთი გულმოდგინებითა და გადაჭარბებით ასრულებდა კომუნისტური ხელისუფლების სიფხიზლის გეგმებს, რომ მის მიერ შერყვნილ-გაუბედურებულ, უარყოფილ-დასჯილ ლექსებს ერთი წიგნიც ვერ დაიტევს და ალბათ აქ საუბარი უნდა იყოს ყველაზე დამახასიათებელ მაგალითებზე.

საბჭოეთი ბელეტრისტიკაში და დრამატურგიაშიც არანაკლები გააფთრებით ებრძოდა ეროვნულობის გაჭაჭანებას, უბოდიშოდ ერეოდა, ხელებს აფათურებდა მოთხრობებში, რომანებსა და დრამებშიც, ავტორებს აიძულებდა ცვლილებები შეეტანათ...

მაგრამ ამ წიგნის თემა მაინც შერისხულ-რეპრესირებული ლექსებია, რომელთა გამო:

– ავტორები ციხეებსა და გადასახლებებში გაგზავნეს, უფრო მეტიც – დახვრიტეს!..

ლექსები, რომლებიც:

– ავტორებთან ერთად დაუპატიმრეს;

– ციხეებსა და გადასახლებაში დაიწერა;

– კომუნისტურმა ცენზურამ დაამახინჯა, შეკრიჭა და შეამოკლა;

– ანტისაბჭოურობის გამო ავტორებმა უჯრებში, სამალავებში გამოკეტეს...

გალაკტიონ ტაბიძე

გვარდია

სული გვქონდეს უსპეტაკეს თოვლისა!
პირადათ მე სიკვდილამდე მექნება –



მხოლოდ ერთი სიხარულის შეგნება,
პოეზია უპირველეს ყოვლისა!
და გვარდია მიყვარს, მასთან ნახევარ
გზად დაღლილი არვის არ უნახივარ,
ერთი გვანთებს შუქი სვეტიცხოვლისა
საქართველო – უპირველეს ყოვლისა!
დაგამცირონ, მაგრამ ვერსად
დაგტიონ,
მაინც დაფნით გელის შენ,
გალაკტიონ,
ამღერება რეზონანსთ მომავლისა:
პოეზია უპირველეს ყოვლისა!
დღეს ჰყვავის ბზა, ალუბლები,
ატამი...
ისევ დღეა შენი მაშასადამე –
შორეული სული დოვინ, დოვენ
დოვლისა
საქართველო – უპირველეს ყოვლისა!
საქართველო – უპირველეს ყოვლისა!

ტრფობას სამშობლო-სადმი
გულში ვინ ამოშლიდა,
რომ არა სჩანს ქართველი,
ნეტა ვინ ამოჟლიტა?
სისხლის ღვარი ამდენი
ნეტა ვინ დააყენა,
ჭირი სხვადასხვაგვარი
კარზე ვინ მოგვაყენა?
არე მათი ცხედრებით
ნეტა ვინ გადაფარა?
ვინ წაართვა სამარე,
ბნელს ვინ გადააბარა?
რატომ, რისთვის, მითხარი
აქ ვინ რა დააშავა?
მიწა რამ გააწითლა,
ზეცა რამ გააშავა?
წინ მიმქროლი მერანი
ამ გზად ვინ შეაყენა
და აქამდე ნათელი
დიდი გზა ვინ გაჰყინა?!
ვინ სად გადაასახლეს?
სიბნელევ, რა დაგარქვა?
ცხრა მთას იქით ეს ხალ-ხი
ნეტა ვინ გადაჰკარგა?
კაცი, ვისაც სიმტკიცით
ვერავინ გადახრიდა,
ვინ, რომელი იუდა
კაცის ხელმა დახვრიტა?
წყლული ვით მოშუშდება
საამო მოშუშებით,
მწერლობა, ოჯახები
აივსო ჯაშუშებით.
ვინ არის რომ ამდენი
სისხლი რომ დააქცია?
ვინ არის რომ ედემი
უდაბნოდ რომ აქცია?
სტალინია – სამშობლო
სისხლისფერად მოხატა,
სტალინია – ქართველ ერს
სული რომ ამოხადა!

მოვუსმინოთ
იოსებ იმედაშვილს:

ძილშიც იფხიზლე!

„ჩვენი სახელმწიფო უკვე ჩვენს საკუთარ ძალ-ღონეს მიეყუდნა. ხალხმა, ერმა იგრძნო და განიცადა თუ არა ეს დიადი მოვლენა?

თითქმის არა!

დღეს თითოეული ჩვენგანი, ჩვენი ქვეყნის ყოველი ერთგული შვილი, რა ხელობის, წოდებისა და სქესისაც უნდა იყოს ძილშიაც უნდა ფხიზლობდეს, ნაკისრ საქმეს მთელის თავისის არსებით ასრულებდეს, წმინდა შრომით მეცნიერება-ხელოვნების ტაძარს ამშვენებდეს, დაუცხრომელი მუშაობით ქვეყნის დოვლათსა ჰქმნიდეს, რათა ქვეყანა ჩვენი გაბრწყინდეს ცოდნით, ქონებით მოღონიერდეს, ნივთიერად წელში გაიმართოს, ზე წამოდგეს და მზეს თვალები გაუსწოროს.

ამის მაგიერ რას ვხედავთ?



საზოგადო დაწესებულებანი აიღეთ: გაუთავებელი ლაპარაკი...

სასწავლებლები – ან ცუღლუტობა, ან მეცნიერების მიძალების მაგიერ ტალანებში გაუთავებელი არშიყობა, ან – ახ, ერთი ელექტრო ჩაქრესო, რომ...

დროს დაფასება ხომ სრულიად მეტ ბარგადაა მიჩნეული.

რაც ჩვენს ხალხს შეუძლიან, სამწუხაროდ დღეს მის მეათედს არ იჩენს. თითქოს უმეტესობას უქნარობის სენი შეეყარაო, – მინდვრის მშრომელი, ქარხნის მუშა, მოხელე, მასწავლებელი თუ მოსწავლე მხოლოდ გარეგნულად ასრულებს თავისს მოვალეობას, ქვეყანა კი იფიტება...

ვაი, იმ ქვეყანას, სადაც პატიოსანი და ბეჯითი შრომა არ ბატონობს – ვაი, იმ ხალხს, ვინც მუყაითი შრომის ოფლში არ ბუღრაობს საქვეყნო დოვლათის შესაქმნელად, მეცნიერება-ხელოვნების ასაყვავებლად.

ჩვენი თავი ჩვენ მხოლოდ მაშინ მოგვეყუდნება, როცა თითოეული ჩვენგანი თავის მოვალეობას პირნათლად შეასრულებს...

და აქეთკენ მოვუწოდებთ ჩვენი ქვეყნის ყველა ერთგულ შვილს, ვისაც საქვეყნო ზრუნვა წმინდა მცნებად მიუჩნევია და სამშობლოს თავისუფლება მხოლოდ ცარიელ ბგერად არ უჩანს...

ძილშიც იფხიზლე! – აი რას ჩაგვძახის ჩვენი დრო.“

რაჟდენ გვეტაძის

სონეტი:

მარო მაყაშვილს

მე არ გიცნობდით, ამორძალო,
სწორო თამარის, –
და დაიცავთ ჩვენი ერის სილამაზეს,
ენას, დოვლათს
და ჩვენს ცხელ მზეს არ გარდაქმნით
ჩრდილოეთის მსუსხავ თოვლად,
თუ აღადგენთ საქართველოს
ისტორიულ მთლიან ხაზად,
მაშინ ჩვენს გულს ქვეშევრდომულს
თქვენ დაგიფენთ ფიანდაზად.
ხოლო, ვინმემ თუ გაჰბედა,
რომ მოგვსპოს და გადაგვთელოს –
ვიტყვი: მოკვდა საქართველო,
გაუმარჯოს საქართველოს!

ეს ლექსი პირველად 1989 წლის 12 დეკემბერს გამოაქვეყნა მკვლევარმა ბონდო არველაძემ გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“.

90 წლის შემდეგ გამოჩენილმა, ტერენტის უჯრაში ჩაკეტილმა სალექსო ძიებებმა („ცისკარი“, 2012 №6) დაგვარწმუნა თუ რა ტკივილი განაცდევინა პოეტს საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვამ 1921 წელს. მერე, როცა 1923 წელს გავრცელებულა ჭორი – საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლი ქაქუცა ჩოლოყაშვილი მოკლესო, ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტი შეუტანია ლექსში „ფიქრები ქაქუცას მკვლელობის დღეს“.

ახლა ეს ფიქრი სხვა სამარეა
მოვიდა ქარი ხე შეარხია
და საქართველო ეს ის მხარეა,
სადაც ცოცხალი ხალხი მარხია.
კვდება ის მდელო
და საქართველო
ახლა მკვდარია...
კვდება ეს მდელო და ეს ქარია
და საქართველო ახლა მკვდარია,
დილაზე მდელოს ვუმზერ სპეტაკი
და საქართველოს ციდან ვეძახი:
მათ საქართველო დღეს გულში
დაჭრეს,
ახლა ძნელია სულის მიგნება,
ირგვლივ ღამეა, არ სჩანს მესია
და საშინელი ეს გაციგნება,
მაგრამ ლაზარე აღდგება მკვდრეთით,
აღსდგება როგორც ღვთის
სიყვარული...

იოსებ გრიშაშვილმა ლექსად უთხრა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წამგლეჯ ბოლშევიკებს. ეს არის ერთი საოცარი პოეტური შედევრი, რომლითაც პოეტმა მიმართა „ახალ ხელისუფლებას“ (იმავე „ქართველ ბოლშევიკებს,“ ანუ „რუსულ ჩექმას“).

ეს ლექსი, ცხადია, მხოლოდ ზეპირად გავრცელდა და გახმიანდა:

მართალია, დღეს ეს ლექსი
ბევრ კომუნისტს გაჯავრებს,
მაგრამ მაინც თამამ სიტყვას
მოვახსენებ ახალ მთავრებს:
თქვენ ამბობდით: საქართველომ,
რაც გინდ ბევრი გაიბრძოლოს,
დიდ რუსეთის კომუნისტად
გადიქცევა მაინც ბოლოს!
ჰა, აღსრულდა! თქვენ მოხვედით,
ჩვენც მიგიღეთ ცრემლით ცხელით,
მაგრამ ხალხი არ შეგინდობთ,
რომ სხვის ხიშტით შემოხველით.
განა ჩვენ აქ გვქონდა ტახტი ან ზედ
დავსვით ვინმე მეფედ,
რომ ქართველთა წმინდა სისხლი
დაღვარეთ და ააშხეფეთ?
განა ჩვენი არწივები გაურბოდნენ
დროშას წითელს –
რომ დღეს ჩვენზე ახარხარებთ
ყველა ბილწს და ყველა სკვითელს?
ო, ჩვენ ისე შევეჩვიეთ ჩვენს
მიწა-წყალს,
ჩვენს ფერს, ჩვენს ხმას,
რომ ვერასდროს ვერ ავიტანთ
გამარჯვებულ რუსულ ჩექმას,
ზეინაბად გადვიქცევით, გულს
ჩავიკლავთ აღთქმას შმაგურს
და უსისხლოდ მტერს არ მივცემთ



არცერთ კუთხეს,
არცერთ აგურს,
...მაგრამ თქვენში თუ ვიპოვით ჩვენზე
კარგს და ჩვენზე ძლიერს:
უანგარო მამულიშვილს, უანგარო
ივერიელს,
და დაიცავთ ჩვენი ერის სილამაზეს,
ენას, დოვ-ლათს
და ჩვენს ცხელ მზეს არ გარდაქმნით
ჩრდილოეთის მსუსხავ თოვლად,
თუ აღადგენთ საქართველოს
ისტორიულ მთლიან ხაზად,
მაშინ ჩვენს გულს ქვეშევრდომულს
თქვენ დაგი-ფენთ
ფიანდაზად.
ხოლო, ვინმემ თუ გაჰბედა, რომ
მოგვსპოს და გადაგვთელოს –
ვიტყვი: მოკვდა საქართველო,
გაუმარჯოს საქართველოს!

ეს ლექსი პირველად 1989 წლის 12 დეკემ-ბერს გამოაქვეყნა მკვლევარმა ბონ-დო არველაძემ გაზეთ „ახალგაზრდა კო-მუნისტში“.

თეთრი პური

(თავისუფლების შიმშილი)

ავად ვიყავი... სიცოცხლესთან
მომიხდა შებმა,
ავად ვიყავი... მნახეს ძველმა
ამხანაგებმა,
ავად ვიყავი... და ვწუხდი, რომ
ვკვდებოდი ისე,
თავისუფლებას ვერ ვეღირსე!

ამ დროს მოვიდა პარტიული მუშაკი
ერთი,
როგორც ავადმყოფს, მომიტანა მან
პური თეთრი.
ახ, რად მინდოდა მისი პური, ნაპენტი
თეთრად,
თავისუფლება მე მშიოდა იმ პურზე
მეტად.

წაღვერი, 1932 წ. 15 სექტემბერი

პოეტი „დ. მეჩონგურე“. ის იქნებ ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი პოეტი არ იყო, მაგრამ ღირსეული მოქა-ლაქეობა და მოღვაწეობა გასწია, 1918 წელს იარაღითაც იცავდა საქართველოს, ხოლო დამოუკიდებლო-ბის დაკარგვის შემდეგ ახალ რეჟიმს თვით მეტეხის ციხეშიც არ ეპუებოდა:

მას ჯერ კიდევ 1922 წლის 24 მაისს აპატიმრებენ მრავალ ქართველთან ერთად დამოუკიდებლობის დაკარგვის წლისთავის შესახვედრად მოწყობილ გამოსვლებში მონაწილეობისთვის და, როდესაც ჩვენს ქვეყანაში უცხო ძალა ბატონობს, მეტეხი სავსეა საუკეთესო ქართველებით, რომ-ლებსაც ნელ-ნელა ხვრეტენ ან შო-რეულ ჩრდილოეთში ასახლებენ, საქართველო დაქუცმაცებულ-გაჩუქებულია, ერთი სიტ-ყვით, სამშობლო გაქრობის გზაზეა დაყ-ენებული – აი, ამ დროს, 1922 წლის 3 ივლისს დ. მეჩონგურე მე-12 საკანში დასაღუპავად განწირული რჩეული ქართ-ველის ოსიკო ბარათაშვილისადმი მიძღ-ვნილ ლექსს საოცარი იმედიანი სიტყვე-ბით ამთავრებს:

მე მივდიოდი, სევდა მაღრჩობდა,
სევდას დაეპყრო ჩემი არსება...
ნეტავი ამ დროს მტერი თუ გრძნობდა,
რომ მონა-ერი კვლავაც აღსდგება?!

შემდეგ, მეცხრე „საიდუმლო საკანში“ ახერხებს, შექმნას „სამგლოვიარო ჰიმნი“ სამშობლოს სავალალო ბედზე:

დღეს საქართველო მგლოვიარეა,
დღეს საქართველოს აცვია შავი,
დღეს ბოროტება მომღიმარეა,
ერს დაჰხვევია გულის მკორტნავი.

ციხეშივე წერს გაბედულ დღიურებს, რომელიც, 70 წლის შემდეგ გამოქვეყ-ნებული, ასე გვისურათებს იმდროინდელ საქართველოს:

„მარტოდმარტო დავდივარ ჩემს ფიქ-რებთან ერთად და ჩემს თავს ვეკითხები, ვის ხელში ვართ, ეს არის კომუნიზმი? ამას თესავს ლენინი? მარქს, მარქს, შე ბებერო მარქს, ერთი ამოიხედე ქვესკ-ნელიდან და დახედე შენის მოძღვრების ცხოვრებაში გამტარებელს, ერთი თვალი გადაავლე „სოციალისტების“ მოქმედე-ბას, ნუთუ ასე ქადაგებდი ერის თვითგა-მორკვევას, როგორც პატარა საქართვე-ლო და მისი სხვა მხარეები გამოარკვია ამ ჯურის ხალხმა? ერთი ამოდი საფლა-ვიდან, მაგრამ ფრთხილად კი: თუ გაიგ-ეს, მეტეხი არ აგცილდება და ვინ იცის, შენმა მოხუცმა ძარღვებმა ვერ აიტანოს კომუნიზმის თავისუფლების სიმშვენიერე. ეჰ, მოძღვარო კარლ მარქსო!..“

„უნდა დაიგმოს მოძალადეების, ოკ-უპანტების საქციელი, რა გინდათ? ვინ მოგიწვიათ? მოგვშორდით, წადით თქვენს მხარეში, თქვენ თავს მოუარეთ...“

სხვათა შორის, ეს იყო მთელი ქართ-ველი ხალხის გულისთქმა და არა ის, რასაც აქაური ბოლშევიკები დეპეშებით უპატაკებდნენ მოსკოვს.

ცხადია, ასეთი ლექსებისა და დღი-ურების დამწერს თავი განწირული ჰქონ-და.

ამას დაუმატეთ მისი პრინციპულობა – მან რუსულად შედგენილ დაკითხვის ოქმს დადასტურების ნაცვლად მიაწერა:

„მოქალაქე გამომძიებლის მიერ უცხო, რუსულ ენაზე დაწერილ ოქმზე ხელს არ ვაწერ შემდეგი მოსაზრებით: ერთი, რომ მე ვცხოვრობ საქართველოში, სადაც ქა-რთული ენა ადგილობრივი მთავრობის დეკრეტის ძალით სახელმწიფო ენა არის. და მეორეც – მე როგორც ქართველ მწერალს – მგოსანს, ქართული ენა უფრო გამეგება“ („ლხ“. 1989. №№38, 39).

ბოლოს კი ეროვნული მეობის შენარ-ჩუნებისთვის გაწეული კიდევ ერთი მცდელობა დავით მეჩონგურისა: საქართ-ველოს მწერალთა ყრილობას უგზავნის 1923 წლის 19 ოქტომბერს მეტეხის ციხეში ლექსად დაწე-რილ „ბარათ-თხ-ოვნას“, მაგრამ არა ციხიდან დახსნის თაობაზე, არამედ საოცარ ხვეწნას:

მეც ვგრძნობ, კეთილნო, თქვენ
სავალ გზაზე
დგას ბოროტება თოფამართული,
მაგრამ... არ მითხრათ უარი აღთქმაზე,
შემომინახეთ სიტყვა ქართული.
თქვენთან ვარ სულით ჭირს და
ლხენაში
ვერას დაგვაკლებს წუთით ბურუსი,
გთხოვთ: შემინახეთ ამ ბნელ ღამეში
სიტყვა ქართული, სიტყვა ფირუზი.

ვინ დაინდობდა ასეთ შეგნებულ, პრინ-ციპულ მოწინააღმდეგეს და, როდესაც 1924 წლის აჯანყება დამარცხდა, დაუნ-დობლად დახვრეტილთა რიგებს მიაყო-ლეს შეუპოვარი დ. მეჩონგურე!..

გიორგი კალანდაძის (1911-1979) გა-დასახლებაში დაწერილი ლექსების დიდი ნაწილი განადგურდა. გადარჩენილს კი კატორღული შრომის ბანაკებში პოლიტ-პატიმრის გაუსაძლისი შრომის ამსახვე-ლი დოკუმენტის ღირებულება აქვს, თა-ნაც მხატვრულობითა და ოსტატობითაც გამორჩეულია. ამის დასადასტურებლად გაეცანით სამშობლოს მონატრებით გამს-ჭვალულ ამ ლექსს:

მომენატრა საქართველოს
ანდამატის მთა-გორები,
მომენატრა მშობლიური
მხარე ჩემი შთაგონების,
სიყრმის სევდა-სიხარული,
ერთურთს ნაწნავ-ნაკონები,
მომენატრა ჰოროველა,
ხმატკბილი და ხმაზვიადი,
ქართლის ყანის სურნელება
და კახეთის ვაზის მადლი,
იმერეთში ანთებული
იისფერი განთიადი.
და ყვავილნი – გაზაფხულის
გულყვითელა ბაიები,
ლილოჭრელოს პატარძლები –
ენძელები და იები –
თეთრ თავსაფარწახვეული
შავთვალწარბა დაიები.
სამშობლოდან განდევნილი,
ამატირა სევდამ ნაზმა,
მომენატრა ჩემი სოფლის
წყაროს წყალის აიაზმა...
ნეტავ მის წინ დამაჩოქა,
მისი ცივი შხეფი მასვა!..
ნეტავ მის წინ დამაჩოქა,
მისი ცივი შხეფი მასვა!..

1943 წ.

სამშობლოს მოცილებული და შუა აზიაში იძულებითი შრომით ქანცგაცლი-ლი პოეტი „ვის გაუწო-დებს ხელებს დევნილი, ხმას უდაბნოდან ვინ გაი-გო-ნებს?”

ისევ და ისევ ღმერთი და რწმენა ანუგეშებს, აძლებინებს და პოეზიაში ჰპოვებს შვებას, აკი თავად ამბობს: „უნ-უგეშო და ობლად შთენილი პატიმრობა-ში ვთხზავ ამ სტრიქონებს”.

მაგრამ არც ისაა გასაკვირი, რომ უს-ასოობაც ხშირად ეწვეოდა და გადარჩე-ნის იმედიც ეჭვქვეშ დგებოდა. ასეთ დროს აღარც საქართველოში დატოვებუ-ლი ახალშერთული მეუღლის მოლანდებ-ით ნახვა სიამოვნებდა:

თუ სამუდამოდ ბედმა გამწირა,
თუ ამ ჯოჯოხეთს არ გამაცილა,
თუ ვერ გიხილავ, ვერ დავბრუნდები,
თუ სიკვდილამდე მელის ხუნდები –

წა, გამერიდე, სულო კეთილო,
ნისლო ქალურად გამოკვეთილო,
და, ვით ჩვენება ჩემი ყრმობისა,
ნუღარ მაშფოთებ პატიმრობისას.

გასაბჭოებიდან ორი თვის შემდეგ გა-მოსულ საქართველოს მწერალთა კავ-შირის საბჭოს ერთდროულ გაზეთ „პოე-ზიის დღეში“ (№2 1921.7.V) დამოუ-კიდებლობის დაკარგვით გამოწვეული ნაღველი იგრძნობოდა უმეტეს ლექსებში.

აი, რას დასტიროდა ცისფერყანწელი პოეტი შალვა აფხაიძე „გამოსათხოვარ მონოლოგში“:

გრიგალს თან მოჰყვა ყვავილი კუზით
შმორი, ანთება, ხველა და გესლი
ო, საკირეში დიდი პაუზით
იწვის სამშობლოს ბებერი თესლი.

და მინდა უთხრა ეს მონოლოგი:
„თუმცა იყავი უპირატესი,
მაგრამ მოვიდნენ მაგოგი, გოგი
გადაგეფარა ლანდი პილატის

ამოვჭრი სიტყვებს გამოსათხოვარს:
„შენ, მეგობარო, მშვიდობით მარად,
დავემსგავსები ოხერ მათხოვარს,
რომ მომეჩვენო უშნო მასხარად“.

ქალაქს მოედვა დღეს ქარიშხალი,
(ეკლესიებში დაამსხვრევს ზარებს)
ნევრასტენია და მწვანე შხამი
სამშობლოს ცაზე ქმნიან კოშმარებს

გადაირია მაცხოვრის ხატი
და სუნი დადგა დამპალი ლეშის
ო, ჩემი ტვინი როგორც პლაკატი
არის გაკრული სვეტზე ღამეში.

ო, საცოდავათ დავრჩი მე მარტო
– დიდია ტანჯვა ცხელ ნიაღვარზე –
მაწვალებს სიტყვა უანდამატო
და საქართველო გაკრული ჯვარზე.

შემდგენელი
რევაზ კვერენჩხილაძე



შალვა საბაშვილი
საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი

მე და ლექსები

ჰოი, რამდენჯერ, არდანანებით
მე ამომწურეს ჩემმა ლექსებმა!
რამდენჯერ შუქი შორი ზმანების
მე შემრჩა მხოლოდ როგორც შეგრძნება!

რამდენჯერ უცებ დაემხო რწმენა
და შემოდგომას გაჰყვა ხალისი,
ან მერამდენედ გაფანტა ზენამ
სითბო არასდროს ნახულ ქალისა!

ო, ნუთუ წავა ეს სიჭაბუკე
და მტირალ გრძნობას ცრემლს არვინ მოწმენდს?
ცეცხლებმა გული როგორ დაბუგეს,
ნუთუ არავინ იქნება მოწმედ?

ნუთუ ვიშფოთებ და დავიწვები
მე – თვით ნაწილი ჩემი სულისა,
და ციდან დაბლა დანამიწები
ჩაქრება ფიქრი დასასრულისას?

მე გაზაფხულის სურნელს ვიერთებ,
ვარ გრძნობით სავსეც და გაძარცულიც,
ამოუცნობად გავყურებ ეთერს
და მესმის სუნთქვა ვინმე ქალწულის.

მე ვარ ნათელი, როგორც აისი
და იდუმლობით მიმწუხრს მივაგავ,
მე ალბათ განვვლე ჩემი გაისი
და გუშინდელი დღე არ მინახავს.

ჩემს წინ იწყება გზა სამარადო,
მე მას ვუღიმი ამ მწვერვალიდან,
მე შემიძლია მუდამ ვანათო,
ან უცებ გავქრე ყველას თვალიდან.

ნუთუ ჩაქრება ეს სიჭაბუკე
და შეუცნობი დავრჩები მოძმეთ?
ცეცხლებმა გული როგორ დაბუგეს
ნუთუ არავინ იქნება მოწმედ?

მაგრამ არ ვშიშობ; მთელი სამყარო
ცეცხლია, ჩემგან დანაკვესარი,
მე შეიძლება ფიქრმა დამღაროს,
მაგრამ დიდებაც სწორედ ეს არი.

მე გამიგებენ სხვა აზავთებით,
რადგან დიდების მადლით ვცხებულვარ,
და არასოდეს არ დავმთავრდები,
რადგან არასდროს არ დავწყებულვარ!

უცნაური არსნი

ბრწყინავენ ვარსკვლავთა ხომლები,
თვალებმა სივრცეებს შებედეს;
არიან სულები, რომლებიც
არასდროს არ იარსებენ.

გადაშენებულან კომლები,
ჟამი წიგნს წააგავს ყდებიანს;
არიან ფიქრები, რომლებიც
არასდროს გამზეურდებიან.

შუქები – ფიქრმიუწვდომლები
მიქსოვენ იდუმალ ჭრილობებს;
არიან სურვილნი, რომლებიც
ახდენას არასდროს ცდილობენ.

ვით ვიყოთ გულშეუკრთომლები?
საგზალნი სად ვპოვოთ სამყოფნი?
არიან საგნები, რომლებიც
ყოფნას ამტკიცებენ არყოფნით.

ხან მცდარნი, ხან შეუცდომლები,
სიბრძნეებს ვაგროვებთ წლებისას,
არიან მხარენი, რომლებიც
გვშორდება მიახლოებისას.

სულ უკან შეგხვდება წინავე,
განძებიც ვერ შემიკრებია:
სანამ აღმოაჩენ – ბრწყინავენ,
პოვნის უმალვე კი ქრებიან...

ცა მონასურვები.

მზე მოდგაფუნობდა
ჟამით ულეველით,
ზემოთგან უბნობდა
ხმა მიუკვლეველი.

თრთოდა მძლე დარებად,
ამოთქმის შებურვით,
დროთა ნეტარება
სამოთხისებური.

და ვითღა მენატრა
ფიქრნი მომერცხლენი?
თარიღთა ენათა
რიგი მოვერცხლილი.

ურიცხვი ცრემლებით,
სახვეწად უსაზმნო,
სულის სივრცეები
დახვეწა უსაზღვროდ.

აწ მის თანახებით
ილხენს ზენა ცნება,
მკაცრი სანახები
ლბილ ფერს ენაცვლება.

მივდევ ტევრთ მინარევს,
ვირჩევ და ვალაგებ:
მინდვრებს, ტბებს, მდინარეს,
ხშირ მთებს და ჭალაკებს.

დამცავ ზოლს შეფერვით
აჰკვრია მგოსანი,
მარცვალთ მომკრეფელი
მაქვს კრიალოსანი...

თანამოძმეებს

ადამის მოდგმავ, სირცხვილი გმართებს
შენს აურაცხელ ქმედებათ გამო,
მდაბალ გრძნობათა აუხსნელ ხლართებს
დამონებიხარ, ხოტბას კი ლამობ!

უთვალავ სულდგმულთ (თუმც თითქოს ზევით
მიმართულ ბილიკს ერთად შევებით),
შენ აღემატე მარტოდენ ნგრევით
და სივერაგით მიუტევებით!

შენ მწედ შენს თავსაც ვერაფრით ექმენ,
მიზნები გრჩება აუხდენელი,
შენ უმაღლესი მუსიკა შექმენ,
მაგრამ ვერ შექმენ მისი მსმენელი.

შენ მოახერხე არსით, მქისეთი,
რომ ყველა კოშკი გადაგფერდოდა,
შენ გწამს სიმართლე, ოღონდ ისეთი,
როგორიც მოჩანს შენი ერდოდან.

ჟამი სიბრიყვეს უფრო გიათებს,
სული მწვერვალზე ცოტამ აზიდა,
შენ აზროვნებაც გახასიათებს,
მაგრამ მარტოდენ ერთს ათასიდან.

არა, არაფრით არაა ცხადი,
რად უნდა ვიყო შენი მქებელი,
ზოჯერ იმნაირ სიბილწეს სჩადი,
წითლდება შენი მომვლინებელიც.

ბევრია შენში დასაწუნარი,
სულის ბურუსი კარგს არას მოგწევს,
რაც უნდა ბევრის გქონდეს უნარი,
არ გესმის, იგი რისათვის მოგცეს.

არსით, ხანდახან მეამბოხეთი,
ნეტავ რას გინდა შეეზიარო?
არც ის არ იცი, როგორ მოხვედი,
არც ის, საით და რისთვის იარო...

ლურჯი ტყვეები

გაღებულია კარი ცის – წყარო შორეულ დასთა,
რამდენმა ვინმემ არ იცის, რა ბევრს ვსაუბრობ
მასთან!

გვესობი ფარულ ისრებად, ყველა უცნობო ერავ,
რამდენს არც დაესიზმრება, რაგვარ შუქებით
ვფერავ!

ირგვლივ საოცრად ღამდება, ფიქრებო
მოცახცახევ,
ვერც კი შეიტყოს რამდენმა, რაგვარ სიტყვებში
ვახვევ.

ოდნავაც ვერა ხვდებიან, მათ, ყოფით მონუსხული,
რა ბევრჯერ შეჰფარებია ჩემი ეული სული.

ვით გამოსძალონ მბრწყინავ შიფრს, რაც ბედმა
მოუვლინა:
რომ ჩემი ხსოვნის წიაღში აქვთ იდუმალი ბინა?

იმათ ჰგონიათ, ნებივრად მკიან სამყაროს ყანას,
ნეტავი გააგებინათ, რომ ლურჯ ტყვეებად
მყვანან!

რომ ჩემს საოცარ სავალზე ბრწყინავენ ცისფერ
ტბებად,
და ჩემი სული მრავალჯერ მათი ფერებით
ტკბება.

ო, ცხადს გადასძლევს თქმულება, ბევრშიც ერთი
ჩანს მხოლოდ,
და მათი დანიშნულება ქვეყნად მე ვიცი მხოლოდ.

მასევს ნანატრი კარი ცის ჰანგებს უცნაურ
დასთა,
რამდენმა ვინმემ არ იცის, რა განძს ვპოულობ
მასთან!..

ბესიკ კეკელიძე

ნაჩურჩულები ესეი

ჩურჩული აზრის გადმოცემის ყველაზე სათუთი ფორმაა. ნაჩურჩულები ყოველი სიტყვა გაცილებით მეტად გამოხატავს დამოკიდებულებას თემასთან, ვიდრე ჩვეულებრივი საუბარი, იმიტომ, რომ მოჩურჩულეს უფრო გულისყურით უსმენენ. ნათქვამი გონებიდან გულში მკვიდრდება და აზრობრივი სასწორის პინაზე იწონება, ოღონდაც, ჩურჩულისას უმჯობესია ჟღერდეს მშვიდი, სასალბუნე მელოდია, ისიც ჩუმად, თავისთვის, ქმნიდეს ფონს, რათა გონება-გულზე გამავალი გზა არ ჩახერგოს და ჩურჩულ-მონოლოგს ფასი არ დაუკარგოს. ამ შემთხვევაში ქართული საგალობლები ბგერენ. მოკლედ, ჩემო მკითხველო, თქვენ ნაწერს კითხულობთ, მაგრამ გთხოვთ ჩათვალოთ, რომ გვერდიგვერდ ვსხედვართ და გეჩურჩულებით. ამიტომაც დავარქვი ამ ნარკვევს ნაჩურჩულები...

რა არის ცხოვრება, რისთვის მოვედით, რა ფუნქციას ვასრულებთ? – ხშირად ვსვამთ ამ კითხვას, ვიწყებთ საკუთარი თავის ძებნას, როგორც ყველაზე შეუცნობადისა, უზარმაზარ დინებაში ჩავარდნილი ნაფოტივით ხან რომელ ნაპირს ვეხეთქებით და ხანაც რომელს, მაგრამ პასუხი ბევრ კითხვაზე გაუცემელი გვრჩება. მინდა გაგახსენოთ, კვერცხუჯრედს მილიონი სპერმატოზოიდიდან ერთი ანაყოფიერებს, ესე იგი, ჩვენ იმ მილიონიდან ერთადერთი ვართ, ვინც ქვეყნიერებას მოვევლინეთ. თუ იმასაც ვიტყვით, რომ შემთხვევითობა არ არსებობს და ყველაფერი ღვთის ნებაა, მაშინ მივალთ გარკვეულ კანონზომიერებამდე და ეს კანონზომიერება უფალია, რომელმაც მთელი სამყარო დაალაგა და მოაწესრიგა, მთავარია, თვალი გავახილოთ და შევიგრძნოთ მისი დიდებულება.

ბედნიერია ადამიანი, რომელიც თვალხილულია...

ჩვენი გაჩენიდან დღეებს მიყოლებით ვფურცლავთ და ერთხელაც ვხვდებით, რომ მოსვლა იყო დასაწყისი წასვლის, წასვლის იქ, სადაც ჩვენი ადგილი მოგვენიჭება და განზომილებადაკარგული სიყვარულის მსახურნი შევიქნებით, ოღონდ ეს იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს სხეულსა და სულში არსებულ ქრისტეს ვიპოვით.

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, როგორც ყველა, მეც დავიბადე. მეოცეში დავდგი ფეხი და ოცდამეერთეში გადავაბიჯე. მოვედი, რათა განვლილ გზაზე ცოტა კარგი და ბევრი ცუდი მენახა. რას იზამ, ასეთია ჩვენი ყოფიერება, მაგრამ ყველაფერი, კარგიც და ცუდიც, ერთმანეთზე ისეა გადასკვნილი, როგორც ჯაჭვის რგოლები, ჯაჭვისა, რომელსაც მთლიანობაში ცხოვრებას ვეძახით. ცუდი ყოველთვის მძიმეა, მიწისძვრასავით შეგვაზანზარებს, ქარიშხალივით გადაგვივლის, ცუნამივით თავს დაგვატყდება, მაგრამ მისი გადატანის საშუალებას უფალი ყოველთვის გვაძლევს და, მეტიც, სალბუნად სიკეთეს გვიბოძებს.

რაც არ უნდა თქვა, ჯაჭვის სიგრძე ძალიან მოკლეა. როცა გავიგებთ, მავანმა ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლაო, გვიხარია, ბედნიერი ყოფილაო – ვიტყვით, მაგრამ მისი აზრი არ ვიცით, მართლა იყო ბედნიერი თუ არა, არ ვიცით, ღირდა ყოფნის ჟამიერობა თუ არა?

ერთი ვიცი, რომ ჩემი თხუთმეტი წლის ქალიშვილის, თამარის და იმ მოხუცებულის საფლავის ქვაზე დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებს შორის დეფისია დატანილი. ეს უბრალო დეფისი არ გეგონოთ, ეს სიცოცხლის ხანდაზმულობის ტოლფასია. ხედავთ? ამ ციცქნა სასვენი ნიშნის ტოლი ყოფილა ის ჯაჭვი, რომელსაც ამქვეყნიურ ყოფნას ვუწოდებთ.

სიცოცხლის ხანგრძლივობა ერთსტროფიან ლექსში გამოვხატე:

ლექსში ვნახე საწუთრო,
საწუთროში – ლექსი,
ჩიტის ერთი გაფრენა,
არც ყოფილა მეტი.

ეჰ, ამ წამიერობაში რამდენი უნდა მოვასწროთ, რამდენი უნდა ავიტანოთ, რამდენი, რამდენი?

მაგრამ მაინც, უფალს მადლობა ყოველი გათენებული დღისთვის, ყოველი გადაგორებული ღამისთვის.

დიდ სულხან-საბას სიცოცხლის პერიოდები ბრწყინვალედ აქვს განმარტებული, ამიტომ ერთი წუთით „სიტყვის კონაში“ შეგასეირნებთ:

„შვილსა მცირესა ვიდრე ხუთ წლამდე ეწოდების ჩჩვილი; ხოლო უკეთუ შვილი მამალი იყოს, – წული, უკეთუ დედალი იყოს, ეწოდების ასული, ხოლო ხუთთა წელთა შემდგომად ეწოდების ორთავე ერთბამად ასაკითა ათ წლამდე უსუარი; ხოლო განყოფილებით მცირის ჩჩვილითგან ვიდრე ბერამდე ძესა - ვაჟი და ასულსა ქალი ეწოდების. ვაჟი ათისა წლითგან ვიდრე ათხუთმეტა(დ)მე ეწოდების ვაჟსა ყრმა, ქალსა – ყრმაი, ათხუთმეტიდამ ოცდაათამდე ვაჟსა ეწოდების ჭაბუკი, ხოლო ქალსა – ჭაბუკა. შემდგომად სრული კაცი, ვიდრე ორმეოცდაათამდე; შემდგომად ეწოდების მოხუცებული და მოხუცებულობისა შემდგომად ვაჟსა ეწოდების ბერი და ქალსა ბებერი, ხოლო შემდგომ მისა, უკეთუ იცოცხლა, მიხრწნილი ეწოდების.“

აი, ჩემო მკითხველო, ცხოვრების გზაზე, წლოვანების მიხედვით, თითქოს კარს ვაღებთ და ასაკობრივ ოთახებში შევდივართ.

პირველი ოთახი ჩვილობის პერიოდია, როდესაც ჩვენს სხეულში სულიწმიდა ისე ნავარდობდა, როგორც ლურჯად მოლივლივე ცაში – მერცხალი. ღვთის ნებით, დედიკოს მუცლიდან შობილნი შემოვბაჯბაჯდით მიწიერ სამყაროში, რათა ჩვენთვის უცნობი ფუნქცია შეგვესრულებინა (დიახ, ფუნქცია, რომელსაც ყოველნი ვასრულებთ, მაგრამ ვერაფრით ვხვდებით, თუ რას, რატომ და რისთვის). სამაგიეროდ უფალმა ავანსად უზარმაზარი, ჭეშმარიტი სიყვარული დაგვანათლა, ისეთივე ჭეშმარიტი, როგორიც თვითონ არის. მშობლები, ბებია-ბაბუები, ჩვენი გარემოცვა, უცნობებიც კი ისე შეგვაყვარა, როგორც მას ვუყვარვართ თითოეული ჩვენგანი. ამას ყველაფერს უანგარო ღიმილითა და სხივჩამდგარი თვალით გამოვხატავდით.

ჩვილობისას ჩვენში უფალი სუფევდა!

სამწუხაროდ, ეს პერიოდი სწრაფად გადაიფურცლა და მეორე ოთახის კარი, უსუარად წოდებული, შევაღეთ. ამ ოთახში ბოროტიც პირველად გვესტუმრა – საკუთარი დედმამიშვილის უაზრო, ეგოისტური ეჭვიანობის სახით. როგორ გაბედეს მშობლებმა და ის უზარმაზარი სიყვარული გაუყვეს ჩვენს დებსა თუ ძმებს? გაოცებულები ვიყავით.

ამ ასაკში ჩვენს ცნობიერებაში თოვლის ბაბუამ შემოაბიჯა. ყოველი ახალი წლის დადგომა, ნაძვის ხის მორთვა, სურვილების ჩაფიქრება, საწოლში გატრუნვა და ლოდინი, როდის გაჩნდებოდა თოვლის ბაბუა, ძალიან ტკბილად გვახსოვს. მართალია, მას ვერასოდეს შევხვდით, მაგრამ საწოლის თავთან ჩამომწკრივებული სათამაშოებითა და ტკბილეულით ყოველთვის აღფრთოვანებული ვრჩებოდით.

დამთავრდა საბავშვო ბაღი, თავისი მტანჯველი ფიქრით – დედიკო საღამოს ხომ მომაკითხავს, შემთხვევით ხომ არ დავავიწყდები? და უსუარებმა სკოლას მივაშურეთ. წიწილებივით ერთ ფორმაში გამოწყობილებს ოქტომბრელის წითელი ვარსკვლავები, ლენინის (დიდი ბოროტების) პატარაობის გამოსახულებით, გულზე დაგვკიდეს და ღმერთს უფრო დაგვაშორეს. სულ მუდამ ცდილობდნენ, რათა „სული უქმობისა, მიმომწულილველობისა, მთავრობისმოყვარებისა და ცუდადმეტყველებისა“ ჩასახლებულიყო ჩვენში. მესამე კლასიდან პიონერებშიც მიგვიღეს, მაგრამ უფალი არ გვტოვებდა, გამუდმებით გვიცავდა ამ უწმინდურებისაგან.

ძალიან ჩუმად, ყოველგვარი ზარ-ზეიმის გარეშე, ლამის საიდუმლოდ მოვინათლეთ...

ყოველ ახალ წელს თოვლის ბაბუას ველოდით...

დადგა ის დრო, როდესაც მის მითიურობაში დავრწმუნდით და ცხოვრებამ უსუართა ოთახიდან გამოგვაძევა, გამოგვაპანღურა და ყრმათათვის განკუთვნილ სათავსოში მიგვიჩინა ადგილი.

ამიტომაც ჩემს ნაბოლარა, ცხრა წლის ნოდარიკო–გიორგის (რომელთანაც სასწაული დამოკიდებულება მაქვს – ვუბრაზდები, როგორც მშობელი და ვეფერები, როგორც ბაბუა) დაჟინებით ვუმტკიცებ თოვლის ბაბუის არსებობას. ასე მგონია, ამ კეთილი ტყუილით მას ბავშვობას ვუხანგრძლივებ; მინდა, დიდხანს შემორჩეს სიცოცხლის ამ ზღაპრულ პერიოდს. არ ვიცი, მიჯერებს თუ არა, მაგრამ პირველ იანვარს, „თოვლის ბაბუის“ მიერ მოტანილი საჩუქრების თვალიერებისას, მისი ბედნიერი სახისა და გაბრწყინებული თვალების შემხედვარეს, არნახული სიხარული მიპყრობს და ჩემდაუნებურად, წამიერად საკუთარ ბავშვობაში გავინავარდებ ხოლმე.

დიდი ბედნიერებაა ბავშვობა, მაქსიმალურად შორს მიწიერებისგან და სიყვარულის უზარმაზარ სივრცეში ლივლივი...

ჩვენთვის არავის უკითხავს, ისე აღმოვჩნდით ყრმათა ოთახში. ამ ასაკში გავერკვიეთ, რომ მასწავლებელიც დადის ტუალეტში, რომ ჩვენი დაბადებისას მუცელი დედიკოსთვის არავის გაუჭრია და ვიწყეთ სვლა ღრუბლებიდან მიწისკენ.

კომკავშირშიც მიგვიღეს...

ღმერთის არსებობა საერთოდ არ ვიცოდით, უბრალოდ არსად, არასდროს მის შესახებ არავინ გვესაუბრებოდა. თბილისში რამდენიმე ტაძარი ფუნქციონირებდა და მათთან ახლოს ჩავლისას, როგორც არქიტექტურული სიძველის ძეგლს, ისე შევხედავდით ხოლმე, ოღონდ, მისი ფუნქცია და დანიშნულება ჩვენთვის უცნობი იყო, თითოეული ჩვენგანი ათეისტთა არმიის ჯარისკაცი იყო. სამაგიეროდ ყოველ აღდგომას ბებიას ხელით შეღებილი წითელი კვერცხი და პასკის ნაჭერი სკოლაში ჩუმად მიგვქონდა და კვერცხის სიმაგრეში ერთმანეთს ვეჯიბრებოდით.

თურმე, მიუხედავად ყველაფრისა, უფალი არ გვტოვებდა. როცა დღევანდელი გადასახედიდან ვაკვირდები, გაცილებით წესიერები, უცოდველები და ალალები ვიყავით, ვიდრე ყრმათა ოთახში მოხვედრილი თანამედროვენი. გვიყვარდა კითხვა, თეატრი, კინო, ფეხბურთზე „ვაფრენდით“ და, რაც მთავარია, კაცებად ვყალიბდებოდით.

ვერაზე, იტალიურ ეზოში ვიზრდებოდი. სახლის კარს არასოდეს ვკეტავდით და მაინცდამაინც თუ ჩავკეტავდით, გასაღებს კარის წინ, ფეხის საწმენდი ტილოს ქვეშ ვინახავდით.

არ გვქონდა მობილური, კომპიუტერი, ტელევიზორი, მაგრამ დღევანდელ ყრმათაგან განსხვავებით, ჭეშმარიტი მეგობრობისა და სიყვარულის უნარი გვქონდა. არ დამავიწყდება, ეზოში პირველი ტელევიზორი ჩვენ შევიძინეთ, გადაცემები კვირაში სამჯერ, რამდენიმე საათით მიმდინარეობდა. მთელი სამეზობლო, სკამებმომარჯვებული გვსტუმრობდა და ციცქნა კინესკოპს გაშეთებული მიშტერებოდა.

ყრმობაში უამრავი მეგობარი შევიძინე. ცხოვრების გზაზე ბევრი მათგანი შემოდგომის ფოთლებივით შემომეფანტა. დღეს ისინი ჩემთვის არაფერს წარმოადგენენ, მაგრამ ვერც ერთს ვერ ვივიწყებ, ისინი ყველანი მიყვარან, ვინაიდან ჩემი ბავშვობის განუყოფელი ნაწილი არიან და სიცოცხლის ეს პერიოდი იმდენად, იმდენად მეძვირფასება, რომ მათი დავიწყება შეუძლებელია. როცა განვმარტოვდები, თვალებს მივლულავ, მოგონებებში ჩავიძირები და გონების თვალით, მათთან ერთად, ბედნიერებაში მივაბიჯებ.

ყრმობამაც (როგორც ყველაფერმა ამ ქვეყანაზე) ჩაილურის წყალი დალია და სიჭაბუკის გრძელ დერეფანში აღმოვჩნდით.

უმაღლესი დავამთავრეთ და ჩავებით ცხოვრების ფერხულში. დაოჯახება, შვილები, სამსახური...

სიცოცხლე მიდუდუნებდა, არ გვშიოდა, არ გვციოდა, ვცხოვრობდით ხელოვნებით, სპორტით; საბჭოთა კავშირსა და სოციალისტურ ქვეყნებში ვმოგზაურობდით, ვისვენებდით ტიპურ აგარაკებზე (მათი ზომა აუცილებლად ექვსი მეტრი–ექვსზე უნდა ყოფილიყო), ფულიანებს „ქეშის“ გამოჩენის ეშინოდათ და „ოცდაოთხებს“ ლატარიაში „იგებდნენ“. ქუჩები სავსე იყო ერთნაირი მანქანებით, ავტობუსებით, ტროლეიბუსებითა და ტრამვაით. ხალხიც ერთნაირი იყო...

არ დამავიწყდება, იუგოსლავიიდან დედამ „კოკა-კოლას“ ერთი, სამასგრამიანი ბოთლი რომ ჩამომიტანა (მეტის უფლება არ ჰქონდა), ძალიან გამახარა და ამ უცხო სასმელს ათი დღის განმავლობაში ლამის წვეთ-წვეთად ვსვამდი. მის გემოს ქვეცნობიერში აღვიქვამდი, როგორც თავისუფლების დაჭაშნიკებას, რომელიც ასე შორს იყო ჩვენგან.

ასაკი გვემატებოდა და ამ ყალბი ბედნიერების საბურველში შეფუთნილები საერთოდ დავშორდით ღმერთს.

პეშვში დაგროვილი წყალივით, ქეიფებსა და დროსტარებაში შემოგვეცალა სიჭაბუკე და მაშინ, როდესაც სრული კაცობის ოთახში უნდა შევსულიყავით, უფალმა სათითაოდ ყველას, მთელ ერს, სილა გაგვილაწუნა.

ყველაფერი ოთხმოცდაცხრა წლის ცხრა აპრილით დაიწყო...

კარგად არის ცნობილი, თუ რა მოხდა, რა გზა გავიარეთ და აწმყოში რა დღეში ვართ. მე ამ მტკივნეულ უახლეს წარსულზე აღარ შევჩერდები. გახსოვთ, როგორ დაემსგავსა ჩვენი ქვეყანა წყლით სავსე მდუღარე ქვაბს? თითოეულ ჩვენგანში ამოხეთქა თავისუფლების სურვილმა, ოღონდაც სურვილი ერთია და გზა ამ სურვილის განხორციელებისა – მეორე. ღვთის ნების გარეშე არაფერი გამოვა, ათეისტის თავისუფლებ – ეს ჯოჯოხეთისკენ შეგნებული სვლაა.

უბედურება მთიდან მოწყვეტილ ზვავს დაემსგავსა, მოდიოდა და ძალას იკრებდა, მოდიოდა და ჩვენს ბიჭებს გავეშებული შეექცეოდა, იმ ბიჭებს, რომლებიც ქართველთა გენოფონდს წარმოადგენდნენ. სიკვდილი გაგვიშინაურდა, თითოეულს ძალიან მტკივნეულად შეგვეხო. შედეგიც სავალალოა – დაკარგულია ქვეყნის ოცი პროცენტი, საკუთარ სამშობ-

გაგრძელება მე-16 გვ.

„აკაკი გვიცოცხლოს უფალმა“

ბატონო თამაზ, უბრალოდ გეტყვით: გაიხარა ჩემმა გულმა "ლიტერატურული საქართველოს" გაცოცხლებით. მე ამ მოვლენას სხვა დამარხული ეროვნულ ფასეულობათა გაცოცხლების წინაპირობად მივიჩნევ, მიხარია, რომ თქვენა ხართ ამის მოთავე და მებაირახტრე.

წერილი, რომელსაც გაახლებთ და მსურს დაიბჭდოს თქვენს გაზეთში, თითქმის სამი წლის წინ დაიწერა (მაგრამ პრესაში არ გამოქვეყნებულა) და ეხება საქართველოს ისეთ მარადიულ პიროვნებას როგორიცაა აკაკი წერეთელი, ვთვლი, რომ მას აქტუალობა არ აკლია. თუ თქვენც ასე ჩათვლით, მაშინ დაველოდები კიდევ ერთ კარგ პარასკევს.

პატივისცემით, ***ელდარ ნადირაძე***

ორიათას ათი წლის დეკემბერში, საზოგადოების იმ ნაწილთან ერთად, რომელიც მიწვეული იყო საპატრიარქოში აკაკი წერეთლის ქართული ეკლესიის წმინდანად კანონიზების დისკუსიაზე, ჩვენც გვხვდა პატივი მონაწილეობის მიღებისა. შეხვედრას წარმართავდა მეუფე დანიელი და მეუფე ანანია. კამათის თემა ერთი იყო – ეკუთვნის თუ არა აკაკი წერეთელს შერაცხილი იქნას ქართული ეკლესიის წმინდანთა რანგში. ცხრა გამომსვლელთაგან, რომელთა შორის იყვნენ ფილოლოგები, ისტორიკოსები, თეატრის მოღვაწე და ეკლესიის ისტორიის მკვლევარი, ცხრავემ დადებითი დამოკიდებულება გამოხატა აღნიშნული საკითხის მიმართ. ოპონენტად მოწვეულმა სამღვდელო პირმა, თავის მოკლე გამოსვლაში, წინ წამოსწია უკვე ცნობილ საკითხთა წრე, რომელიც აკაკი წერეთლის ვნებათაღელვიან ცხოვრებას უკავშირდება და შეგვახსენა, რომ ამ მიზეზთა გამო მის წმინდანთა რანგში შერაცხვას შესაძლებელია სერიოზული წინააღმდეგობა შეხვდეს. ეს კითხვა ამ დისკუსიაზე უნდა დასმულიყო და დაისვა კიდევაც. (მსურს ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ეს იყო საზოგადოების ერთი ნაწილის აზრის დაფიქსირების მცდელობა და მას არ გააჩნდა არავითარი ოფიციალური ხასიათი).

ხელისშემშლელი მიზეზები, რომელიც ოპონენტმა ზოგადად გაახმოვანა აკაკის პიროვნების მიმართ, თითქმის ყველასათვისაა ცნობილი და მათ ჩამოთვლას აზრი არ აქვს, თუნდაც იმიტომ, რომ რაიმე დოკუმენტური მასალა ამ ბრალდებათა შესახებ არ არსებულა, არც არსებობს და იმ ორმოცდაათზე მეტ წიგნში რომელიც აკაკის შესახებაა დაწერილი, ასობით მოგონებასა თუ „პორტრეტში“ რომელთა შორის აკაკის არაკეთილმოსურნე ავტორებიც არიან, ვერავინ შესძლო რაიმე არსებითი დოკუმენტური მასალა წარმოედგინა რაც პოეტის „ცნობილ დანაშაულებებს“ დაადასტურებდა.

ესაა მარადიული ჭორი რომლის გავრცელებისთვის საგანგებო სამსახურები არსებობდა და არსებობს, იქ მომუშავე ადამიანებს დავალებები ჰქონდათ მიცემული რომლის კარგად შესრულებისათვის საზოგადოებაში წინაურდებოდნენ, თანამდებობებს აღწევდნენ, პარტიულ ინტერესებს ატარებდნენ და ყველაფრს რომ თავი დავანებოთ ასეთი სამსახურისათვის ხელფასს იღებდნენ, რაც ასე სჭირდება ადამიანს ყოველდღიური არსებობისთვის. სხვათაშორის, ამ ინსტიტუციის არსი მთელი სიღრმით წარმოაჩინა ჩვენმა სასიქადულო მწერალმა ჭაბუა ამირეჯიბმა თავის „დათა თუთაშხიაში“. ესაა ულმობელ ადამიანთა გაერთიანება, რომლებიც კერძო ინტერესისათვის ყველაფერს კადრულობენ, რომლებმაც ილია ჭავჭავაძეს მოკლეს, ხოლო აკაკი წერეთელი ლოთად და მექალთანედ გამოაცხადეს. ეს ერთხელ აგორებული ჭორი აგერ უკვე საუკუნეზე მეტია დაგორავს ჩვენ შორის - უსაბუთოდ, ულოგიკოდ, ადამიანის ღირსებებისა და დამსახურების მიმართ ლიანგური აზროვნებებითა და ნიჰილისტური დამოკიდებულებით. მისი ქმედითობა არა თუ ძველი ინერციითაა გამოწვეული, არამედ ახალთახალი მხარდამჭერებითაა გაძლიერებული და იგი მანამდე არ მოიშლება სანამ ჩვენს საზოგადოებაში არსებობს ეროვნული ინტერესები გაბიაბრუების საჭიროება და ამ ინტერესების სამსახურში ჩამდგარი ადამიანთა ვნებანი. ამიტომ, ამ მიზეზთა გამო, ანუ სრული საგამომძიებლო პროცედურების ჩამოუყალიბებლად, სათანადო მამხილებელი დოკუმენტაციის წარმოუდგენლად და ყველა დანარჩენი არსებით გარემოებათა გამოუკვლევად, უზნეობად მიგვაჩნია აკაკის ბრალეულობათა შესახებ კამათი და უფლებას ვიტოვებთ არ გავიზიაროთ ისინი. ასეთი იყო და არის ჩვენი რწმენა, ასე შევყურებდით ამ საკითხს მუდამ და არასოდეს მოგვსვლია აზრათ ამ არსასიამოვნო ოპუსებისაგან დაგვეცვა ჩვენი დიდი მგოსანი.

ამას არც ახლა ვაპირებთ, მაგრამ შეუძლებელია არ გამოვეხმაუროთ ცნობილი ფილოლოგისა და თეოლოგის ბატონი ედიშერ ჭელიძის წერილს – „აკაკი წერეთლის წმინდანად კანონიზების შესახებ". უფლებას ვერ მივცემთ ჩვენს თავს ბატონი ედიშერი მივიჩნიოთ იმ წრის წევრად რომლის შესახებ ზემოთ იყო ლაპარაკი. პირიქით, იგი გვეგულვება საქართველოში თეოლოგიური მეცნიერების მნიშვნელოვან წარმომადგენლად, საეკლესიო მწერლობის მცოდნეთ და ზოგადად, ჩვენი ეკლესიის ძლიერების მოსურნედ.

ვფიქრობთ, რომ ამ სურვილმა უკარნახა მას დაეწერა წერილი, რომელიც უფრო ვრცელი დასკვნის სახითაა წარმოდგენილი, ვიდრე დასაბუთებულ გამოკვლევად და მიზნათ ისახავს პასუხი გასცეს აკაკის კანონიზაციასთან დაკავშირებული დისკუსიის ყველა იმ მონაწილეს რომელმაც მხარი დაუჭირა პოეტის წმინდანად შერაცხვას, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, რომ მას სურს ეკლესია ააცილოს გარკვეულ უხერხულობას და ამავე დროს, როგორც ეკლესიის საკითხებში ყველაზე მეტად მცოდნემ, თავისი წონიანი სიტყვით თავის ადგილას დაგვაყენოს „საერო სახელგანთქმულობის მქონე ავტორიტეტები" რომლებიც უფრო ხშირად ასეთ საკითხებს, არა ცოდნით, არამედ საკუთარი „გუნება-განწყობილების მიხედვით სწყვეტენ".

ჩვენ გუნება-განწყობილებასა და სახელგანთქმულობაზე არაფერს მოგახსენებთ, ყველას აქვს უფლება თავისი აზრი გააჩნდეს სხვა ადამიანთა შეძლების ან შეუძლებლობის შესახებ, მაგრამ ის კი ნამდვილად გაგვკვირვებია ედიშერ ჭელიძეს როგორ იოლად გადაუჭრია თვისი ექვსგვერდიანი წერილით აკაკის უზარმაზარი მემკვიდრეობის ათეისტურობის საკითხი, უფრო მეტიც - პოეტის მტრობამდე მისულ დამოკიდებულება ქრისტიანობისადმი, რომელსაც თითქოს „ვანდალური სიშლეგით ფანატიკურად გაუნადგურებია წარმართული საქართველოს დიდი კულტურა". ვისაც თუნდ ერთი წერილი წაუკითხავს აკაკისა, როგორ დაიჯერებს, რომ ეს სასტიკი ფრაზა მას ეკუთვნის და თუ არ ეკუთვნის და ამას ბატონი ედიშერი პოეტს მიაწერს, მაშინ უფლებას ვიტოვებთ მის პოლემისტურ სამართლიანობაში ეჭვი შევიტანოთ. სხვათა შორის, ბატონ ედიშერი, საქართველოს წარმართულ კულტურაზე ერთობ უარყოფითი წარმოდგენისაა და საერთოდ კატეგორიულად წინააღმდეგია წარმართული და ქრისტიანული კულტურების ურთიერთმიმართებისა. იგი არ აღიარებს ქართველთა ქრისტიანულ ყოფაში რაიმე გადმონაშთების არსებობას და მიაჩნია, რომ ასეთი შეხედულებანი ჩვენი მეცნიერთა „ზედაპირული ხედვის ნაყოფია". ადრეულ წერილებში გატარებული ეს აზრი მას სურს ეფექტურად გამოიყენოს აკაკის წინააღმდეგ, რომლის „დანაშაული" მხოლოდ ისაა, რომ პოეტი წარმართული ხელოვნების და, მასთან ერთად, ქართული ზეპირსიტყვიერების მნიშვნელობაზე ლაპარაკობს, რომელიც შესაძლოა თავისი იდეურობის გამო ქრისტიანობამ გაანადგურა. ბატონი ედიშერი თეოლოგიის გარდა ისტორიულ მეცნიერებასაც რომ სწყალობდეს უთუოდ ეცოდინებოდა, რომ ეს აზრი ეკუთვნის ჩვენს დიდ ისტორიკოსებს და არა აკაკის, რომელიც ბატონი ედიშერისაგან განსხვავებით პატივს სცემდა ქართველ მეცნიერთა ნაღვაწს, საუკეთესოდ იცოდა საქართველოს ისტორიის წყაროები და თავისი ეპოქის ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევანი.

როგორც უკვე ითქვა ბატონი ედიშერი თეოლოგია და „პირადი გუნება-განწყობილების პერსონებთან" შედარებით, ორი თუ არა ერთი თვით მაინც მაღლა დგას. უპირატესობის ასეთი განცდით მოსილი შეგვაგონებს რომ „მართლმადიდებელ ეკლესიაში კანონიზებული წმინდანი უპირველესად, ჭეშმარიტი სარწმუნოებრივი უზაკველობისა და მართლმადიდებლური აღმსარებლობისადმი თავდადების ნიშნით უნდა ხასიათდებოდეს და არა მარტოდენ პატრიოტულ თუ საქველმოქმედო საქმეთა სიმრავლით. ამასთან, ამა თუ იმ პირთან დაკავშირებით როდესაც, ვთქვათ ასი ფაქტიდან ოთხმოცდაცხრამეტი მის ღირსებაზე მეტყველებს, მაგრამ ერთი ფაქტი საწინააღმდეგოა, ამგვარი პირის კანონიზება არ ხდება". ბატონ ედიშერს აქ რომ ერთი სიტყვით მაინც ეთქვა, რომ ეს ეხება საეკლესიო მოღვაწეს დავეთანხმებოდით და მართალიც იქნებოდა, რადგან ასეთი საეკლესიო პირი ჭეშმარიტად ასპროცენტიანად სამაგალითო უნდა იყოს თავისი განვლილი მოღვაწეობით, ასევე გასაგებია მის მიერ მოხმობილი მაგალითი კირილე ალექსანდრიელისადმი თეოდორიტე კვირელის კრიტიკული დამოკიდებულების შესახებ, რაც გახდა მიზეზი თეოდოტირე კვირელის წმინდანად არშერაცხვისა, მაგრამ ავიწყდება, რომ აქ ლაპარაკია ეკლესიის ორი დიდი მოღვაწის შესახებ რომლებთაც ერთმანეთში უთანხმოება ჰქონდათ ნესტორის მწვალებლური სწავლების ირგვლივ ანუ ქრისტიანობის უძირითადესი საკითხის – რწმენის სიმბოლოს განმარტებასთან დაკავშირებით (თეოდორიტე ნესტორის მწვალებლობას იცავდა) და მიუხედავად იმისა, რომ თეოდოტირემ მოგვიანებით შეცდომა მოინანია ეკლესიამ მას მაინც არ აპატია და წმიდანთა რანგში არ აიყვანა. დანაშაულს უთუოდ გააჩნია თავისი კატეგორია რასაც ეკლესიის კანონიკური წყობა საუკეთესოდ აყალიბებს და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს კომპრომისს იქ, სადაც მისი მორალის ავტორიტეტულობას ეხება საქმე.

რაც შეეხება საერო პირებთან დამოკიდებულებას, აქ, ეკლესიის მიდგომა ცოტა უფრო სხვანაირია, ვიტყოდი, რომ უფრო შემწყნარებლურია. შესაძლოა კანონმდებლობაში ასეთი რამ ასახული არ იყოს, მაგრამ ეკლესიის პრაქტიკული ცხოვრება ამის უამრავ მაგალითს გვთავაზობს. ეკლესიის ძალისა და თუ გნებავთ შემწყნარებლობის სიძლიერე სწორედ ისაა, რომ მას აქვს უფლება აპატიოს და შეუნდოს საერო ადამიანს თავისი შეცოდება. ქართული ეკლესიის მესვეურებს შეუძლებლად რომ მიეჩნიათ ამ საკითხის გადაწყვეტა და აკაკი ჩაეთვალათ ისეთივე მკრეხელად, როგორც ედიშერ ჭელიძე თვლის, მაშინ საერთოდ არ დააყენებდნენ განსახილველად. ის რომ ეკლესიამ თავის დროზე დაუშვა საერო პირთა წმინდანად აღიარების პრეცენდენტი, აუცილებლად გაითვალისწინა საერო პირთა ცოდვილობის შესაძლებლობაც. როგორი ორთოდოქსული მიმართულებისაც არ უნდა იყოს ეკლესია მას გააჩნია თავისი საეკლესიო დიპლომატია, წინდახედულება და პრაქტიკული განჭვრეტილობა. ეკლესია თავს ვერ მოიზღუდავს ხალხისაგან, ვერ აღმართავს გამყოფ ბარიერს „სუსტ" საერო ფენასა და ასკეტ მორწმუნეებს შორის. ქრისტიანობას რომ ამ განჭვრეტელობით არ დაეწყო თავისი ისტორია იგი სათავეშივე იქნებოდა განადგურებული. რა თქმა უნდა ეს არ ეხება მის მორალსა და დოგმატიკას. ეს ეხება მისი მოწყობის საკითხს, საყოფაცხოვრებო ყოველდღიურობასთან მის დამოკიდებულებას. ქრისტიანობა იქ პოულობს თავის გამართლებას სადაც სულიერად ამყარებს უფლებას მორწმუნეებზე, ამისთვის კი საჭიროა არა ასკეტური მოღვაწეობის საყოველთაოდ დაკანონება, არამედ საზოგადოების ანუ უბრალო ადამიანთა შესაძლებლობის განსაზღვრა და იმ წრეში მოქცევა სადაც მათთვის ღმრთის სამსახურის აღსრულება ტანჯვად არ იქცევა. სულიერი მოღვაწეობის უმაღლესი ხარისხი ყველასთვის როდია მისაღწევი. ეკლესიის ისტორიის მკვლევართა შეხედულებით აღმოსავლეთის მართლმადიდებლობას არასდროს უარუყვია ორი ხელისუფლების იდეა, ესაა ე.წ. „ბიზანტიური სიმფონია" და იგი გარკვეულწილად აისახა საეკლესიო და საერო ხელისუფალთა კანონმდებლობაში. ეს იყო აუცილებელი პრაქტიკულობით ნაკარნახევი პრობლემა რისი მოგვარების აუცილებლობას კარგად ხედავდნენ როგორც საეკლესიო ისე სასულიერო ხელისუფალნიც. უფრო მეტის თქმაც შეიძლება – ეს პროცესი შეიმჩნევა თვით ადრეულ ქრისტიანობაშიც – ასკეტური მოღვაწეობის შიგნით. ბერ-მონაზვნობის საფუძვლების ჩამყარელი ანტონი დიდი ოცდათხუთმეტწლიანი ასკეტური ცხოვრების შემდეგ გამოვიდა მღვიმიდან და დაარსა ბერ-მონაზვნობის კინოვიური ფორმა რომელიც შემდგომში განავრცო და კანონიკურ ჩარჩოებში მოაქცია პახომი დიდმა. მაკარ მეგვიპტელს დიდი სურვილი ჰქონდა ბოლომდე განდეგილ ასკეტ ბერად დარჩენილიყო, მაგრამ ანტონის მითითებით იგი სათავეში ჩაუდგა სამონასტრო მოძრაობას, დააფუძნა ბერ-მონაზვნობის ფართო კორპორაციები – „ღმრთის შვილებისა და შვილიშვილების" გამოსაზრდელად, რაც ქრისტიანობის გაძლიერების პრაქტიკული მიზნებით იყო გამოწვეული. უდიდესი საეკლესიო მამის ბასილი დიდის ცნობილი თეზა „ქრისტიანული სრულყოფა," რაც გულისხმობს საზოგადოების ყველა ფენის ქრისტეში ერთიანობას, არის უგონიერესი დამოკიდებულების ნიმუში ეკლესიის გამარჯვების გზაზე. შეუძლებელია ჭეშმარიტება განსაკუთრებული ეთიკის სფერო იყოს ორთოდოქსი ასკეტი ბერებისათვის და გაუგებარი დანარჩენი ქრისტიანებისათვის, ვისაც არ შეუძლია იყოს გმირი შეუძლებელია ამისათვის დაისაჯოს და სამუდამოდ დაეხშოს სალოცავის კარები. დიდმა ასკეტმა გრიგოლ ნოსელმა ცოლი მხოლოდ იმიტომ მოიყვანა, რომ მორწმუნეთათვის დაენახვებინა ამ მოქმედების უდანაშაულობა და ეკლესიას კი არ მოწყვიტა დაქორწინებულნი არამედ დაუახლოვა მას.

სხვათაშორის, ანახორეტული პედანტიზმის საპირისპიროდ, ქართული ეკლესიას განსხვავებული თვისება ჩამოუყალიბდა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II სიტყვებით რომ ვთქვათ: „გიორგი მთაწმინდელი ეკლესიაში წეს – ჩვეულებების სიზუსტეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებდა, იგი უფრო ჭეშმარიტ-ქრისტიანულ, ნამდვილ-ქრისტიანულ განწყობილებასა და სულიერებას აფასებდა, ქრისტიანულ სიყვარულში ერთიანობის გულისათვის მზად იყო შემწყნარებელი ყოფილიყო."

დასაწყისი. გაგრძელება შემდეგ ნომერში

ხმა ზუადღიდან

სიტყვები პროლოგითა და ეპილოგით



არქიმანდრიტი მამა ადამი (ვახტანგ ახალაძე)

ეპილოგი

მინდოდა კიდეც და მჯეროდა, რომ ხმას მოგაწვდენდით, ხმას შუადღიდან.

კი, მართალია, შუადღე, ისიც ქალაქში, ხმაურიანია, მაგრამ მაინც მჯეროდა... რაღაცნაირად ვგრძნობდი კიდეც ამას.

ნაწერი სიტყვა იმაზე ხმამაღალ ექოს იძლევა, ვიდრე ნაფიქრი, ნათქვამი ან ენისწვერიდან უკან – მეხსიერების ფსკერზე დაბრუნებული და დალექილი სიტყვა.

სწორედ ამან მაფიქრებინა (იგულისხმე – გამაბედინა) ექოს მოიმედეს, ისევ ნაწერი სიტყვები დამეწყო ქაღალდის ლანგარზე, მომერთო, მომეკაზმა და ასე შემომეთავაზებინა, კეთილად რომ ვთვლი, იმ ადამიანებისათვის:

– მიხარია, მიხარია, რომ მეწვიეთ! აბა, ჩემო კარგებო, შეხედეთ, რა ძვირფასი ნანადირევია, ძვირფასი... თეთრად დაგვათენდა უსიტყვეთის ტყეში. მიირთვით, შეგარგოთ ღმერთმა...

– პატივცემულო, იქნებ ეს გეამოთ! დააჭაშნიკეთ, თქვენი ჭირიმე, გთხოვთ... ამის გარეშე ჩვენებურ სუფრას რა გემო აქვს...

– ჩემო ბატონო, ამას რომ უყურებთ, დღეს დილით, უთენია სასიტყვაურის წყლებშია დაჭერილი! ნამეტანი გესიამოვნებათ. კიდევ გადაიღეთ, არ მაწყენინოთ, თავი ნუ მოგიკვდებათ!

ჰო-და, როცა ერთმაც დააჭაშნიკა მიწოდებული, მეორემაც კიდევ გადაიღო და მესამემაც მიირთვა მადიანად, სწორედ მაშინ და სწორედ ამგვარად გაგრძელდა ქაღალდის ლანგარზე ლამაზად დაწყობილი ნაწერი სიტყვების ცხოვრება და თავგადასავალი – უკვე, ვინ მოთვლის, კაცობრიობის არსებობის მანძილზე მერამდენე ცხოვრება და მერამდენე თავგადასავალი!

ნაწერი სიტყვების ცხოვრება! იგი იწყება სწორედ იმგვარად და სწორედ მაშინ! იმ უთენია, იმ ღამით, იმ მზის გულზე, იმ მბჟუტავი ნათურის შუქზე... იწყება ბევრად უფრო ადრე, როცა არც კი ფიქრობ, რომ ამ სიტყვებს ატარებ შენს წიაღში, შენი არსების სიღრმეში – სასიტყვოსნოში – ზუსტად ისე, როგორც დედა შვილს ორსულობის პირველი გამოუცნობი დღეების განმავლობაში!

მერე მართალია, როგორც ყველაფერი – ნაწერი სიტყვებიც ტკივილით იბადება, სამაგიეროდ – იმისთანა სიხარულის მოტანა შეუძლია ადამიანებისათვის, ამას მხოლოდ ბალღის ამქვეყნად გაჩენა თუ შეედრება!

მერე ეს ბალღი წამოიჩიტება, გაიზრდება და ერთხელაც ძილგატეხილი რომ იგრძნობს, მერე ამ გრძნობას გადაწყვეტილებად აქცევს და სიბნელეში წვერწატეხილ ფანქარს ძლივს იპოვის, რათა რაც იქ, ჩემში, შიგნით, იდუმალ წიაღში – სასიტყვოსნოში – ჩასახულა, ქაღალდზე ფანქრით გავლებულ ნახნავში საგულდაგულოდ ჩავფლა და მერე გულისბაგუნით დაველოდო, თვალი რომ გაარჩევს, რა ამოსულაო...

და ასე, ყოველ ძილგატეხილობის ჟამს და სავსე მთვარობის ჟამსაც, და ყვითელი და წითელი მზის გულზე, და უთავბოლო წვიმის გულგრილ წვეთებზე და ციდან გამოქცეული ვეებერთელა ფანტელების უთეთრეს მაქმანებზე და უსახლკარო ქარის გოდების ძაძებზე – ყველგან და ყოველთვის იგრძნობს ნაწერი სიტყვის შოვბის ტკივილებს და ამ ტკივილებზე უფრო ტკივილებიან ბედნიერებას!

და მაშინ:

„ჰოპლა, კაცობრიობა ცოცხალია!“ – ვიყვირებ და ეს ყვირილიც და ჩემი გიჟური ხარხარიც როგორც გამოჩნდება, ისე დაიკარგება ჭიანჭველების ბუდის ხმაურსა და გულგრილობაში.

მერე მაინც დავდგები თქვენ წინაშე და ჩემი გული გეტყვით:

„ნაწერი სიტყვები დააჭაშნიკეთ, კეთილო ადამიანებო, ნაწერი სიტყვები!..“

დასასრული. დასაწყისი „ლს“ №49-50

ჟურნალისტი ლიტერატურულ ჟანრებში

(ბიჭი ივანიშვილის ლექსთა კრებულის გამო)



ამ პატარა ლექსთა კრებულის ავტორი სულ ოცი წლისაა, მაგრამ თავისი აზრთა წყობით, მსოფლმხედველობითი პოზიციითა და ღირებულებითი ორიენტაციით, ცხოვრებისეული მოვლენების განსჯითა და სიღრმისეული ანალიზით, სიდინჯითა და დაკვირვებულობით თავის ასაკთან შედარებით გაცილებით უფრო დაღვინებულ-დაბრძენებულად გამოიყურება.

როგორც ადამიანი, იგი გამოირჩევა ქართული ტრადიციებისა და ქართული ცხოვრების წესისადმი ერთგულებით, შინაგანი სიწმინდითა და სისუფთავით. შთაბეჭდილება ისეთი გრჩება, რომ თითქოს იგი, ეგზიუპერის პატარა უფლისწულივით, სხვა სამყაროდან იყოს მოსული და არაფერი მოცხებოდეს იმ ჭუჭყისა და ბიწისაგან, რომელიც ასე „ამშვენებს და ალამაზებს“ ჩვენს შეშლილ, შეშლილ სამყაროს, სადაც ღირებულებები ისეა ერთმანეთში აზელილი, ადამიანები ისე არიან ერთიმეორესთან გაუცხოებულნი, რომ ბიჭი ივანიშვილის მსგავსი საოცრად სუფთა, უბიწო, ზრდილი, სათნო და კეთილი, მოკრძალებული და თავმდაბალი პოეტები სულიერად გამშვიდებენ.

„მე შეგიყვარე მთელი არსებით“, – ამბობს იგი და გჯერა, რომ მას სხვაგვარი სიყვარული არ შეუძლია. გჯერა ისიც, რომ ტრადიციულ ქართულ ოჯახში, ლეგენდარული ფალავნის გურამ საღარაძის ტრადიციებსა და მაგალითზე აღზრდილ ყმაწვილს უბრალოდ არ შეუძლია არ იყოს მშვიდი და დინჯი, მოკრძალებული და თავმდაბალი. მხოლოდ ერთხელ, ერთადერთ ლექსში ამჟღავნებს იგი (ისიც ფიქრებში) ოდნავ ამბიციურობას, თუმცა იქვე უჩნდება კრიტიკული დამოკიდებულება საკუთარი თავისადმი და თავადვე „ტუქსავს“ საკუთარ ფიქრებს:

„უხ, ეს თავხედი ფიქრები,
ხანდახან რამდენს ბედავენ“.

ნახეთ რა კარგია: „თავხედი ფიქრები“. არსად მსგავსი რამ არ შემხვედრია. ბიჭი ივანიშვილი ქართველია, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, აკი თავადვე ამბობს: „ვამაყობ სულით ქართულით“. ყოველი მისი სიტყვა საოცრად გულწრფელია და დამაჯერებელი: „გულწრფელობით ვარ სავსე... თანაც დიდით“. ან კიდევ: „ისე, უაზროდ სიტყვებს არ ვისვრი“.

ან კიდევ: „შევაქებ საქებს, დავგმობ დასაგმობს“ ამ პატარა ლექსთა კრებულში თქვენ ვერ შეხვდებით თანამედროვე ახალგაზრდების დიდი ნაწილისათვის ასე ჩვეულ ბილწსიტყვაობას, ქურდულ თუ „ძველბიჭურ“ ჟარგონებს, სექსის, ჭამისა და ფულის კულტს. იგი როგორც პოეტი ეთაყვანება ქართულ ენას, ქართულ მეტყველებას, ქართულ ღირებულებებს, ქართულ სულიერ კულტურას. ამიტომაა, რომ მისთვის იდეალი რომელიმე საზღვარგარეთელი მსახიობი ქალი კი არაა (ვთქვათ ისეთი, ქვედა საცვლების გარეშე სიარულს რომ არის დაჩვეული), არამედ ჩვენი სახელოვანი წინაპრები, ისეთები, როგორებიცაა: დიდი ნიკალა და გენიალური გალაკტიონი, ხოლო ახალი თაობიდან – ნიკო გომელაური.

ლექსში „მხატვრები“ – ბიჭი ივანიშვილი მსოფლიო მხატვრობის უდიდესი წარმომადგენლების – გენიალური პიკასოს, ვან გოგის, სალვადორ დალის, რაფაელის, მონეს, მატისის, კანდინსკის, მოდილიანის, რემბრანტისა და სხვათა გვერდით ნიკო ფიროსმანსაც ასახელებს:

„ყველა კარგია, რემბრანტი, ნარა,
არ დავივიწყოთ, მოდი, ნიკალა“.

„მეფე პოეტი“ – ასე ჰქვია იმ ლექსს, რომელსაც ბიჭი ივანიშვილი უძღვნის დიდ გალაკტიონს:

„დიდება ვუთხრათ მარად და მარად,
ამ მეფე პოეტს, ამ გალაკტიონს“.

კრებულში რამდენიმე ლექსი ეძღვნება ნიკო გომელაურს. მათში ნაადრევად დაღუპული ძალზე ნიჭიერი პოეტისადმი დიდი სიყვარული და პატივისცემაა გამოხატული:

„ძნელი ყოფილა მზიან ამინდში
ახსენო ნიკო და იწყო გლოვა“.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა ბიჭი ივანიშვილის შემოქმედებაში არის ღმერთისა და რელიგიის თემა. და ეს სულაც არ არის საკვირველი იმ ახალგაზრდა კაცისაგან, რომელიც ღმერთსა და სარწმუნოებას მიიჩნევს ჩვენი ზნეობის, ჩვენი ქართველობის გადამრჩენელად. იგი მოწიწებით ლაპარაკობს ღმერთზე, რომელიც ამ უზნეო სამყაროში ზნეობრიობასა და ურთიერთსიყვარულს გვასწავლის, ღმერთზე, რომელიც „თავად სიყვარულია“. „აანთეთ გული“, „დახიეთ ფული“, „აცხონეთ სული“, „გიყვარდეთ ღმერთი“ – ბრძენი ფილოსოფოსივით გვმოძღვრავს ეს ახალგაზრდა კაცი.

სხვათა შორის, ბიჭი ივანიშვილი არც საკუთრივ ფილოსოფიურ პრობლემებსაც ტოვებს უყურადღებოდ. იგი წერს ამქვეყნიური ცხოვრების სწრაფმედიანობასა და მსწრაფლწარმომავლობაზე. მე, პირადად, ამის სიმბოლურ გამოსახულებად მიმაჩნია მატარებელი, რომელსაც თანდათან აკლდება მგზავრები (ყოველ გაჩერებაზე რომ ჩადიან) და რომელსაც ბოლოს თავად რომ შემორჩა ერთადერთი, იცის დროებით, ისიც მომდევნო გაჩერებამდე.

ბიჭი ივანიშვილი კრიტიკულია მათ მიმართ, რომელთაც სხეული დაუყენებიათ სულზე მაღლა და რომელთაც ფული მიუჩნევიათ ყოველ დიდ ღირებულებაზე უფრო დიდ ღირებულებად:

„მხოლოდ საქართველოში
ძმები მტრობენ ფულისთვის“.

წინამდებარე წერილი არ არის ბიჭი ივანიშვილის ლექსების წიგნზე დაწერილი რეცენზია. იგი ჩემი, როგორც მკითხველის, დამოკიდებულების გამოხატვაა ახალგაზრდა პოეტისა და მისი პირველი წიგნისადმი. ვუსურვებ უდავოდ ნიჭიერ პოეტს შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს და ისევე მყარად დგომას ქართულ ეროვნულ ტრადიციებსა და ღირებულებებზე, როგორც დღეს დგას. მინდა ვუთხრა მას, რომ იმ ყალბ ღირებულებებს, რაც დღეს იტაცებს თანამედროვე ახალგაზრდობის დიდ ნაწილს, ხვალ ყავლი გაუვა, ხოლო სიკეთე, სილამაზე და ჭეშმარიტება, ერთი მხრივ, ხოლო მამული, ენა და სარწმუნოება, მეორე მხრივ, კვლავაც მარადიულ და უცვლელ ღირებულებებად დარჩება.

ღმერთმა წარმატებით ატაროს იგი ამ წმინდა და ნათელ გზაზე!

რევაზ ბალანჩივაძე
ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ფილოსოფიისა და პოლიტოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი.

(დასასრული. დასაწყისი მე-13 გვ.)

ლოში ნახევარ მილიონზე მეტი ლტოლვილია, ქვეყნიდან მილიონზე მეტი გახიზნულია, სიღარიბესა და შიმშილშია ჩაფლული მოსახლეობის უმრავლესობა, სიკვდილიანობა შობადობას გაცილებით სჭარბობს, ყოველი მეორე, ეზოს ძაღლივით, ბანკზეა მიბმული... და რომელი ერთი ჩამოვთვალო! ეს ყველაფერი ჩვენი პატარა სამშობლოსთვის კატასტროფაა.

მადლობა ღმერთს, რომ გზაზე უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მამაი ჩვენი ილია მიგვიძღვის. მისი ლოცვა-კურთხევით ქვეყანაში ათას ექვსასზე მეტი მოქმედი ტაძარია. მიუხედავად შთამბეჭდავი ციფრისა და სამასი ათასამდე მორწმუნე ქრისტიანისა, ეს მაინც ცოტაა, ზღვაში წვეთია.

საზოგადოებაში საკუთარი ფესვების მიმართ ნიჰილისტური განწყობა ჩამოყალიბდა, ხალხს ჯოჯოხეთის არსებობისა აღარ სჯერა და აქ, მიწაზე მოიწყო ჯოჯოხეთი, არადა ჯოჯოხეთის შიშით ხდება ადამიანი ჭეშმარიტი ქრისტიანი. პარადოქსია, სოციალისტური წყობა დაემხო, მაგრამ ათეიზმმა, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, მასობრივად წამოყო თავი, თანამედროვეებმა ქრისტიანობა ისტორიულ ფასეულობად მონათლეს (თუმცა ქრისტიანობაზე თანამედროვე არაფერია, ყავლი ყველაფერს გაუვა, მაგრამ ჭეშმარიტების დაძველება შეუძლებელია), ღვთის კანონებზე მაღლა დღევანდელი დაცემული ადამიანის კანონები დააყენეს. ცოდვა გაქარწყლდა, ხალხის ცნობიერებაში დაიკარგა მისი სიმძიმე, შესაბამისად, სიყვარულმა ხმობა იწყო.

გაქრა სინანულის გრძნობა, გადაიხვეწა „სული სიწმინდისაი, სიმდაბლისაი, მოთმინებისაი და სიყვარულისაი“ ჩვევად იქცა „განკითხვა ძმისა ჩვენისა და არა განცდაი თვისთა ცოდვათაი“.

კომპიუტერმა ბავშვები ვირტუალურ სამყაროში გადაასახლა. გაუჩინა წარმოსახვითი ურთიერთობები ასეთივე წარმოსახვითი გრძნობებით. ასე თუ გაგრძელდა, მალე მივიღებთ თაობას კომპიუტერული ტვინებითა და ხელოვნური გულებით.

ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს მთელი ერი ღია კარის წინ არის ჩამწკრივებული და აკაკუნებს...

არადა, რა კარგი და რა ლამაზი გაელვება იყო ჩვენი ბავშვობა...

სრული კაცობის ოთახში ასეთ რეალობაში გვიწევს ყოფნა. დრო ყველაზე დაუნდობელი განზომილებაა, მას ლოდინის უნარი არ გააჩნია. ყოველ დილით წინა დღე გადაფურცლული გვხვდება და უფრო ვითავისებთ, რომ მოსვლა იყო დასაწყისი წასვლისა.

გადაგღალე, ჩემო მკითხველო, მომიტევე, მაგრამ ეს ნარკვევი მინდა პატარა ჩანახატით დავასრულო, რომელსაც „მზის მონოლოგი“ დავარქვი:

ჟამი დაბადებისა ბედაურივით აცმუკდა, სიმშვიდე დაკარგა და მერამდენედ ღამის საშოდან გამომაძევა. ჩვილივით ნელ-ნელა ფეხი ავიდგი, სხივთა წვერებზე შემდგარი ამოვიწვერე, თანდათან მოვღონიერდი და გავდიდდი. რიცხვმრავალ დღეთაგან ახალი ისევ ჩემით დაიწყო. მე ძროხასავით სხივებს ვიწველი, ვანათებ, ვათბობ პლანეტას, რომელსაც დედამიწა შეარქვეს. ადამ-ევათა მოდგმა ათუხთუხებულა, აღვარცოფებულა, აბობოქრებულა და სვიანი ცხოვრების ხელოვნებას შესევია. დოგმათა მსხვრევაში გართულებს, ძველი ზნე-ჩვეულებანი ქიმწმენდაში ჩაუბარებიათ და ისტორიულ ფასეულობად – მუზეუმში ექსპონატებად გამოუფენიათ...

ფეხქვეშ მეგება ვაშლის ბაღები, ბებერი და ნორჩი ხეებით, რომელთა ნაყოფი ასაკოვან ევათა ულუფა გამხდარა, ჩვილნი კი, თავისი წილი ვაშლის ჩაკბეჩის მოლოდინში, რიგში მოთმინებით დამდგარან. მოწიფულნი ადამნი შესამოსად ლეღვებს ეძებენ, ერთი ციცქნანი სიშიშვლით ხარობენ, ევათა ღიმილს მისჩერებიან, მხარ-თეძოზე წამოწოლილან და ყური გველთა საამური სისინისთვის უბოძებიათ. ვაშლნაჭამი ევები სკოლებში სხედან, პატარა ევებს ამ ხილის მნიშვნელობაზე ემუსაიფებიან და სამოთხეს დანატრებულთ, მათი სისპეტაკისთვის შურით თვალი გაუსწორებიათ. ადამთა ნეკნნაკლულ ანატომიას წვეთ-წვეთ ყურში აღვენთებენ და შედეგით კმაყოფილნი, მოსწავლეებს სარკაზმული ღიმილით დაჰფოფინებენ...

ფარისეველთა მუხლმოდრეკილი, ჭმუნვააღვსილი ჯოგი ტაძრებს შესევია და ღვთისმოსაობას ისე შეექცევა, როგორც მგელი – ნანადირევს. ამპარტავანთა მდინარეებს მიწა დაუტბორავთ, ლაღად მოდუდუნებენ და სიცოცხლით კი არ ხარობენ, არამედ საკუთარი თავით ამ სიცოცხლეში...

კაენნი ბედნიერებას ვერ პოულობენ, ამიტომ სხვის ბედნიერებაში იქექებიან, სამართლის ძალას ძალის სამართლით აწესრიგებენ და აბელთ ხოცავენ, შემდეგ მოთქვამენ, ვითარცა ნიანგნი. ლამაზ კუბოებს შეკრავენ მეკუბოვნე ადამნი და მოკლულებს, მტირალა ევათა თვალწინ, დედამიწის წიაღში ათქვეფენ...

ნოე კიდობანში გამომწყვდეულა, ადამ-ევათა მოდგმაზე ტივტივებს და მოთმინებით ელოდება მტრედს, რომელმაც ზეთისხილის რტო უნდა მოართვას...

ასე მგონია, თითქოს ამ ლამაზ პლანეტას ცუდ ამინდში დავცქერი. რა მოსაბეზრებელია ხავსმოკიდებული სურათი, რომელიც არასდროს, არასდროს შეიცვლება. დიდი მერამლეობა აღარ მჭირდება, ვხედავ, რომ დედამიწა ადამ-ევათა მოდგმის სასჯელის მოსახდელ საპატიმროდ ქცეულა, ვინაიდან რაც მომხდარია – გამეორდება და რაც უნდა მოხდეს – ოდესღაც მომხდარა...

ეჰ, დავიღალე, თან დამცხა, როგორც თონეში ჩაკრულ პურს...

შემხედეთ, შემხედეთ!

მე ჩავდივარ და დამაკვირდით, როგორ ჩადის დაქანცული მზე, რათა დილით კვლავ დავიბადო...

„ლიტერატურული საქართველოს“

თამაზ წივწივაძეს

სალამს გიგზავნი თამაზო,
ჩვენი ამაყი მთისასა,
გულით გილოცავ აღდგენას
მაგ ჩვენი გაზეთისასა.

უმაგგაზეთოდ მთიელნი,
ძალიან დავიტანჯენით,
თუმცა კი ნაცებს ვებრძოდით
გულით და შიშველ მარჯვენით.

შენი ხმა გვაკლდა, ძმისაო,
ეგ ხაფი შემოძახილი,
ჩვენთვის იმედის მომცემი
მტრისთვის მსახვრალი მახვილი.

რა ნახეს ნაცთა, არ გვყავდი,
მაცდურად შემოგვიტიეს,
ბალღების გარყვნას ეცადნენ,
მაგრამ დედა ვერ გვიტირეს.
ქალაქჩიც გვყვანან ხევსურნი,
ამბავ ამააქვთ ბარისა,
ზოგი ძალიან უჟმური
დამხშობი გულის კარისა.

მთავარი ომი წინა გაქვს,
მოგყვებით მტკიცე გულითა,
რჯულს ვერვინ შეგვაცვლევინებს
ვერც ძალით, ვერცა ფულითა.

გაგვიძეხ, შამაიკრიბე,
კაცნი შენფერი გვარისა,
დასცხე წუნკალთა გფარავდეს
მადლი ლაშარის ჯვარისა.

ბათარეკა გაბიდაური

ხმა სამტრედიიდან

კვლავაც ჩვენი გულთამპყრობელი იქნება

8-წლიანი პაუზის შემდეგ ქართულმა ბეჭდურმა მედიამ კვლავ დაიბრუნა თავისი უსაყვარლესი გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“.

2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, როცა დემოკრატიულმა პრესამ წნეხი განიცადა, მწერლების და არა მარტო მათი, საყვარელი პერიოდული გამოცემა ფუნქციონირებას წყვეტს. მთავარი მიზეზი რედაქტორის, თამაზ წივწივაძის დამოკიდებულება გახლდათ მაშინდელ ხელისუფლებასთან.

ეს წარსულს ჩაბარდა. დიდი მოლოდინის შემდეგ, აღდგენილი „ლიტერატურული საქართველო“ კვირაში ძველებურად ერთხელ, პარასკევს გამოვა. გაზეთი 16 გვერდიანია, რედაქტორი — თამაზ წივწივაძე. პერიოდულ გამოცემაში სხვა მწერლებთან ერთად ხშირად ვნახავთ ისეთ ცნობილ სახეებს, როგორიცაა რეზო ამაშუკელი, ელიზბარ ჯაველიძე, როინ მეტრეველი, კობა არაბული, ვახტანგ ხარჩილავა, გენო კალანდია, ზაურ კალანდია, ალეკო გაბელაია, ტარიელ ხარხელაური, ანზორ აბულაშვილი, ემზარ კვიტაიშვილი.

სამტრედიის ქუჩებში შემთხვევით შევხვდი გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ კორესპონდენტს, ნატო ივანიაძეს, რომელიც წარმოშობით სამტრედიელია.

მან პირველი ნომრით დაასაჩუქრა „ლიტერატურული საქართველოს“ ერთგული მკითხველი: „პირველი ნომერი ყველგან საჩუქრად დარიგდა. იგი ქსელში ჯერ არ გაყიდულა. დიდი სიამოვნებით ვიტვირთე საკუთარ თავზე, სამტრედიელი საზოგადოებისათვის მეხარებინა ეს ამბავი. როგორც ხედავთ, ვარიგებ გაზეთებს და ყველგან გახარებული სახეები მხვდება. სკოლებში ხელმოწერებს მთხოვენ. ჯერ არ მივსულვარ და მჯერა, ბიბლიოთეკაში ძალიან გაიხარებენ „ლიტერატურული საქართველოს“ აღორძინებით. გაზეთის რედაქციის სახელით, სრულიად საქართველოს ვულოცავთ ჩვენი გაზეთის აღდგენას.

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ თავისი არსებობის მანძილზე მუდამ სიკეთეს, სათნოებასა და მშობელი ქვეყნის ერთგულების იდეალებს ემსახურებოდა. ამ გაზეთში მუდმივად იბეჭდებოდა ქართული მწერლობის, ხელოვნების, კულტურის წარმომადგენელთა ნაწარმოებები და მომავალშიც ასე გაგრძელდება ის პუბლიცისტური მუხტი, რომლითაც ასე განთქმული იყო „ლიტერატურული საქართველო“. იმედია, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ კვლავაც ჩვენი გულთამპყრობელი იქნება.

იმედს ვიტოვებთ, ახალ ხელისუფლებაში მედიასაშუალებებს წნეხის ქვეშ არ მოაქცევენ.

ნინო ნანიტაშვილი
გაზეთი „მაცნე“, № 16

მკითხველთა საყურადღებოდ!

გაზეთის გამოწერა უკვე შესაძლებელია. ამისთვის საჭიროა დარეკოთ ან მიაკითხოთ პრესის გავრცელების სააგენტოებს: საქპრესა (გურამიშვილის გამზ. №64, ტელ: 2 51 85 18), მაცნე (საირმის ქ. კორპ. №4, ტელ: 2 14 74 22), პრესექსპრესი (ი. ჯავახიშვილის ქ. №86, ტელ: 2 96 23 11), ჯეომედია (გ. ჩუბინაშვილის №50, ტელ: 2 95 51 70), პილონი (წერეთლის გამზ. №113, ტელ: 2 34 77 43), პრესა 2012 (წერეთლის გამზ. №142, ტელ: 2 34 09 35).

გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიში:
ქ. თბილისი სს „პროკრედიტბანკი“
კოდი: MIBGGE22
ანგ. № GE61PC0183600100029708

მთავარი რედაქტორი და გამომცემელი
თამაზ წივწივაძე

E-mail: litsaqartvelo@yahoo.com
ტელ.: 293 69 77

გამოდის პარასკევობით